პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 69, მეორე სართული. რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე. ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—68) ღამის მორიგის 13—90.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— პოლონეთის პრეზიდენტის დეკრეტით მოწვეულია სეიმისა და სენატის სესია.
— ლატვიის სეიმში დაიწყო ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების განხილვა.
— მოსკოვში გამოემგზავრა ავსტრიის დელეგაცია.
— ინდოეთში მოელიან რკინისგზელთა საერთო გაფიცვას
— სამხრეთ-ავსტრალიის რკინისგზელებმა გაფიცვა გამოაცხადეს.
— ესტონეთის პოლიციამ გაჩხრიკა რუს თეთრგვარდიელების ბინები.

ხუთშაბათი, 27 ოქტომბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 244 (1989)

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
ნოემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ინგლისის კომპარტიის დეკლარაცია
მწვავდება კრიზისი ინგლისის სამთამადნო მრეწველობაში
ნაფიც მსაჯულებმა გაამართლეს პეტლიურას მკვლელი შვარცბარდი

ტროცკისტული ოპოზიციის თვითმხილება

ამას წინად ტროცკისტულმა ოპოზიციამ წამოაყენა ვრცელი პლატფორმა, რომელიც ძლიერ წააგავს ბურჟუაზიულ პარტიების მიერ ხმების შესაგროვებლად შედგენილ პლატფორმას. ეს პლატფორმა სავსეა ერთის მხრივ საზიზღარი ცილისწამებით საკავშირო კომპარტიის მისამართით, ხოლო მეორეს მხრივ ფართო, მყვირალა დაპირებებით პროლეტარულ და გლეხურ მასებისადმი. თავის თავად გასაგებია, რომ ამ პლატფორმაში არის მუხლი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. ეს მუხლი ყოველ მხრივ ძალიან დამახასიათებელია ოპოზიციისათვის. ოპოზიციის მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოხდეს 8 საათის სამუშაო დღის გადიდება. ეს მოთხოვნა მოწმობს ჯერ ერთი იმას, რომ ტროცკისტული ოპოზიცია სავსებით მოწყვეტილია რეალურ ცხოვრებას და გარდა ამისა რომ მისი ყველა გამოსვლები „შორს უმიზნებენ". დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც კანონი სამუშაო დღის შესახებ ისეთი სისწორით იყოს დაცული, როგორაც საბჭოთა კავშირშია. მოთხოვნა სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ შეიძლებოდა თავში დაბადებოდათ უარმიო ბელადებს, რომელთათვის ფაბრიკა და ქარხანა არსებობენ მხოლოდ, როგორც განყენებული ცნებები.

მაგრამ ეს მოთხოვნა, რასაკვირველია, სხვა ამოცანას ისახავდა. მთელი პლატფორმა გამსჭვალულია ერთი აზრით: მოაჩვენოს ხალხს, რომ საკავშირო კომპარტია ეწევა მუშებისა და გლეხების საწინააღმდეგო პოლიტიკას და მხოლოდ ტროცკისტები,—რომელთაც თავი მოაქვთ ლენინელებად და ბოლშევიკებად, რაც მეტად სასაცილოა,—წარმოადგენენ ხალხის ჭეშმარიტ დამცველებს.

მოხდა ისე, რომ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ტროცკისტები შეთითხნიდენ თავის პლატფორმას, ლენინური კომუნისტური პარტია მუშაობდა საკითხზე, თუ როგორი რეალური რეფორმების დასახვა შეიძლებოდა მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილში პროლეტარული ხელისუფლების არსებობის პირველი ათი წლის თავის შესრულებასთან დაკავშირებით. საკავშირო კომპარტიის ამ მუშაობამ გამოიღო ნაყოფი, რამაც უმოწყალოდ დაამსხვრია ტროცკისტების ყოველგვარი პესიმისტური თეორიები.

გაწეულ მუშაობის შედეგების აღნუსხვამ საბჭოთა ხელისუფლების 10 წლის თავზე ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში 7 წლის მშვიდობიანი აღმშენებლობისათვის ჯამის გაკეთებამ ცხადყო, რომ გაცვეთილ ტექნიკითაც მუშათა კლასმა 8 საათის სამუშაო დღის არსებობის დროს შესძლო უკან მოეტოვებია ომის წინანდელი დონე. მიღწევა უდიდესია. ის წარმოადგენს უძლიერეს არგუმენტს პროლეტარული ხელისუფლების დასაცავად, ის არის მთელი კაპიტალისტური სისტემის გაბედული გამოწვევა თავის თავად ცხადია, რომ ეს უდიდესი მიღწევა ახალ ვალდებულებებს აკისრებს იმათ, ვინც შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანაში დაიწყო და წარმატებით აშენებს სოციალისტურ მეურნეობას.

უკანასკნელ წლებში სწარმოებდა ერთის მხრივ საბჭოთა ფაბრიკა-ქარხნების გარდაქმნა ახალ ტექნიკურ საფუძველზე და მეორეს მხრივ—იდგმებოდა პირველი ნაბიჯები წარმოების რაციონალიზაციის დარგში. ფაბრიკა-ქარხნების აღდგენა და გადაკეთება მოხდა საბჭოთა კავშირის მშრომელთა საკუთარი ღონისძიებებით, საგარეო სესხების გამოუყენებლად და, თავის თავად ცხადია, ჩაგვრისა და ძარცვის იმ ფორმების გარეშე, რომელთა შემწეობით კაპიტალისტური მტაცებლები ანხორციელებენ ინდუსტრიალიზაციას.

მიღწევებმა წარმოების დარგში და წარმატებამ ქარხნების გადაკეთების და რაციონალიზაციის დარგში შექმნეს სამუშაო დღის შემდგომი შემცირების წინასწარი პირობები. და საბჭოთა მთავრობამ, ძლიერმა წარსულის მიღწევებით და ღრმად დარწმუნებულმა იმაში, რომ მომავალში სოციალისტური მეურნეობის განვითარება წავა საკმაოდ ჩქარი ტემპით, შესაძლებლად და აუცილებლად სცნო 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა.

გსურთ იცოდეთ, რა არის სოციალისტური რაციონალიზაცია და რით განსხვავდება ის კაპიტალისტურისაგან? მოგახსენებთ: სოციალისტური რაციონალიზაცია ნიშნავს მუშების საცხოვრებელ დონის ამაღლებას და სამუშაო დღის შემცირებას, მაშინ როცა კაპიტალისტური რაციონალიზაცია ნიშნავს მუშების საცხოვრებელ დონის დაწევას და სამუშაო დღის გადიდებას.

7 საათის სამუშაო დღის გამოცხადებამ ყუმბარის გავარდნის შთაბეჭდილება მოახდინა მთელს ბურჟუაზიულ მსოფლიოში. ყველა კაპიტალისტ. ქვეყნებში ამჟამად სამუშაო დღეს აგრძელებენ. მდიდარმა ინგლისმა მიწის ქვეშ მომუშავე მემაღაროებისათვის უკვე გააგრძელა სამუშაო დღე შვიდიდან 8 საათამდე, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში მემაღაროები მიწის ქვეშ მუშაობენ ექვს საათს. მდიდარი ინგლისი უკვე იწყებს სხვანაირ „გადასვლას"—ცხრა საათის სამუშაო დღეზე მთელ რიგ დარგებში. ფაშისტურმა იტალიამ 9 საათის სამუშაო დღე დააწესა ყველა მუშებისათვის. გერმანიაში 8 საათის სამუშაო დღე უფრო გამონაკლის წარმოადგენს, ვინემ წესს. ასეთსავე ტენდენციებს ვამჩნევთ ჩვენ მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოში. მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ მსოფლიოში ძლიერდება მუშების ექსპლოატაცია, საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაცხადა სამუშაო დღის შემცირება ისეთ ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ უფრო ღარიბია, ვინემ ბევრი კაპიტალისტური ქვეყანა.

როგორც ბურჟუაზიის, ისე მისი რეფორმისტული ლაქიების განცვიფრება და სახტად დარჩენა სავსებით გასაგები და კანონიერია. მთელი წლების განმავლობაში ისინი ამტკიცებდენ, რომ საბჭოთა სისტემა გაყანვას უქადის მშრომელებსო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას, ურყევათ, ერთი ძლიერი დაკვრით შეუძლია დაამსხვრიოს პროლეტარიატის დიქტატურის მტრების ყოველგვარი ჭორები და ცილისწამება საბჭოთა კავშირის შესახებ.

მაგრამ ყველაზე უფრო გასაოცარი ის არის, რომ მანიფესტი 7 საათის სამუშაო დღის შესახებ არასასურველი სიურპრიზი აღმოჩნდა ოპოზიციის მოღვაწეებისათვის. უკანასკნელებმა აამუშავეს ყველა შავი საღებავები ისეთი შთაბეჭდილების შესაქმნელათ, რომ საბჭოთა კავშირი საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით ზედი-ზედ განიცდის დამარცხებებს. და უეცრად ასეთი მოულოდნელობა: 7 საათის სამუშაო დღე, რომელიც უდიდესი მიღწევების შედეგია და წარმოადგენს ბერკეტს შემდგომი და უფრო სწრაფი განვითარებისათვის როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ ფრონტზე.

ცაკის მანიფესტმა დაამსხვრია ტროცკისტულ ოპოზიციონერების პესიმისტური ფილოსოფია სოციალისტური მშენებლობის შეუძლებლობის შესახებ.

ამით ხომ არ აიხსნება, რომ ტროცკისტულმა ოპოზიციონერებმა იჩქარეს ხმის მიცემა ამ მანიფესტის და პირველ ყოვლისა 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის წინააღმდეგ?

აი რანაირ სამარცხვინო დაცემამდე შეუძლია მიიყვანოს ხალხი იმ პოზიციას, რომელსაც ტროცკისტული ოპოზიცია იცავს.

მრავალი თვის განმავლობაში ოპოზიცია არხი-მემარცხენე ფრაზებით ფარავდა თავის პესიმისტურ თეორიებს. თავისი რწმენის დაკარგვა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შემოქმედებითი ძალებში ოპოზიციამ დაფარა ბრძოლის „გმირული" მეთოდების წამოყენებით. თავისი რწმენის დაკარგვა სოციალისტურ მშენებლობაში პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში ოპოზიციამ დაფარა საკ. კომ. პარ. (ბ) ჩირქის მოცხებისა და ცილისწამებით. ცაკის მანიფესტმა პირდაპირ დასვა საკითხი საერთოდ სოციალისტური მშენებლობის შემდეგი გზებისა და განსაკუთრებით სამუშაო დღის შემცირების შესახებ. აქ უკვე აღარ შეიძლებოდა ამოფარება ფრაზებს უკან. ოპოზიციას უნდა ეპასუხნა—არა! მან ხმა მისცა არა მარტო 7 საათის სამუშაო დღის, არამედ ცაკის მთელი მანიფესტის წინააღმდეგ.

თავის თავად გასაგებია, რომ ტროცკისტები ეხლაც სცდილობენ თავისი სასოწარკვეთილი ხმის მიცემის დაფარვას მყვირალა ფრაზებით, ისინი აცხადებენ, რომ მანიფესტი 7 საათის სამუშაო დღის შესახებ არ იყო საკმაოდ მომზადებული და ამიტომ საკავშირო კომპარტია არ მოისურვებს მანიფესტის გატარებასო ცხოვრებაში. სხვანაირად რომ ვილაპარაკოთ, ოპოზიცია იმეორებს იმავე სისულელეს, როგორსაც ავრცელებს სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტსი" მაგრამ თავის თავად ცხადია, რომ ოპოზიციისა და „ფორვერტსის" ეს ცრუ ლაყბობა ვერავის მოატყუებს. პროლეტარულ დავას სწყვეტენ არა პლატფორმები, დეკლარაციები, განცხადებები და რეზოლიუციები, არამედ ნამდვილი პოლიტიკა და ფაქტები. ცაკის მანიფესტი წარმოადგენს პრაქტიკულ შემოწმებას, ერთის მხრივ, ოპორტუნისტული ოპოზიციის ყალბი მემარცხენეობისა და, მეორეს მხრივ, საკ. კომ. პარ. (ბ) პოლიტიკის რევოლიუციონერობისა.

ამნაირად, ოპოზიციამ გასცა თავისი თავი მთელი მსოფლიოს მილიონ პროლეტარებისათვის მისაწვდომ და გასაგებ ფაქტით. ცაკის მანიფესტი, რომელმაც უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია მთელი მსოფლიოს პროლეტარებში და უდიდესი დაბნეულობა ბურჟუაზიულ ბანაკში, არასასიამოვნო აღმოჩნდა ტროცკისტულ ოპოზიციონერებისათვის, და უკანასკნელებმაც ხმა მისცეს მის წინააღმდეგ. ტროცკისტული ოპოზიცია დაქანდა „ფორვერტს"-ამდე.

ეს ფაქტი უამრავ ბროშიურებსა და პლატფორმებზე უფრო მეტყველია და დამარწმუნებელი.

„პრავდა"
26 ოქტომბერი.

ინგლისის კომპარტიის დეკლარაცია

ლონდონი, 25 ოქტ. ინგლისის კომპარტიის ცეკამ პრესაში გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც მოჰყავს რა საკავშირო ცაკის გადაწყვეტილება 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ, აღნიშნავს **სამუშაო ხელფასის შეუჩერებლივ ზრდას და მუშათა ცხოვრების და შრომის პირობების შეუჩერებლივ გაუმჯობესებას საბჭოთა კავშირში.**

დეკლარაციაში ნათქვამია: „ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის წინ საბჭოთა კავშირის ცაკმა გადასწყვიტა სოციალისტურ აღმშენებლობის უმაღლეს საფეხურზე გადასვლა აღნიშნოს მუშათა კლასის მდგომარეობის ისეთი გაუმჯობესებით, რომლის მაგალითი ისტორიაში არ არსებობს. თვითეული შეგნებული მუშა მიხვდება, რომ ინგლისის კაპიტალისტები და ბოლდუინის მთავრობა კიდევ უფრო, ვინემ აქამდის, გააძლიერებენ თავის საომარ მზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა მუშების ეს ახალი მიღწევა ძალას შემატებს ინგლისის მუშებს კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ეკონომიურ და პოლიტიკურ ფრონტზე (ადს).

პეტლიურას მკვლელის გამართლება

პარიზი. 26 ოქტომბერი. შვარცბარდის პროცესზე მოწმე **ჩერიკოვერმა** აცხადა, რომ „ბოლშევიკებისაგან თავის შველის" დროს მან გაიტანა უკრაინიდან დიდძალი არქივი უკრაინაში მომხდარ დარბევების შესახებ; მასალების შესწავლის შემდეგ ის დარწმუნდება, რომ **დარბევის მოწყობაში დამნაშავეა მხოლოდ პეტლიურა.** დამცველ **ტორესმა** გამოაქვეყნა მღვდელ კოჩეროვსკის ცოლის წერილი. მღვდელი კოჩეროვსკი ჯვარით ხელში გამოვიდა დამრბეველთა წინაშე და სთხოვა სიმხეცე შეეწყვიტათ, მაგრამ დამრბეველებმა მაინც მოჰკლეს ის. წერილის წაკითხვის დროს დარბაზში მღელვარებაა. **მოწმე მოცკინი ერთად-ერთ დამნაშავეს დარბევების მოწყობაში სთვლის პეტლიურას, რომელიც ხანდისხან ხელს უწყობდა დამრბეველებს და აჯილდოვებდა მათ. მოწმე საფრა,** რომელსაც ტორესმა უწოდა კადეტი, „რუსეთის არმიის ყოფილი კაპიტანი", უმხობს სასამართლოს მისი შვილის, სტუდენტის მკვლელობას კიევში პეტლიუროველების მიერ. საფრა აღშფოთებული აცხადებს: „თუ პეტლიურა არაა დამნაშავე, შვარცბარდი არაა დამნაშავე, ხოლო ყველა ყაჩაღები იმალებიან, მაშ ვინღაა დამნაშავე? მე თვითონ ვდევნიდი პეტლიურას, მაგრამ არ მინდოდა მისი მოკვლა, რადგან მე მინდოდა შური მეძია მასზე ისე, რომ მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ ასცდენოდა წვალება" შემდეგ ტორესი აცხადებს, რომ ყველა დაკითხული მოწმეები, გარდა პროფესორ ლანჟევენისა, გამოძახებულ იყვნენ სასამართლოს მიერ. დამცველი მხარის მოწმეები ჯერ არ გამოსულან. მაგრამ,—აცხადებს ტორესი,— ჩვენებებს ვსთვლი საკმაოდ დამტკიცებულად, მე თანახმა ვარ უარი განვაცხადო ჩემ მოწმეთა ჩვენებაზე. (ადს)

პარიზი, 26 ოქტომბერი. **ნაფიცმა მსაჯულებმა 20 წუთის თათბირის შემდეგ გაამართლეს შვარცბარდი.** (ადს)

ამხ. პოლიტის საქმე

ლონდონი, 25 ოქტომბერი. ლონდონის სისხლის სამართლის სასამართლოში გაირჩა **პოლიტის** და უმცირესობის ნაციონალური მოძრაობის ორი სხვა მოღვაწის—**ბიჩის** და **სტრეჭეიკის** საქმე. სამივეს ბრალდება ცილისწამება საბჭოთა კავშირიდან გაძევებულ სკოტის წინააღმდეგ. ბრალმდებელის სარჩელის გამოქვეყნების შემდეგ, პოლიტმა გააკეთა განცხადება, რომელშიაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკოტი „წარმოადგენს იარაღს მეზღვაურთა რეაქციონურ ნაციონალურ კავშირის ხელში და რომ ეს კავშირი ფინანსიურ დახმარებას უწევს პროცესს და ამით ცდილობს ზიანი მიაყენოს უმცირესობის მოძრაობას". საქმის გარჩევა გადაიდო. (ადს).

შეკითხვა რეიხსტაგში

ბერლინი, 26 ოქტომბერი. რეიხსტაგის დეპუტატმა **რადემახერმა** შეიტანა შემდეგი შეკითხვა მთავრობისადმი: „სარწმუნო ცნობებით გერმანიის საავადმყოფო სალაროებმა, საბჭოთა მო... მიპატიჟებით, სალაროების ზოგიერთი წევრები გაგზავნა რუსეთის კურორტებზე. გარდა სამგზავრო ფულისა, საავადმყოფო სალაროებმა აღნიშნულ პირებს მისცეს შესაძლებლობა ეცხოვრათ რუსეთში დიდ ხანს, თითქოს სამკურნალო და დასვენების მიზნით. იცის თუ არა გერმანიის მთავრობამ ეს ფაქტები და როგორ ფიქრობს მთავრობა თავიდან აიცილოს ასეთი მოვლენების განმეორება მომავალში". (ადს)

საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესი

მოსკოვი 26 ოქტომბერს საკავშირო პროფსაბჭოში შესდგა ოქტომბრის ზეიმზე ჩამოსულ უცხოელთა დელეგატების მიმღებ კომიტეტის სხდომა. დადგენილია ითხოვოს ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის დელეგატებს, როგორც ინიციატორებს საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესის მოწვევისას, გამოჰყონ თითო წარმომადგენელი კომიტეტის შემადგენლობაში.

საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესის გახსნა განზრახულია მოხდეს 10 ნოემბერს.

დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის შედეგები, ომის საფრთხე და საბჭოთა კავშირის თავდაცვა. (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

პოლიციის დირექტივები

შანხაი. 25 ოქტ. ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა შანხაიში წინადადება მისცეს პროფკავშირთა საბჭოს (რეორგანიზაციაქმნილს) შესწყვიტოს გაფიცვა და მოაწესრიგოს მუშათა კონფლიქტები, რომლებიც გადაჭრილ უნდა იქნენ მხოლოდ და მხოლოდ არბიტრაჟის გზით. პოლიტიკური აგიტაცია დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. **პოლიციას დავალებული აქვს სასტიკათ თვალყური ადევნოს ზემოთ აღნიშნულის ცხოვრებაში გატარებას** (ადს).

„დამცველი" პოლიცია

შანხაი, 25 ოქტ. „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს" განაგრძობს საბჭოთა საკონსულოს წინააღმდეგ კამპანიას, რომელიც დაიწყეს „რეორგანიზაციაქმნილი პროფკავშირებმა, რომელთაც ამას წინად გამოუშვეს საბჭოთა საკონსულოს წინააღმდეგ მიმართული პროკლამაცია. გაზეთი მოითხოვს საბჭოთა საკონსულოს „დამცველი" პოლიციის რაზმის მოწყობას.

ინგლისელების თარეში

შანხაი, 25 ოქტ. რეიტერის სააგენტო აქვეყნებს ინგლისის კონსულის (ხანკოუში) ნოტას ჩინეთის ხელისუფლებისადმი ინგლისის ყოფილ კონცესსიის მმართველ-გამგეობის შესახებ. ჩინეთის ხელისუფლების მიერ დანიშნული კონცესსიის მმართველობის თავმჯდომარე, შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას, მაგრამ **მუნიციპალიტეტის ინგლისელი წევრები** არ სცნობენ მას, რის გამო ინგლისის კონსული საჭიროდ სთვლის ინგლისის ყოფილ კონცესსიის მმართველ-გამგეობის რეორგანიზაციას ინგლისის რეზიდენტების მოთხოვნილებების მიხედვით (ადს).

უცხოეთის მუშათა დელეგაციები

ავსტრიის დელეგაცია

ვენა, 25 ოქტომბერი. მოსკოვში გაემგზავრა ოქტომბრის დღესასწაულებში მონაწილეობის მისაღებათ ავსტრიის მუშათა სასპორტო კავშირის დელეგაცია (ადს).

ბულგარეთის დელეგაცია

სოფია, 25 ოქტომბერი. ბულგარეთის დამოუკიდებელ პროფკავშირების აღმასკომის ინიციატივით, შესდგა ყველა მუშათა ორგანიზაციების თათბირი. **მუშათა ორგანიზაციები ხმას აძლევდენ საბჭოთა კავშირში ოქტ. ზეიმზე დელეგაციის გაგზავნის სასარგებლოთ.** თათბირმა აირჩია მოქმედების კომიტეტი. კომიტეტში შევიდენ დამოუკიდებელ პროფკავშირების, ომის ინვალიდების ორგანიზაციის, მუშათა ახალგაზრდობის, სტუდენტთა კავშირის და მუშათა პრესის წარმომადგენლები.

თათბირში, მიუხედავათ მოწვევისა, მონაწილეობა არ მიიღეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის, რეფორმისტული პროფკავშირების, აგრეთვე გლეხთა პოლიტიკური და კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

თათბირმა დაადგინა მიიღოს ზომები, რათა აღნიშნულ ორგანიზაციებს მიეღოთ მონაწილეობა დელეგაციაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები საბოტაჟის გზას დაადგებიან, მიმართოს უშუალოთ მასებს წინადადებით დელეგაციაში წარმომადგენლების გამოყოფის შესახებ (ადს).

გლეხთა დელეგაციები

მოსკოვი, 26 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა შვეციისა და ნორვეგიის გლეხთა ორგანიზაციების დელეგაციები. ოქტომბრს სადგურზე დელეგაციას შეხვდენ კოოპერაციის, სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა კავშირის ცეკას და სხ. წარმომადგენლები. ორივე დელეგაცია შესდგება 8 კაცისაგან. (ადს)

უნგრეთელ რევოლიუციონერების პროცესი

ვენა, 25 ოქტ. სანტოს პროცესის მეექვსე დღეზე დაკითხულ იქნა კომუნისტი **გოსტოლა**, რომელიც მსოფლიო ომის დროს ტყვეთ იყო რუსეთში. გოსტოლას განცხადებამ, რომ „**საბჭოთა კავშირში ნიჭა მშრომელ გლეხობას ეკუთვნის, უნგრეთში კი მუქთახორებს და ბურჟუაზიას**", თავმჯდომარის მხრივ გამოიწვია მუქარა, რომ ბრალდებული მოთავსებულ იქნება ბნელ საკანში. როცა შემდეგ გოსტოლამ განაცხადა, რომ კომუნისტებისათვის სამარცხვინოდ სთვლის ბურჟუაზიის კლასობრივ სასამართლოს წინაშე თავის გამართლების ცდას, თავმჯდომარემ მას სიტყვა წაართვა.

შემდეგ დაჰკითხეს ბრალდებულთ, რომლენიც ეკუთვნიან მუშათა სოციალისტურ პარტიის გამოჩენილ მოღვაწეთა რიცხვს. **თავმჯდომარე ბრალდებულებს სიტყვას აწყვეტინებდა ყოველ წუთში, არ აძლევდა მათ თავდაცვის საშუალებას და ემუქრებოდა დისციპლინარულ სასჯელით.** მიუხედავათ ამისა, ბრალდებულთა ჩვენებიდან მაინც გამოირკვა, **რომ მუშათა სოციალისტური პარტია უსასტიკეს შევიწროებას განიცდის,** თუმცა ის ლეგალურად ითვლება. **პარტიის წევრებს არ აძლევენ ერთ ადგილზე ცხოვრების საშუალებას, ასახლებენ და აპატიმრებენ.**

პარტიის მდივანი **შაბო** დაწვრილებით შეეხო იმ პროვოკატორულ ოინებს, რომელთაც პოლიცია მიმართავს პარტიის წინააღმდეგ. ბუდაპეშტში პოლიციის ცნობილმა აგენტმა განუცხადა შაბოს, რომ ის მიიღებს თავის თავზე პრემიერ ბეტლენის მოკვლას, თუ მას ასეთ დავალებას მისცემს მუშათა სოციალისტური პარტია. შაბომ გააგდო აგენტი, რომელმაც ამის შემდეგ მას ცილი დასწამა, რომლის ძალითაც შაბო პასუხისგებაში იქნა მიცემული.

შემდეგ შაბომ განაცხადა, რომ მუშათა სოციალისტური პარტია მიზნად ისახავს არსებული რეჟიმის დამხობას და მუშურ-გლეხური მთავრობის დაარსებას მუშურ-გლეხური კლასობრივი ბრძოლის გზით. **ამ განცხადებისათვის თავმჯდომარემ შაბოს სიტყვა წაართვა** (ადს).

გაფიცვების ტალღა

ავსტრალიაში

ლონდონი, 25 ოქტ. სამხრეთ-ავსტრალიის რკინის გზების კამპანიამ დაითხოვა პილენტმონის რკინის გზის სახელოსნოების 1.900 მუშა იმ 2.000 მუშიდან, რომლებიც გაფიცული იყვნენ ორი მუ... უკანონოთ დათხოვნის გამო (ადს)

ინდოეთში

ლონდონი, 25 ოქტ. სრულიად ინდოეთის რკინისგზელთა ფედერაციამ ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს აცნობა, რომ **29 ოქტომბერს შესდგება ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელიც განიხილავს საკითხს ინდოეთის** ყველა რკინის გზებზე გაფიცვის გამოცხადების შესახებ (ადს).

გერმანიაში

ბერლინი, 25 ოქტ. **შუა-გერმანიის რაიონში, ნახშირის ორ მაღაროში გაფიცვა ჯერ კიდევ გრძელდება,** ვინაიდან ადმინისტრაციამ უარი განაცხადა მემაღაროების ერთი ნაწილის უკან მიღებაზე. **ამ მაღაროების მუშებმა დაადგინეს განაგრძონ გაფიცვა,** სანამ დაკმაყოფილებული არ იქნება მოთხოვნილება ყველა მემაღაროთა უკან მიღების შესახებ. მათ მიმართეს პროფკავშირს თხოვნით მხარი დაუჭიროს გაფიცვას (ადს).

კომუნისტების დევნა

პარიზი, 26 ოქტომბერი ფრანგ კომუნისტებს ვაიან კუტიურეს, ველანჟეს და გეის მიუსაჯეს რვა-რვა თვის ციხე და 1.000 ფრანკის ჯარიმა თვითეულს იმისათვის, რომ მათ „მოუწოდებდენ ჯარისკაცებს ურჩობისაკენ". ვაიან კუტიურე იმყოფება ამჟამად მოსკოვში (ადს)

ამერიკის „სამართალი"

ვაშინგტონი, 25 ოქტომბერი. წარსულ კვირას უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ ვაშინგტონში განიხილა ორი თვის წინად შეტანილი თხოვნა საკოსა და ვანცეტის შესახებ.

„საქმის გადახედვა უაზროა, რადგან განაჩენი ბრალდებულებზე უკვე სისრულეშია მოყვანილი". (ადს)

ემიგრანტების გაჩხრეკა

რეველი, 25 ოქტომბერი. „პოსლედნიე იზვესტია"-ს (ემიგრანტების ორგანო) ცნობით, **ესტონეთის პოლიტიკურმა პოლიციამ გაჩხრიკა მრავალი რუსი ემიგრანტის ბინა,** მათ შორის გენერალ მაიოვის, **ენგელ-გარდტი,** თავად მანსიროვის და სხ. გარდა ამისა პოლიციამ გაჩხრიკა აგრეთვე ემიგრანტთა კომიტეტის მდივნის ბინა და თვით კომიტეტის შენობა. ყველა აღნიშნული პირები დაკითხვის შემდეგ განთავისუფლებულ არიან.

უნგრეთის ფაშისტები

ვენა, 25 ოქტ. ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ უნგრეთის პრემიერის ბეტლენის განცხადებამ მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ „შეარბილოს" უმაღლეს სასწავლებლებში ებრაელების მიღებაზე არსებული პროცენტული ნორმის კანონი, სასტიკი პროტესტი გამოიწვია სტუდენტთა ფაშისტურ ორგანიზაციების მხრივ (ადს).

კრიზისი ინგლისში

ლონდონი, 25 ოქტომბერი. მდგომარეობა **სამხრეთ-უელსის ნახშირის მრეწველობაში თანდათან უფრო რთულ ხასიათს იღებს.** ამ რაიონში მყოფ 200.000 სამთამადნო მუშებიდან უმუშევარია 25.000-ზე მეტი კაცი და დაახლოებით 30.000 მემაღაროე კვირაში მხოლოდ 2-4 დღეს მუშაობს. **რამდენიმე მაღარო დაიხურა, ზოგი დროებით და ზოგიც სამუდამოდ.** ნახშირის გაზიდვა შემცირდა. (ადს)

საფრანგეთის დელეგაცია

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. მოსკოვში მყოფი საფრანგეთის მუშათა დელეგაცია გუშინ ეწვია პროფინტერნს, სადაც საუბარი ჰქონდა ამხ. ლოზოვსკისთან საერთაშორისო პროფმოძრაობის საკითხებზე. (ადს)

ლაჰის ცნობები

ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულება

რიგა, 25 ოქტომბერი. ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების განხილვა გაგრძელდა ღამის ორ საათამდე. კამათის გაგრძელება გადადებულია შემდეგ სხდომისათვის. (ადს)

შვეციის დელეგაცია

მოსკოვი, 26 ოქტომბრს მოსკოვში ჩამოვიდა ოქტომბრის ზეიმზე დასასწრებლად შვეციის გაფიცულ მეტივეთა დელეგაცია. (ადს)

ამხ. ბოგომოლოვი ბარტელთან

ვარშავა, 26 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პოლონეთში ამხ. ბოგომოლოვმა გუშინ ინახულა ვიცე-პრემიერი ბარტელი (ადს).

პოლონეთის სეიმის სესია

ვარშავა, 26 ოქტომბერი. რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით მოწვეულია სეიმის და სენატის ჩვეულებრივი სესია ბიუჯეტის პროექტის განსახილველად (ადს).

ა. ი. სუმბათაშვილი—იუჟინის დასაფლავება

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. 25 ოქტომბერს მოხდა სახალხო მსახიობის და მცირე თეატრის საპატიო დირექტორის ა. ი. სუმბათაშვილი—იუჟინის დასაფლავება. მცირე თეატრის მოედანზე თავი მოიყარეს მოსკოვის ყველა თეატრების ჯგუფებმა გვირგვინებით და სამგლოვიარო დროშებით. თეატრის შენობის წინ შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სემაშკომ. ილაპარაკეს განათლების სახ. კომისარიატის, ყველა თეატრების და პროფკავშირების წარმომადგენლებმა. მრავალრიცხოვანი პროცესია შეფიგზე აყვანილ სამხედრო ნაწილით გაემართა დიდი თეატრისაკენ, სადაც თეატრის ორკესტრმა შეასრულა შოპენის სამგლოვიარო მარში. სამხატვრო თეატრთან თავი მოიყარეს ყველა მსახიობებმა; მოკლე სიტყვა წარმოსთქვა [illegible]. იუჟინი დასაფლავებულ იქნა ნოვოდევიჩის მონასტრის სასაფლაოზე.

ა. ი. იუჟინის ხსოვნის აღსანიშნავად მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა პალაშოვის შესახვევს სადაც ცხოვრობდა იუჟინი, ეწოდოს იუჟინის შესახვევი (ადს).

ბანდიტების დახვრეტა

ბრიანსკი, 26 ოქტომბერი. მოყვანილ იქნა სისრულეში სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს დადგენილება 10 ბანდიტის დახვრეტის შესახებ. ხსენებული ბანდიტები მონაწილეობას იღებდენ შეიარაღებულ თავდასხმაში მცხოვრებლებზე, კოოპერატივებზე და სხვ. (ადს)

ოქტომბრის ათი წლის თავი

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. „გლავმეტალის" ცნობით, ოქტომბრის ზეიმის დღეს ლენინგრადის გემების სააღმშენებლო ვერფების მიერ გამოშვებულ იქნება საბჭოთა თბომავალი, რომელიც გადაეცემა კასპიის ნავთის ფლოტს.

ამავე დროს ამხ. მარტის სახელობის ნიკოლაევის ქარხანა გამოუშვებს სანავთო თბომავალს, რომელიც გადავა ნავთის სინდიკატის განკარგულებაში. (ადს)

მიწისძვრა ყირიმში

სიმფეროპოლი, 26 ოქტომბერი. 24 ოქტომბერს დილით ბახჩისარაიში შემჩნეულ იქნა ნიადაგის სუსტი რყევა. ალუშტაში და გურზუფში შემჩნეულ იქნა ბიძგები ორი ბალის ძალით. (ადს)

კაპაბლანკა—ალიოხინ

ბუენოს-აირესი, 25 ოქტომბერი. ალიოხინ-კაპაბლანკას შეჯიბრის მეოცე პარტია უშედეგოთ დამთავრდა 43 სვლის შემდეგ (ადს).

7 და 8 ნოემბრის დღესასწაული

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი, ითვალისწინებს, რომ რაც შეიძლება ფართოდ იქნას აღნიშნული ოქტომბრის რევოლიუციის დღეების და მასთან დაკავშირებული მიღწევანი სოციალისტური მშენებლობის გზაზე, ადგენს: **ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავი ყოველწლიურად, 1927 წლიდან დაწყებული აღნიშნოს 7 და 8 ნოემბრის დღესასწაულით.**

მუშაობა ამ დღეებში აკრძალულია საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, გარდა საზოგადოებრივად აუცილებელ წარმოებათა და დაწესებულებათა, სადაც მუშაობა უნდა სწარმოებდეს განუწყვეტლივ. (ადს)

საბჭოთა ელჩების დანიშვნა

მოსკოვი, 26 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა, განთავისუფლებულ იქნას ამხ. **მაკარი** საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელის თანამდებობიდან ნორვეგიაში და დაინიშნოს იგი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელად მექსიკაში.

ამავე დროს პრეზიდიუმმა დაადგინა, განთავისუფლებულ იქნას ამხ. **კოლონტაი** საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანამდებობიდან მექსიკაში და დაინიშნოს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელად ნორვეგიაში. (ადს)

ანრი ბარბიუსი ბაქოში

ბაქო, 26 ოქტომბერი. 25 ოქტომბერს ანრი ბარბიუსმა დაათვალიერა ბალახანის, სურახანის და ბინაგადის სარეწაოები, ელექტრონის რკინის გზა, მუშათა უბნები და სხ. ამხ. ბარბიუსი გაეცნო აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის ზრდას, მუშათა მდგომარეობას, სამუშაო ხელფასს და სხვ.

ამხ. ლავრენტიევმა, რომელიც განმარტებებს აძლევდა ამხ. ბარბიუსს ბიბი-ეიბათის დათვალიერების დროს, აცნობა მას, რომ მუშებმა გადასწყვიტეს მისი ჩამოსვლის საპატივსაცემოდ ბიბი-ეიბათის რაიონის პირველ უბანს უწოდონ ბარბიუსის სახელობის უბანი.

შემდეგ ამხ. ბარბიუსი დაესწრო ბაქოს საბჭოს პლენუმს, და მის საპატივსაცემოდ მოწვეულ პროლეტარულ მწერალთა კრებას, სადაც მას აღფრთოვანებით შეხვდენ. (ადს).

ვ. ი. ლენინის სიტყვა შაბათობის შესახებ

წარმოთქმული რ. კ. პ. მოსკოვის საერთო საქალაქო კონფერენციაზე

1919 წლის 20 დეკემბერს

ვ. ი. ლენინის ინსტიტუტის ცნობა

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. „ვ. ი. ლენინის ინსტიტუტის არქივის დოკუმენტებს შორის შენახულია ლენინის სიტყვის სტენოგრამა შაბათობის შესახებ. ეს სიტყვა გამოურკვეველ მიზეზების გამო, არ გამოქვეყნებულა „პრავდა"-ში, თუმცა ანგარიში კონფერენციის შესახებ მოთავსებული იქნა რამოდენიმე ნომერში და არის შენიშვნა, რომ ლენინის სიტყვა დაიბეჭდება ერთ - ერთ უახლოეს ნომერში (იხ. „პრავდა" № 290 1919 წლის 25 დეკემბ.).

ვ. ი. ლენინის სიტყვა მოკლეთ მოყვანილია „იზვესტია"-ში № 287 21 დეკემბრის თარიღით.

ლენინის სიტყვის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა მოხსენება შაბათობის საორგანიზაციო მხარის შესახებ და დაამტკიცა ინსტრუქცია რუსეთის კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის დებულება შაბათობის შესახებ გამოქვეყნებულ იქნა „პრავდა"-ში № 292 1919 წლის 27 დეკემბრის თარიღით.

ლენინის ინსტიტუტი.

ლენინის სიტყვა

სოციალიზმი და კომუნიზმი

„ამხანაგებო, როგორც მე კონფერენციის მომწყობთაგან გავიგე, თქვენ დანიშნეთ მოხსენება შაბათობის შესახებ, გაჰყავით რა ის ორ ნაწილად, რათა დაწვრილებით განეხილათ ამ საკითხში უმთავრესი: ჯერ ერთი, შაბათობის ორგანიზაცია მოსკოვში და მისი შედეგები, მეორე, პრაქტიკული დასკვნები მათი შემდგომი ორგანიზაციისათვის. მე მინდა შევეხო მხოლოდ საერთო დებულებებს, იმ აზრებს, რომელსაც იწვევს შაბათობის ორგანიზაცია, როგორც ახალი მოვლენა ჩვენს პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში. ამიტომ პრინციპიალურ მხარეს მე მხოლოდ მოკლეთ შევეხები.

როცა პირველად დავიწყეთ კომუნისტურ შაბათობის მოწყობა, ჯერ კიდევ ძნელი იყო იმის თქმა, რამდენად საყურადღებოა ასეთი მოვლენა და შეიძლება თუ არა მისგან წარმოიშვას რამე დიდი. მე მახსოვს, რომ, როცა პირველად ამის შესახებ პარტიულ პრესაში დაიბეჭდა ცნობები, შრომის კომისარიატის პროფესიონალურ აღმშენებლობასთან ახლო მდგომ ამხანაგების აზრი და შეფასება პირველად იყო მეტად თავშეკავებული, რომ არა ვსთქვათ პესიმისტური. მათი აზრით, უსაფუძვლო იქნებოდა რაიმე დიდი მნიშვნელობის მიცემა ამ შაბათობისათვის. მას შემდეგ შაბათობა იმდენად გაიზარდა და განვითარდა, რომ მისი მნიშვნელობა ჩვენს აღმშენებლობაში არავისთვის საეჭვო აღარ არის.

ჩვენ ძლიერ ხშირად ვხმარობთ სიტყვა „კომუნიზმს", ისე ხშირად, რომ ჩვენი პარტიის სახელწოდებაშიაც კი შევიტანეთ ის. მაგრამ, როცა ჩაუკვირდები ამ საკითხს, გებადება აზრი, იმ ხაჯეთისთან ერთად, რომელიც აქედან გამომდინარეობს, შეიძლება ჩვენთვის შეიქნას ერთგვარი საფრთხე.

უმთავრესი მიზეზი, რომელმაც გვაიძულა ჩვენ გამოგვეცვალა პარტიის სახელწოდება, იყო სურვილი, რაც შეიძლება უფრო მკაფიოდ გავმიჯნულიყავით მეორე ინტერნაციონალის გაბატონებულ სოციალიზმისაგან. მას შემდეგ, რაც სოციალიზმის ოფიციალურ პარტიების დიდი უმრავლესობა იმპერიალისტურ ომის დროს თავისი ბელადების სახით თავისი ქვეყნის ბურჟუაზიის ან მთავრობის მხარეზე გადავიდა, ჩვენთვის აშკარა გახდა ძველი სოციალიზმის უდიდესი კრიზისი და დამარცხება, და რათა მკაფიოთ ხაზი გაგვესვა იმისათვის, რომ ჩვენ არ შეგვეძლო სოციალისტებად ჩაგვეთვალოთ ისინი, ვინც იმპერიალისტური ომის დროს მიდიოდა ხელი-ხელ ჩაკიდებული თავიანთ მთავრობებთან, რათა გამოგვეაშკარავებინა რომ ძველი სოციალიზმი გაიხრწნა და მოკვდა, — ამიტომ, უმთავრესად, წარმოიშვა აზრი ჩვენი პარტიის სახელწოდების შეცვლის შესახებ. მით უმეტეს, რომ წმინდა თეორიტეტული თვალსაზრისით სოციალ - დემოკრატიის სახელწოდება დიდი ხანია არ არის სწორი. ჯერ კიდევ მეორმოცე წლებში საფრანგეთში, როცა ის სახელწოდება პირველად შემოვიდა ფართე პოლიტიკურ ხმარებაში, ის მიეკუთვნებოდა წვრილ ბურჟუაზიულ რეფორმიზმის პარტიას და არა რევოლიუციონურ პროლეტარიატის პარტიას. ამრიგად, მთავარი მიზეზი და მოტივი პარტიის სახელწოდების შეცვლის დროს იყო სურვილი გადაჭრით გავმიჯნულიყავით ძველ სოციალიზმისაგან.

თუ ჩვენ შევეკითხებით თავის თავს, რას წარმოადგენს კომუნიზმი სოციალიზმთან განსხვავებით, უნდა განვაცხადოთ, რომ სოციალიზმი არის ის საზოგადოება, რომელიც წარმოიშობა უშუალოდ კაპიტალიზმიდან, არის ახალი საზოგადოების პირველი სახე. კომუნიზმი კი არის საზოგადოების უფრო მაღალი სახე და შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მაშინ, როცა განმტკიცდება სოციალიზმი. სოციალიზმი ჰგულისხმობს მუშაობას კაპიტალისტების დაუხმარებლად და საზოგადოებრივ შრომას მშრომელთა მოწინავე ნაწილის შეკავშირებულ ავანგარდის სასტიკი კონტროლის და ზედამხედველობის ქვეშ; ამასთანავე უნდა განისაზღვროს შრომის ფარგლები და მისი ანაზღაურება.

ეს განსაზღვრა საჭიროა იმიტომ რომ კაპიტალისტურმა საზოგადოებამ დაგვიტოვა ჩვენ ისეთი კვალი და ისეთი ჩვეულებები, როგორც, მაგ., დაქსაქსული შრომა, უნდობლობა საზოგადოებრივ მეურნეობისადმი და წვრილ მეპატრონის ძველი ჩვეულებანი, რომლებიც ბატონობენ ყველა გლეხურ ქვეყნებში. ყველაფერი ეს ხელს უშლის ნამდვილ კომუნისტურ მეურნეობის განვითარებას. კომუნიზმს კი ჩვენ უწოდებთ ისეთ წესრიგს, როცა ხალხი ეჩვევა საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებას განსაკუთრებულ იძულებითი აპარატების გარეშე, როცა უსასყიდლო მუშაობა საერთო სარგებლობისათვის საყოველთაო მოვლენად ხდება. თავის - თავად ცხადია, რომ იმათ თვალსაზრისით, ვინც სდგამს პირველ ნაბიჯებს კაპიტალიზმზე სრული გამარჯვების მოსაპოვებლად, ცნება, „კომუნიზმი" მეტად შორეულია.

ამიტომ, რამდენათაც სწორი არ უნდა იყვეს ჩვენი პარტიის სახელწოდების შეცვლა, რამდენადაც დიდი სარგებლობა არ უნდა მოგვიტანოს მან, რამდენადაც დიდი არ უნდა იყვეს გაკეთებული საქმე, რომელსაც უდიდესი გასაქანი მიეცა, ვინაიდან კომუნისტური პარტიები ეხლა მთელ მსოფლიოში არსებობენ, თუმცა ჯერ კიდევ ერთი წელი არ გასულა კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებიდან, მაგრამ მუშათა მოძრაობის თვალსაზრისით ის ძველ მომაკვდავ ინტერნაციონალზე გაცილებით უფრო ძლიერია — მაინც თუ კომუნისტური პარტიის სახელწოდებას გავიგებთ ისე, თითქოს კომუნისტური წეს-წყობილება ხორციელდება ეხლა, მაშინ მივიღებთ უდიდეს გადამახინჯებას და პრაქტიკულ ზიანს, რომელსაც იწვევს ცალიერი ყოყოჩობა.

აი რატომ არის, რომ სიტყვა „კომუნისტური" მოითხოვს ძლიერ სიფრთხილით მოპყრობას, აი რატომ ეძლევა კომუნისტურ შაბათობას განსაკუთრებული ღირებულება, ვინაიდან მხოლოდ ამ მეტად მცირე მოვლენაში გამოიხატა ზოგიერთი რამ კომუნისტური. მემამულეთა და კაპიტალისტების ექსპროპრიაციის საშუალებით ჩვენ მხოლოდ ვიღებთ შესაძლებლობას მოვაწყოთ სოციალიზმის პირველდაწყებითი ფორმები, მაგრამ ამაში კომუნისტური არაფერი არ არის. თუ ავიღებთ ჩვენს ნამდვილ მეურნეობას, მაშინ ჯერ კიდევ დავინახავთ სოციალიზმის ძლიერ სუსტ ჩანასახს და ძველ სამეურნეო ფორმების ბატონობას, რომლებიც გამოიხატება ან წვრილ მეურნეობის სიჭარბეში, ან ყველაზე ველურ და თავშეუკავებელ სპეკულიაციაში. მაგრამ როცა ჩვენი მოწინააღმდეგენი — წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატები, მენშევიკები და ესერები გვეუბნებიან: „თქვენ დაამსხვრიეთ მსხვილი კაპიტალიზმი, მის მაგიერ თქვენში ვითარდება ყველაზე უფრო ცუდი სპეკულიანტური, მევახშე კაპიტალიზმი"-ო. მაშინ ჩვენ მათ უპასუხებთ:

თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მსხვილ კაპიტალიზმთან ჩვენ შეგვეძლია პირდაპირ გადავსულიყავით კომუნიზმზე, თქვენ რევოლიუციონერები კი არა ხართ, არამედ რეფორმისტები ან უტოპისტები.

მსხვილი კაპიტალიზმი საფუძვლიანად არის დარღვეული ყველგან, ამ ქვეყნებშიაც კი, სადაც ჯერ კიდევ არავითარი ნაბიჯები არ გადადგმულა სოციალიზმისაკენ. ამ თვალსაზრისით სრულიად არასერიოზულია მთელი ის კრიტიკა და ყველა ის მოსაზრებები, რომლებიც მოჰყავთ ჩვენს წინააღმდეგ ჩვენს მოწინააღმდეგეებს. რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც დამარცხებულია მსხვილი კაპიტალიზმი, მის ადგილზე ჩნდება ახალი წვრილი სპეკულიატიური კაპიტალიზმის ჩანასახი. ჩვენ განვიცდით მსხვილი კაპიტალიზმის ნაშთების გააფთრებულ ბრძოლას. მსხვილი კაპიტალიზმი გაჰყვა ყოველგვარ წვრილმან სპეკულიაციას. აქ უფრო ძნელია მისი დაჭერა და აქ ის ითვისებს ყველაზე უფრო ცუდ და მოუწესრიგებელ ფორმებს.

ბრძოლამ, რომელიც ბევრად უფრო გამძვინვარდა შეიქნა ომის პირობებში, გამოიწვია პირდაპირ მხეცური სპეკულიაცია, განსაკუთრებით იქ, სადაც კაპიტალიზმი არსებობდა უფრო მსხვილი მასშტაბით; რევოლიუციონური გარდასვლის სხვანაირად წარმოდგენა სრულიად არასწორი იქნებოდა. ახლანდელი მდგომარეობისთვის საქმე ახლანდელი ეკონომიკის თვალსაზრისით. თუ ჩვენ დავსვამთ კითხვას — რას წარმოადგენს საბჭოთა რუსეთის თანამედროვე ეკონომიური წყობილება, უნდა ვთქვათ, რომ ის წარმოადგენს მსხვილ წარმოებაში სოციალიზმის საფუძვლების ჩაყრას ძველი კაპიტალისტური მეურნეობის გადამუშავებით. კაპიტალიზმი ამას უწევს მედგარ წინააღმდეგობას, რომელიც ღებულობს მრავალ მილიონ ფორმებს. დასავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც ომმა იმდენადვე დაზიანა, როგორც ჩვენ, მაგალითად, ავსტრია, განსხვავდებიან ჩვენგან მხოლოდ მით, რომ იქ კაპიტალიზმის ეს გახრწნა და ეს სპეკულიაციები თავს იჩენენ კიდევ მეტი ძალით, სოციალისტური მშენებლობის ჩანასახები კი, ე. ი. ის, რაც წინააღმდეგობას უწევს კაპიტალიზმს, იქ არ არის.

შაბათობის მნიშვნელობა

მაგრამ კომუნისტური ჩვენს სამეურნეო წყობაში ჯერ არაფერი არ არის. „კომუნისტური" მომენტი იწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩნდება შაბათობა, ე. ი. ცალკე პირთა უფრო, ფართო მასშტაბით საზოგადო სასარგებლო შრომა, რომელსაც არ აწესრიგებს არავითარი ხელისუფლება, არავითარი სახელმწიფო.

ეს არ არის მეზობლისათვის დახმარების გაწევა, რომელიც სოფელში ყოველთვის არსებობდა, ეს არის უფასო შრომა, რომელიც წარმოებს საერთო სახელმწიფო საჭიროებისათვის და ეწყობა ფართო მასშტაბით. ამიტომ სწორი იქნებოდა, რომ „კომუნისტური" გვეწოდებინა არა მარტო პარტიისათვის, არამედ ჩვენი ცხოვრების ყველა სამეურნეო მოვლენებისათვისაც, რომლებიც სინამდვილეში ანხორციელებენ კომუნისტურ საქმეს.

თუ რუსეთის ახლანდელ წყობილებაში არის რაიმე კომუნისტური, ეს არის მხოლოდ შაბათობა, დანარჩენი კი არის მხოლოდ ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ სოციალიზმის განსამტკიცებლად; სოციალიზმიდან კი მისი საბოლოო გამარჯვების შემდეგ უნდა აღმოცენდეს ის კომუნიზმი, რომელსაც შაბათობის დროს ჩვენ ვხედავთ არა წიგნებიდან, არამედ ცოცხალ სინამდვილეში.

ასეთია პრინციპიალური მნიშვნელობა შაბათობის, რომელიც გვიჩვენებს, რომ აქ, უფრო შრომის სახით, რომელიც ეწყობა მთელი სახელმწიფო საჭიროებისათვის, იქმნება და აღმოცენებას იწყებს სრული ახალი რამ, რაც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ყველა ძველ კაპიტალისტურ წესებს, რაღაც უფრო მაღალი, ვიდრე სოციალისტური საზოგადოება, რომელიც ამარცხებს კაპიტალიზმს. ამიტომ როდესაც წარსულ წელში ცაკას მოწოდებას ჩვენი ქვეყნისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, პირველად გამოეხმაურენ მოსკოვ — ყაზანის რკინის გზის მუშები, რომლებიც ცხოვრობდნენ უდიდესი შიმშილისა და უდიდესი გაჭირვების პირობებში, როდესაც გამოჩნდა იმის ნიშნები, რომ კომუნისტური შაბათობა აღარ წარმოადგენს ერთეულ მოვლენას, რომ ის ვრცელდება და პოულობს მასების თანაგრძნობას, — შეიძლებოდა იმის თქმა, რომ აქ ჩვენ გვაქვს უდიდესი მნიშვნელობის პრინციპიალური მოვლენა და რომ ჩვენ მას ნამდვილად უნდა აღმოუჩინოთ ყოველმხრივ დახმარება, თუ გვსურს ვიყოთ კომუნისტები არა მარტო პრინციპიალობის თვალსაზრისით, არა მარტო კაპიტალიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით.

სოციალისტურ საზოგადოების პრაქტიკული მშენებლობის თვალსაზრისით ეს კიდევ არაა საკმაო. უნდა დავამტკიცოთ, რომ სინამდვილეში მოძრაობის განხორციელება შეიძლება მასიური რაოდენობით. დავამტკიცეთ თუ არა ჩვენ ეს—მე ვერ ვკისრულობ ამაზე პასუხის გაცემას ვინაიდან ჯერ კიდევ არ გაკეთებულა საერთო ჯამები ამ მოძრაობისა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ შაბათობას. მე მაქვს მხოლოდ ნაწყვეტ - ნაწყვეტი ცნობები და წამიკითხავს პარტიულ პრესაში, რომ ეს შაბათობა სულ უფრო ვითარდება მთელ რიგ ქალაქებში. პეტროგრადელი ამხანაგები ამბობენ, რომ შაბათობა პეტროგრადში გავრცელებულია ბევრად უფრო ფართოდ, ვიდრე მოსკოვში. რაც შეეხება პროვინციას, ბევრი ის ამხანაგები, რომლებიც პრაქტიკულად არიან გაცნობილი ამ მოძრაობას თან, მეუბნებიან, რომ მათთვის გროვდება უდიდესი მასალები საზოგადოებრივი შრომის ამ ახალ ფორმის შესახებ. მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ეს საკითხი მრავალჯერ იქნება განხილული პრესაში და სხვადასხვა ქალაქების პარტიულ კონფერენციებზე, ჩვენ შევძლებთ მივიღოთ ის ნაკრები ცნობები, რომელთა მიხედვით ჩვენ შეგვეძლია ვთქვათ — ნამდვილად გახდა თუ არა შაბათობა მასიურ მოვლენად და ნამდვილად მივაღწიეთ თუ არა ჩვენ ამ დარგში სერიოზულ წარმატებებს.

როგორც არ უნდა იყოს, ადრე მივიღებთ ჩვენ ასეთ სრულ და შემოწმებულ ცნობებს, თუ გვიან, ჩვენთვის უეჭველი უნდა იყოს, რომ პრინციპიალური თვალსაზრისით ჩვენ გარდა შაბათობისა არ გვაქვს რაიმე სხვა მოვლენა, რომელიც აღნიშნავდეს იმას, რომ ჩვენ არა მარტო სახელად გვეწოდება კომუნისტები და არა მარტო გვსურს ვიყოთ კომუნისტები, არამედ საქმით ვანხორციელებთ რაღაც კომუნისტურს და არა მარტო სოციალისტურს. ამიტომ თვითეულმა კომუნისტმა და ყველამ, ვისაც სურს კომუნიზმის პრინციპებისადმი ერთგულად დარჩენა, ყველა ღონისძიება და მთელი ყურადღება უნდა მიმართოს იმისაკენ, რომ ხელი შეუწყოს ამ მოვლენის გაგრძელებას და მის პრაქტიკულ გამოყენებას. ასეთია შაბათობის პრინციპიალური მნიშვნელობა. ამიტომ ყოველ პარტიულ კონფერენციაზე უნდა დაუღალავად დავსვათ ეს საკითხი და განვიხილოთ იგი თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. ჩვენ არ უნდა შევზღუდოთ ეს მოვლენა მხოლოდ თეორიულ პრინციპიალური მხარით. კომუნისტური შაბათობა ჩვენთვის უდიდეს ღირებულებას წარმოადგენს არა მარტო იმიტომ, რომ ის პრაქტიკულად ანხორციელებს კომუნიზმს. ამას გარდა შაბათობას ჩვენთვის აქვს კიდევ ორმაგი მნიშვნელობა: სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით — სახელმწიფოსათვის წმინდა პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის თვალსაზრისით — და პარტიული თვალსაზრისით, რაც ჩვენთვის, პარტიის წევრებისათვის, დაჩრდილული არ უნდა იქნეს. ეს არის ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს შაბათობას პარტიის გასაწმენდად მასთან მიტმასნილ ელემენტებისაგან და ყველა იმ ზეგავლენებისაგან საბრძოლველად, რომლებიც განიცადა პარტიამ კაპიტალიზმის გახრწნის პირობებში".

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომპარტიის ცეკას ანგარიში

ამხ. რუძუტაკის მოხსენება თბილისის პარტკონფერენციის საღამოს სხდომაზე 25 ოქტომბერს

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა

ჩვენი პარტკონფერენციის მუშაობის მნიშვნელობა

ამხანაგებო, სანამ დავიწყებდე საანგარიშო მოხსენებას კომუნისტური პარტიის მეთოთხმეტე საკავშირო პარტყრილობის მიერ არჩეულ ცეკას მუშაობის შესახებ, ნება მომეცით მოგესალმოთ ამ ცეკას სახელით (ტაში).

ჩვენ პარტიულ კონფერენციებს—მათ შორის თბილ. პარტკონფერენციის მუშაობა პარტიის მეხუთმეტე ყრილობის წინ უდროსად დიდ მნიშვნელობას ღებულობს მრავალ მიზეზების გამო.

პირველი მიზეზია ის, რომ ჩვენ თქვენთან ერთად ვდღესასწაულობთ დედა-მიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე საბჭოთა ხელისუფლების და პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის პირველი ათი წლის თავს. ჩვენ თვალი უნდა გადავავლოთ ჩვენ წარსულ მიღწევებს, ჩვენ შეცდომებს. ჩვენ მოკლედ ჯამი უნდა გაუკეთოთ ყოველივე იმ ჯანსაღ მოვლენებს, რაც არის ჩვენ პარტიაში და ჩვენ ქვეყანაში და ანალიზი უნდა გაუკეთოთ იმ დაავადებულ, დამპალ მხარეებს, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს შემდგომ განვითარებას და ჩვენს მუშაობას.

მეორე მიზეზი—ეს არის საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც თანდათან რთულდება. აქ ჩვენ, საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავის დღესასწაულის დროს, ვიმყოფებით ერთგვარ გარდატეხის ხანაში. მთელი რიგი გარემოებანი და ფაქტები მოწმობენ, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია, რომელმაც დაჰკარგა საბჭოთა ხელისუფლების დაცემის იმედი, რომელმაც ვერ შესძლო საბჭოთა კავშირის დამონება ეკონომიური ინტერვენციის საშუალებით, ჩვენი მეურნეობის და მრეწველობის დაშლის საშუალებით,—ამ ბოლო დროს იმპერიალისტურ მტაცებლების ხელმძღვანელობით ცდილობს კვლავ მოაწყოს ჩვენი საბჭოთა კავშირის იზოლიაცია ან ახალი ბლოკადა, ან, თუ ეს მოხერხდა, ახალი შეიარაღებული თავდასხმა ჩვენს საბჭოთა კავშირზე. სწორედ ამიტომ ჩვენ უნდა გადავაფასოთ ყველა ჩვენი ღირებულებანი და ფხიზლად, თვალახელილი უნდა დავსახოთ ჩვენი შემდგომი გზა იმ დროშის ქვეშ, რომელიც აღმართა ჩვენი ლენინური პარტიის დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა—ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა. (ტაში).

კაპიტალიზმის სტაბილიზაციის ხასიათი

გადავდივარ რა ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობაზე, მე მინდა მოკლეთ შევჩერდე იმ შინაურ წინააღმდეგობებზე და ძალებზე, რომლებიც ამჟამად ამოძრავებენ კაპიტალისტურ ქვეყნების პოლიტიკას ურთი-ერთის მიმართ და ჩვენ საბჭოთა კავშირის მიმართ. თქვენ არა ერთხელ გაგიგონიათ, რომ კაპიტალისტურ მსოფლიოში ხდება ერთგვარი დროებითი ნაწილობრივი სტაბილიზაცია. გარეგნულად ეს თითქოს ასეც არის. თუ ჩვენ ავიღებთ კაპიტალისტურ ქვეყნების პროდუქციას, დავინახავთ, რომ ის საკმაოდ სწრაფად იზრდება. თუ 1913 წელს, ე. ი. უკანასკნელ წელს ომის წინ მივიღებთ 100 პროცენტად, ჩვენ დავინახავთ, რომ შეერთებულ შტატებში მომპოვებითი მრეწველობა გაიზარდა 150 პროცენტით. (ყველა ეს ციფრები ეკუთვნის 1926 წელს), დამუშავებითი მრეწველობა გაიზარდა 189,8 პროცენტით. ინგლისის წარმოებამ მიაღწია 99 პროცენტს, ე. ი. თითქმის ომამდე არსებულ დონეს, საფრანგეთმა—124 პროც.; გერმანიამ—112 პროც. ამგვარად, ჩვენ მართლაც ვხედავთ მეურნეობის ერთგვარ ზრდას, რომელიც თითქოს ამტკიცებს ამ ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობას. მაგრამ შეცდარი იქნებოდა ამ ქვეყნების მეურნეობის ზრდა წარმოგვედგინა, როგორც ნამდვილი სტაბილიზაცია. ეს იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, ამ ქვეყნებში, რომ არსებობდეს გეგმიანი მეურნეობა, რომ არ სწარმოებდეს მუდმივი კონკურენცია და ბრძოლა ცალკე წარმოებებს შორის; როგორც ცალკე სახელმწიფოება შიგნით, ისე ამ სახელმწიფოებს შორის.

თუ ავიღებთ მრეწველობის მეორე მაჩვენებელს—შრომის ნაყოფიერებას, დავინახავთ, რომ კაპიტალისტურმა მსოფლიომ ჩვენ ასე თუ ისე გაგვისწრო ამ სფეროშიაც. თუ ავიღებთ ლითონის, ე. ი. იმ მასალის წარმოებას, რომელზედაც ეყრდნობა მთელი მეურნეობა, სახალხო მეურნეობის ყველა ძირითად დარგების განვითარებას, ჩვენ დავინახავთ, რომ გერმანიაში, მაგალითად, ერთი ღუმელის პროდუქცია 1913 წელს ათასეულ ტონებში შეადგენდა 4,5,-ს, 1924 წელს—4,8-ს, ხოლო 1926 წელს—ივნისში უკვე—10,1-ს. ამრიგად, თვითეულ ღუმელის შრომის ნაყოფიერება თითქმის სამჯერ გაიზარდა.

ინგლისში 1924 წლის ღუმელების პროდუქცია უდრიდა 8,4-ს, ხოლო 1925 წლის სექტემბერში 5,1-ს. ამასვე ვხედავთ საფრანგეთში. ამასთან ერთად არსებობს მეორე მოვლენაც. ჩვენ ვხედავთ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად, წარმოების და მეურნეობის ზრდასთან ერთად ხდება მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა კლასის, მისი ძირითადი კადრის ერგვარი შემცირება.

ეს ნიშნავს იმას, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მეურნეობის ზრდა იწვევს ზედმეტ პროდუქციის დამზადებას და მრეწველობაში და წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვის შემცირებას.

აი, რაში მდგომარეობს კაპიტალიზმის დროებითი და ნაწილობრივი სტაბილიზაციის დარღვევის ძირითადი ელემენტი, რომელსაც ადგილი აქვს ამჟამად ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში.

ზოგიერთი ამხანაგი, ხედავს რა იმას, რომ წარმოებს კაპიტალიზმის სტაბილიზაცია და ამავე დროს კაპიტალი გვიტევს მთლიანი ფრონტით, პანიკაში ვარდება. ასეთი პანიკა გამოწვეულია იმით, რომ საკმაო პოლიტიკური და ეკონომიური ანალიზს არ უკეთებენ იმას, რაც ხდება ჩვენში და კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ჩვენ ვხედავთ, რომ თვით დროებითი სტაბილიზაცია შეიცავს ამ სტაბილიზაციის დარღვევის ახალ საფრთხეს, რევოლიუციონური მოძრაობის ახალ ტალღას, უმუშევრობისა და ეკონომიურ ნიადაგზე მუშათა უკმაყოფილების ახალ ტალღას. ამავე დროს დასავლეთ-ევროპას და ამერიკის მუშათა ესა თუ ის რაზმი ეკონომიურ ბრძოლასთან ერთად აუცილებლად გადადის პოლიტიკურ ბრძოლაზე; ეს ჩვენთვის სასიხარულო მოვლენა ამავე დროს არის ახალი ფაქტორი ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობის გარევოლიუციონერებისათვის.

ეხლანდელი მდგომარეობა მაინც შეიცავს ერთგვარ საშიშროებას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ შესაძლოა ახალი ომი ჩვენს წინააღმდეგ.

იმპერიალისტების მზადება ომისათვის

რაზეა დამყარებული ეს საშიშროება? იგი დამყარებულია ორ ფაქტზე. ის, რაც ამჟამად ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებში, შეიძლება დავახასიათოთ უპირველეს ყოვლისა, როგორც ცალკე წარმოებათა ბრძოლა, ცალკე ერების ბრძოლა საგარეო ბაზრისათვის, ვინაიდან წარმოების ასეთმა სწრაფმა ზრდამ, მაშინ როდესაც მოსახლეობა განიცდის შედარებით სიღატაკეს, აუცილებლად უნდა ეძიოს გასავალი საზღვარ-გარეთ ბაზარზე. კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ეხლა ასეთი ბაზარი არის ჩვენი საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, ნაწილობრივ სპარსეთი და ოსმალეთი. მაგრამ ყველა ეს ქვეყნები ცოტად თუ ბევრად დაზღურულია კაპიტალისტებისათვის და ამიტომ ისინი ხვდებიან, რომ მათ მშვიდობიანობას და მტკიცე მდგომარეობას ემუქრება ორი ისტორიული ფაქტი, პირველი—ჩინეთის რევოლიუცია, და მეორე—საბჭოთა კავშირის არსებობა, რომელიც მათი თვალსაზრისით შეიძლება მათთვის ყოფილიყო ასეთივე ბაზარი და რომელიც ამავე დროს არის რევოლიუციონური მოძრაობის კერა ყველა ქვეყნებისათვის.

ამიტომ, ვიმეორებ, კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაცია და ამ სტაბილიზაციის დამრღვევი ელემენტები შეიცავენ ახალი ომის საფრთხეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ვინაიდან ეს ომი კაპიტალისტებს [illegible] ორგვარ გამოსავალს. უპირველეს ყოვლისა, გამარჯვება საბჭოთა კავშირზე, მათი თვალსაზრისით მოსპობდა იმ რევოლიუციონურ კერას, საიდანაც ამჟამად იფანტება [illegible], რომელნიც რევოლიუციონურ ცეცხლს ანთებენ სხვა ქვეყნებში, და მეორე, ეს ბრძოლა გახსნიდა მისთვის ახალ უდიდეს ბაზარს.

„აი, ამიტომ კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ახალი ომი, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გეგმა დაისახეს როგორც ერთ-ერთი საშუალება მათ წინაშე წამოჭრილი ეკონომიური კრიზისის გადასაწყვეტად.

როგორია ამ ომის მიზნები? ეს მიზნები სავსებით ნათელია. უპირველეს ყოვლისა, ბაზრის დაპყრობა, ჩინეთის რევოლიუციის ჩახშობა, საბჭოთა კავშირის გადაქცევა კოლონიად, ჩვენი ქვეყნის გადაქცევა ისეთ ქვეყნად, რომელიც იქნება გამარჯვებული კაპიტალისტური ქვეყნების საქონლის მომხმარებელი.

მეორე მიზანია—ლიკვიდაცია, საბჭოთა კავშირის სახით, იმ რევოლიუციონური კერისა, რომელიც კაპიტალისტებს უშლის ხელს მათ ბრძოლაში საკუთარ პროლეტარიატთან. ამიტომ ახალი ომის ხასიათი შეიძლება განისაზღვროს არა როგორც ერების ომი, არამედ როგორც კლასების ომი, ვინაიდან აქ ამხედრებულია არა ერთი ერი მეორის წინააღმდეგ, არამედ კაპიტალისტების კლასი პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, და გამარჯვება ჩვენს კავშირზე ნიშნავს არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებას საბჭოთა კავშირში, არამედ რევოლიუციური ბრძოლის მრავალი წლით განადგურებას და ჩახშობას მთელ მსოფლიოში.

ეს ომი, მაშასადამე, არის კლასობრივი ბრძოლის მთელი ციკლის გაგრძელება, რომელიც უნდა დამთავრდეს ან პროლეტარიატის, ან კაპიტალიზმის დამარცხებით, თუ ყველგან არა, მთელ რიგ ქვეყნებში მაინც. მართალია, ყველა კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობები, მათ შორის ჩვენი სასტიკი მტრები—ინგლისის კონსერვატორები—გვეფიცებიან ყველა წმინდანებს (რომელნიც მათ არ სჯამთ), რომ მათ სურთ, რათაც არ უნდა დაუჯდეთ, მშვიდობიანობის შენარჩუნება. ამ მხრივ ისინი მოგვაგონებენ იმ მოძღვარს, რომელიც თავის სამწყსოს ეუბნებოდა: „თქვენ მოისმინეთ ჩემი სიტყვები, მაგრამ ჩემს საქმეებს ნუ უყურებთო“. თუ ჩვენ დაუკვირდებით იმას, რაც ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებში, ჩვენ დავინახავთ სრულიად საწინააღმდეგოს იმისა, რასაც ისინი ამბობენ, ჩვენ დავინახავთ, რომ სამხედრო ტეხნიკა უმჯობესდება, მომწამვლელ გაზების წარმოებამ მიაღწია ისეთ დონემდე, ისეთ უდიდეს რაოდენობამდე, სადამდეც არ მოუღწევია არც ომის და არც ომამდე არსებულ ხანაში.

არმიების, ფლოტის, საჰაერო შეიარაღების გადიდება—განა ყოველივე ეს არ მოწმობს იმას, კაპიტალისტური ქვეყნები, მიუხედავად იმისა რომ ხშირად გაიძახიან მშვიდობიანობაზე, ტეხნიკური მხრივ ემზადებიან, თავიდან ფეხებამდე იარაღდებიან და ამზადებენ ახალ ომს ერთმანეთს შორის და საბჭოთა კავშირთან. ამასვე მოწმობენ კაპიტალისტური ქვეყნების დიპლომატიური ღონისძიებანი. მთელი რიგი აქტები, მიმართული საბჭოთა კავშირის მიმართ, გვეუბნებიან, რომ მათ გადასწყვიტეს, რათაც არ უნდა დაუჯდეთ, ჩაგვაბან ომში. თავდასხმა ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე პეკინში, თავდასხმა არკოსზე ლონდონში, ამხ. ვოიკოვის მოკვლა, ურთიერთობის შეწყვეტის განზრახვა საფრანგეთის მიერ ამხ. რაკოვსკის გამოწვევის მოთხოვნასთან დაკავშირებით და სხ.,—განა ყველა ეს ღონისძიებანი არ მოწმობენ იმას, რომ კაპიტალისტები ცდილობენ საზღვარ-გარეთ მყოფი ჩვენი წარმომადგენლებისა და ორგანიზაციების სახით დასცენ ჩვენი პრესტიჟი, რომ გვაიძულონ ომის გამოცხადება. მაგრამ ეს ვაჟბატონები მოსტყუვდენ ანგარიშში. ჩვენ მშვიდობიანობას არ ვაძლევთ არც ფრაკს, არც ცილინდრს. ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვაძლევთ იმას, თუ როგორ შეაფასებს ჩვენს პრესტიჟს ჩემბერლენი ან მუსოლინი. ჩვენ განვიხილავთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ აფასებს ჩვენს პრესტიჟს მუშათა კლასი და გლეხობა, ხოლო ჩვენს მუშათა კლასს და ჩვენს გლეხობას კი სურს მშვიდობიანობა, მას უდიდესად სურს მშვიდობიანობა: ამიტომ ჩვენ ვაჟბატონებს ვეუბნებით: „თქვენ არღვევთ დიპლომატიის ელემენტარულ წესებს, თქვენ გინდათ გვაიძულოთ ომის დაწყება. ჩვენ ამის საშუალებას არ მოგცემთ. ჩვენ გაძლევთ წინადადებას მშვიდობიანი ეკონომიური ურთიერთობა დავამყაროთ, ჩვენ გაძლევთ გარანტიას, რომ არ ჩავერევით თქვენს შინაურ საქმეებში და მოვითხოვთ, რომ თქვენც არ ჩაერიოთ ჩვენს შინაურ საქმეებში. თუ თქვენ კავშირს სწყვეტთ ჩვენთან, შეურაცყოფას აყენებთ ჩვენს წარმომადგენლებს, ჩვენ ამას ვაფასებთ ისე, რომ თქვენ არ გსურთ ეკონომიური ურთიერთობის შენარჩუნება ჩვენთან და ამიტომ ჩვენ ვსწყვეტთ ამ ურთიერთობას და უკან ვიწვევთ ჩვენს წარმომადგენლებს, მაგრამ ომს არ გიცხადებთ. პრესტიჟის გულისათვის ჩვენ ომს არ გამოვაცხადებთ“.

ტეხნიკასთან და დიპლომატიასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ, რომ საზღვარ-გარედ სწარმოებს საზოგადოებრივი აზრის გაძლიერებული მზადება მომავალი ომისათვის, მომავალი კლასობრივი ბრძოლისათვის საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ. ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ამ მიზნით იყენებენ მთელ თავის კულტურას, ლიტერატურას და პრესას. არა მარტო ბურჟუაზიული და ლიბერალური წრეები, არამედ აგრეთვე ცრუ-რევოლიუციონური და ცრუ-სოციალისტური წრეებიც სავსებით ნათლად და გარკვეულად ქმნიან მთლიან ფრონტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩვენ ვხედავთ, რომ მოხერხებულად მზადდება ჩემბერლენისა და მაკდონალდის კავშირი, კავშირი ხიქსის—შინაგან საქმეთა მინისტრის და ხიქსის—ინგლისის პროფკავშირების გენერალური საბჭოს თავმჯდომარის. ჩვენ ვხედავთ, რომ ამოძრავებულია ყველა საშუალებები იმისათვის, რომ მოეწყოს იდეოლოგიური ერთიანი ფრონტი ჩვენი კავშირის წინააღმდეგ. რას ემყარება ჩვენს წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის ეს აგიტაცია? იმას, რომ თითქო კომინტ. ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ჩვენს კავშირს სურდეს ძალადობის გზით, კაპიტალისტურ ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევის საშუალებით დაამყაროს პროლეტარიატის დიქტატურა ამ ქვეყნებში. ხელოვნურად ღვივდება მუშათა ფართო მასების ნაციონალური თავმოყვარეობა, ცდილობენ დაუმტკიცონ მათ, რომ რუსეთის მუშებს სურთ აწარმოონ ინგლისელ მუშათა მმართველობა, რომ რუსეთის მუშებს საკავშირო პროფსაბჭოს საშუალებით სურთ აწარმოონ ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს მმართველობა, რომ „მოსკოვს“ სურს აწარმოოს მუშათა კომუნისტური პარტიების მმართველობა; ამიტომ მუშების დამოუკიდებლობისა და ინიციატივის სახელით ამ ქვეყნების მუშებს ეძლევა წინადადება გაერთიანდნენ კაპიტალთან ერთად ჩვენს კავშირთან და ჩვენს პროლეტარიატთან საბრძოლველად.

ომის საშიშროება და ჩვენი ამოცანები

როგორია ჩვენი ამოცანები იმ საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც შექმნილია ამჟამად? უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ჩვენმა პარტიამაც და ჩვენმა მთავრობამაც უნდა მიიღონ ყოველივე ზომები იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ომის საშიშროება და, თუ ჩვენ ვერ შევსძლებთ ახალი ომის აცილებას, ყოველ შემთხვევაში უნდა შევსძლოთ მისი დიდი ხნით გადადება. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენ შევსძლოთ საბჭოთა კავშირისათვის საკმაოდ მტკიცე ეკონომიური ბაზის შექმნა. ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მწიფდება პოლიტიკურ-ეკონომიური კრიზისები და ამიტომ, რამდენადაც შორს შევსძლებთ გადავსდოთ ახალი შემოტევა ჩვენს წინააღმდეგ, მით უარესი იქნება კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, მიუხედავად მათი ტეხნიკისა და კულტურისა, მით უფრო ცუდათ შეიძლება გათავდეს მათთვის, მათი ბრძოლა ჩვენ წინააღმდეგ, ვინაიდან დაიწყება ახალი აღელვარება, ახალი რევოლიუციონური მოძრაობა მუშათა ფართო წრეებში იმ ეკონომიურ კრიზისის ნიადაგზე, რომელიც იხატება ამჟამად დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში.

ჩვენი მეორე ამოცანა—ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის გაძლიერება. მართალია, ეს ძლიერ მძიმე ამოცანაა, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს შინაგან საჭიროებებს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქონლის ნაკლებობა ჯერ კიდევ არ არის სავსებით დაძლეული, რომ საკმაოდ არ არის გაშლილი მრეწველობა, არ დასრულებულა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გეგმა; ასეთ მდგომარეობაში ყოველივე დაგვიჯდება თუნდაც მანეთის, თუნდაც კაპეიკის, მოასწავებს ჩვენი ქვეყნის განვითარების ტემპის შენელებას, ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენის ტემპის შენელებას.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ გარეშე ძალებს, მხოლოდ შეიარაღებულ თავდასხმას შეუძლია ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის დარღვევა; ამიტომ ახლავე, ამავე მომენტში უნდა მივიღოთ საკმაო, რა თქმა უნდა, ჩვენი საშუალებებისა და მატერიალური შესაძლებლობათა შესაფერი ზომები ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გასაძლიერებლად; ეს ზომები მიღებულ უნდა იქნას როგორც მრეწველობის, ისე წითელი არმიის განმტკიცების ხაზით, მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მისი ტეხნიკური და მორალური მომზადების ხაზით, და არა მარტო წითელი არმიის მომზადების, არამედ მთელი მშრომელი ხალხის მომზადების ხაზითაც.

როგორი ძალთა განწყობილება შეიძლება შეიქმნას მომავალ ომში ვინ შეიძლება გახდეს ჩვენ მოკავშირეთ? რა თქმა უნდა, ჩვენი მტერი ყველასთვის ნათელია—ეს არის მსოფლიო კაპიტალი. ჩვენი მოკავშირენი შეიძლება გახდეს მხოლოდ მუშათა კლასი და მშრომელი მასები, მხოლოდ მათში შეგვიძლია ვპოვოთ ჩვენ საიმედო დასაყრდენი. ამიტომ ჩვენი ამოცანები საერთაშორისო პოლიტიკის დარგში უნდა მდგომარეობდეს არა მარტო იმაში, რომ მშვიდობიანობა და ნორმალური ურთიერთობა დავამყაროთ დასავლეთის სახელმწიფოებთან. ამასთან ერთად ჩვენმა კომპარტიამ, რამდენადაც ის წარმოადგენს კომინტერნის სექციას, კომინტერნის საშუალებით უნდა დაიწყოს გაძლიერებული აგიტაცია და მომზადება მუშათა მთლიანი ფრონტის შესაქმნელად შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ. ამ მხრივ ჩვენ უნდა მოვახდინოთ მუშათა კლასის ყველა ძალების მობილიზაცია. ჩვენ მომზადება უნდა ვაწარმოოთ იმ ანგარიშით, რომ ახალი იმპერიალისტური ომის გამოცხადების მომენტისათვის ჩვენ გვეყოლებს ზურგი მოკავშირენი კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა წამოვაყენოთ საბჭოთა კავშირის აუცილებელი, რევოლიუციონური დაცვის ლოზუნგი, რათა სრულიად ნათელიყო, რომ ბრძოლა ჩვენი კავშირის წინააღმდეგ, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ, არის ბრძოლა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის წინააღმდეგ. აქვე უნდა ითქვას, რომ თავს მოიტყუებენ ისინი, ვინც ფიქრობს, რომ შეიძლება ცილისწამება ჩვენს პარტიაზე, ჩვენს მთავრობაზე და ამავე დროს მთლიანი ფრონტის მოწყობა ჩვენი კავშირისა და მუშათა კლასის დასაცავად. ეს სრულიად უაზრო საქმეა, ვინაიდან ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთ ევროპის მუშები ისეთი ხალხია, რომელსაც შეუძლია აფურთხოს ჯამში და შემდეგ ამ ჯამიდან სჭამოს შეჭამანდი. რა თქმა უნდა ეს შეუძლებელია, ამიტომ ყოველივე ცილისწამება ჩვენს პარტიაზე, ყოველივე სახელის გატეხა ჩვენი პარტიისათვის არღვევს მუშათა კლასის მთლიან ფრონტს ჩვენი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაცვის საქმეში და ამავე დროს ამზადებს ჩვენი საბჭოთა კავშირისათვის ომის გამოცხადების მორალურ და ფაქტიურ შესაძლებლობას, საზოგადოებრივ შესაძლებლობას.

ჩვენთვის ომის გამოცხადების შემთხვევაში ჩვენ უნდა ვაწარმოოთ აგიტაცია „პორაჟენცობის“ სასარგებლოთ, პორაჟენცობის სასარგებლოთ კაპიტალისტურ არმიებში და კაპიტალისტურ ქვეყნებში, ჩვენ უნდა ვაწარმოოთ აგიტაცია იმისათვის, რომ კაპიტალისტური არმიების არც ერთმა ჯარისკაცმა არ ისურვოს კაპიტალიზმის გამარჯვება ჩვენს საბჭოთა კავშირზე. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ აგიტაცია იმისათვის, რომ კაპიტალისტურ ქვეყნების ყველა მუშებმა, ჩვენზე თავდასხმის შემთხვევაში, ხელი შეუწყონ საკუთარი მთავრობების დამარცხებას. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ აგიტაცია იმისათვის, რომ ომი, რომელსაც უცხადებენ ჩვენს კავშირს დიდი კაპიტალისტური ქვეყნები, გადაიქცეს სამოქალაქო ომად, რათა ჩვენს წინააღმდეგ გამოსულ კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა კლასმა მოაბრუნოს შაშხანები და ხიშტები საკუთარი მთავრობების წინააღმდეგ.

ამით მე ვათავებ საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვას. არ ვეხები ცალკე მომენტებს, ვინაიდან ვფიქრობ, რომ ჩვენი საგარეო ურთიერთობის ყველა მხარეებს თქვენ იცნობთ ნაწილობრივათ გაზეთებიდან, ნაწილობრივათ კრებებზე წარმოდგენილ ინფორმაციიდან. გადავდივარ ჩვენს საშინაო მდგომარეობაზე.

სამეურნეო მშენებლობის საკითხები

ეხლანდელი მომენტის თავისებურობანი

რაში გამოიხატება ეხლანდელი მომენტის პირველი თავისებურება ჩვენ საშინაო აღმშენებლობის მიმართ? ეხლანდელი მომენტის თავისებურებაა—ჩვენი საგარეო ურთიერთობის გამწვავება. ეს ნიშნავს ჩვენი საშინაო აღმშენებლობის ზრდის რამოდენიმეთ შეფერხებას. თქვენ იცით, რომ ჩვენი ინდუსტრიალიზაციის გეგმა, ჩვენი ქარხნების აგების გეგმა, ისეთი ქარხნების, რომლებიც დაამზადებენ არა მარტო მოხმარების პროდუქციას, არამედ მოწყობილობასაც, ამჟამად უნდა შევცვალოთ.

აქამდის ჩვენ საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა საქონლის დიდი რაოდენობა, მაგრამ უკანასკნელ დროს ჩვენ თავი გავანებეთ ზედმეტ ფატალისტურ მორჩილებას, რომელსაც ჩვენი სამეურნეო მუშაკები გამოხატავდენ სიტყვებში: „ომამდე ასეთი მდგომარეობა იყო, მაშასადამე, ეხლაც ასეთი უნდა დარჩეს“. ეს რუბიკონი, ეს მოჯადოებული წრე, რომელსაც ჰიპნოზის ქვეშ ჰყავდა ჩვენი სამეურნეო მუშაკები, ჩვენ ამჟამად გადავლახეთ და დავამტკიცეთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ისეთი წარმოების მოწყობაც, რომელიც ჩვენ აქამდის არ გვქონია. ჩვენ მიმდინარე წლის უშვებთ პირველ მანქანებს საფეიქრო ფაბრიკებისათვის, შარშან ჩვენ გამოუშვით პირველი საბჭოთა მოტორი ჰაეროპლანისათვის, ჩვენ ვამზადებთ დიზელებს, შევქმენით ავტომობილების წარმოება, ვქმნით ქიმიურ მრეწველობას, მართალია, უმთავრესად, სამშვიდობო მიზნებისათვის, ჩვენ შევქმენით ხელოვნური სასუქის ქარხანა, საფეიქრო და ლითონის მრეწველობის დამხმარე ქიმიური წარმოებები.

ამ მხრივ ჩვენ მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ იმასთან შედარებით, რაც იყო ომამდე. ამგვარათ, ჩვენ ვისწავლეთ ზოგიერთი რამ, რაც არ ვიცოდით წინად, მუშათა კლასმა ისწავლა არა მარტო ბრძოლა მტრების წინააღმდეგ, არამედ სახელმწიფოს შენებაც.

ჩვენი ეკონომიური ურთიერთობის შემცირება საზღვარგარეთთან, ექსპორტის და იმპორტის შემცირება ნიშნავს ამ მოწყობილობის რაოდენობის შემცირებას, რომელიც შემოგვქონდა ახლად ასაგებ ქარხნებისა და წარმოებათათვის, ხოლო ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ამ წარმოებებს მოვაწყობთ მაშინ, როცა თვით შევძლებთ ამ მოწყობილობის დამზადებას საკუთარ ქარხნებში და ფაბრიკებში. ჩვენ ეს უკვე დავიწყეთ. თქვენთან ზაჰესში მუშაობს ელექტრონის ტურბინა, რომელიც აგებულია ჩვენს [illegible] არაფრით არ ჩამოუვარდება უცხოეთისას. ეს ამტკიცებს, რომ ჩვენ შეგვიძლია იმის გაკეთება, რაც ჩვენთვის საჭიროა, მაგრამ ჩვენ ვაკეთებთ ჯერ ცოტას, ძვირათ და დიდ დროს ვხარჯავთ. აი, საითკენ უნდა იქნას მიპყრობილი მთელი ჩვენი ყურადღება. ჩვენ უნდა ვაკეთოთ უფრო ჩქარი ტემპით, უკეთესად და უფრო იაფად, ვინემ ვაკეთებდით აქამდე, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში დავაღწევთ თავს ეკონომიურ დამოკიდებულებას კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან, დამოკიდებულებას, რომელიც აიხსნება მით, რომ ჩვენ იძულებული ვართ ვიყიდოთ მათგან ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობა.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი უნარის გაძლიერების აუცილებლობა რამოდენიმეთ ეწინააღმდეგება ინდუსტრიალიზაციის გეგმას, იმიტომ, რომ ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ვაძლევთ სამხედრო მრეწველობას, ყველაფერი, რასაც ჩვენ ვიტოვებთ, როგორც ფულად რეზერვს ომის შემთხვევისათვის, ყველაფერი, რასაც ჩვენ ვანდომებთ მრეწველობის და ტრანსპორტის მობილიზაციას, მომზადებას,—ყველაფერი ეს პროლეტარულ სახელმწიფოსათვის წარმოადგენს მკვდარ კაპიტალს, იმიტომ, რომ ჩვენ არ გვინდა ომი. ჩვენთვის საშუალებათა ყოველგვარი ჩადება ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის საქმეში არის საშუალებათა ჩამოშორება მრეწველობისა და მეურნეობისაგან. იმავე დროს ჩვენ მეტად გულუბრყვილო და წინდაუხედავი ვიქნებოდით, რომ არ ვხედავდეთ, რომ ჩვენ მივყევით ომის საფრთხეზე და ომისათვის არა საკმაოდ მომზადება დაგვიჯდება ჩვენს კავშირს. ამიტომ, მიუხედავად ყველა ჩვენ დაბრკოლებებისა, ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური სიღარიბისა, ჩვენ უკვე მომავალი წლის ბიუჯეტში უნდა გამოვყოთ მნიშვნელოვანი თანხები, წარსულ წელთან შედარებით, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გასადიდებლათ ყველა მიმართულებით.

მაშასადამე, პირველი თავისებურება—ჩვენი საგარეო ურთიერთობის გართულება ერთგვარ ბეჭედს ასვამს ჩვენს საშინაო აღმშენებლობას. გვაიძულებს ჩვენ გავადიდოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა, რაც გვართმევს ჩვენი მეურნეობისათვის საჭირო ზოგიერთ საშუალებებს.

მეორე თავისებურობა, რომლისთვისაც ჩვენ მზათ უნდა ვიყვეთ, ეს შესაძლებელი მოუსავლიანობა. ჩვენ ზედიზედ გვქონდა სამი მოსავლიანი წელი და არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ მიმდინარე წელიც მოსავლიანი იქნება. შესაძლებელია, მიმდინარე წელი მოსავლიანიც იქნეს, მაგრამ ჩვენ მზად უნდა ვიყვეთ უარესისათვისაც, ე. ი. მზად უნდა ვიყვეთ იმ შემთხვევისათვის, თუ მიმდინარე წელი მოუსავლიანი გამოდგა. ეს კი უფრო მოითხოვს ჩვენგან საშუალებათა მომარაგებას მოუსავლიანობის შემთხვევისათვის. ჩვენ უნდა შევქმნათ სახელმწიფო პურის ფონდი, უნდა შევქმნათ თესლეულის ფონდი იმ რაიონის გლეხობისათვის, სადაც მოუსავლიანობა იქნება, უნდა შევქმნათ აგრეთვე პურის და საკვების ფონდი იმ შემთხვევისათვის.

ასეთია მიმდინარე მომენტის თავისებურობა. ეს მოითხოვს ჩვენგან საშუალებათა გამოყოფას არა მათ პირდაპირი დანიშნულებისამებრ, არა იმ მიზნებისა და ამოცანებისათვის, რომელიც დასახული ჰქონდა ჩვენი პარტიის მე-14-ე ყრილობას, როგორც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხაზით, ისე სოფლის მეურნეობის განვითარების ხაზითაც.

ორი უკიდურესობა

როგორი უნდა იქნეს ჩვენი სამეურნეო პოლიტიკა? ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ და ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ თავისებურობას, რომელიც მე აღვნიშნე და უპირველესად ყოვლისა, როგორც ცეცხლს უნდა გაუფრთხილდეთ ორ უკიდურესობას, ორ შეცდომას. პირველი უკიდურესობა—ჩვენი მეურნეობის და სახელმწიფოს ყველა ძალების მთლიანათ გამოყენება ქვეყნის თავდაცვისათვის, ე. ი. ლოზუნგის წამოყენება: „ყველაფერი ქვეყნის თავდაცვისათვის“. ეს გამოიწვევდა ჩვენი მეურნეობის დასუსტებას, ვინაიდან არმიის ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მრეწველობა და საერთოდ მეურნეობა სათანადო სიმაღლეზე იდგომებიან. ამიტომ მეურნეობის გადამეტების შესუსტება გამოიწვევდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის შესუსტებასაც.

მეორე საფრთხე, მეორე უკიდურესობა, რომელსაც უნდა გაუფრთხილდეთ, იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი ამხანაგები სათანადოთ ვერ აფასებენ ომის საშიშროებას და ფიქრობენ, რომ ომი შეიძლება არც იქნეს და ჩვენ ამიტომ ტყუილად ვახდენთ ძალების მობილიზაციას, ტყუილად ვამზადებთ ჩვენს ქვეყანას თავდაცვისათვის თავდასხმის მოლოდინში. ეს ლოზუნგი უფრო სახიფათოა. ჩვენ საკმარისი საშუალებები უნდა გამოვყოთ იმისათვის, რომ ჩვენი ეკონომიკა, ჩვენი ტეხნიკა, ჩვენი სამხედრო მრეწველობა და არმიის მომზადება ვითარდებოდეს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობასთან ერთად. აქ ჩვენ უნდა გამოვნახოთ ის საშუალო ხაზი, საშუალო ციფრი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა უნდა გავიღოთ ქვეყნის თავდაცვისათვის და რა უნდა დავსტოვოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის შემდგომ განვითარებისათვის. ეს ძნელი ამოცანაა, მაგრამ ეს ამოცანა გადაჭრილ უნდა იქნეს ახალი სამეურნეო წლის სახელმწიფო ბიუჯეტით.

ამ საკითხის გარშემო ჩვენი პარტიის აგვისტოს პლენუმმა გამოიტანა გარკვეული დადგენილება ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ეს დადგენილება დღესაც ძალაში რჩება.

ამ დადგენილებაში ნათქვამია:

„თუ ანგარიშს გაუწევთ იმ ახალ ამოცანებს, რომლებიც სდგებიან საბჭოთა კავშირის მრეწველობის წინაშე, საჭიროა გამოვიდეთ იმ გარემოებიდან, რომ მთელი ენერგიული გატარება პარტიის კურსისა, რომელიც მიმართულია მთელ სახ. მეურ. სოციალისტური ელემენტების კოლექტიური ზრდისაკენ (ინდუსტრიალიზაციის განხორციელება, მუშათა კლასის ხვედრითი წონის გადიდება, დახმარების აღმოჩენა სოფლის ღარიბ ფენებისათვის და ხელის შეწყობა საშუალო ფენებისათვის, კულაკის ექსპლოატატორული ტენდენციების მაქსიმალური შეზღუდვა).—მხოლოდ ამ კურსის ენერგიული გატარება წარმოადგენს ძირითად წინასწარ პირობას ბურჟუაზიულ მსოფლიოსთან შესაძლებელ შეტაკებისათვის ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურად მოსამზადებლად. ამიტომ სპეციფიურ ამოცანების გადაწყვეტამ, რაც დაკავშირებულია საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლასთან, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეაფერხოს პარტიის მიერ შემუშავებული სამეურნეო მშენებლობის საერთო პროგრამა.

ამ პირობებში სოც. მშენებლობის პროგრამის შემდგომი განხორციელება დაკავშირებულია მთელ რიგ ახალ სიძნელეთა დაძლევასთან. ეს სიძნელეები პირველ ყოვლისა გამომდინარეობენ იქიდან, რომ აუცილებელია მნიშვნელოვან საშუალებათა გადადება რეზერვების შესაქმნელად და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გასაძლიერებლად. მაგრამ მიუხედავად ამისა, ცეკას და ცენტრ. საკ. კომისიის გაერთიანებული პლენუმი აღიარებს, რომ სამეურნეო მშენებლობაში უკანასკნელ დროს მიღებული შედეგები შესაძლებელს ხდიან მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების პროგრამის განხორციელებას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და მსხვილი ინდუსტრიის და მუშათა კლასის ხვედრითი წონის ყოველწლიურად გადიდების ნიადაგზე“.

ჩვენ ვხედავთ, რომ ეს რეზოლიუცია საკმარისად ეხება როგორც ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას, ისე ინდუსტრიის და სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარების უზრუნველყოფას, რაც ნამდვილი საფუძველია ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის ომის საფრთხის დროს.

სოციალისტური მშენებლობის სიძნელენი

რაში მდგომარეობს ჩვენი დაბრკოლებანი ამჟამად სამეურნეო მშენებლობის საქმეში? ამაზე მე მოკლედ ვილაპარაკებ ამიტომ დავასახელებ ძირითად მომენტებს ამ დარგში, პირველი დაბრკოლება არის ის, რომ ჩვენ არა გვაქვს საკმაო საშუალებანი და ამავე დროს მეტად მოკლე ხნის განმავლობაში უნდა დავაყენოთ ჩვენი მრეწველობა ისეთ ნიადაგზე, რომ გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა, შევამციროთ საქონლის ნაკლებობა, გავაუმჯობესოთ მასიური მოხმარების პროდუქტების მიწოდება მოსახლეობისათვის. მეორე მომენტი, რომელიც დაბრკოლებებს ქმნის ჩვენს წინაშე ამჟამად, მდგომარეობს ჩვენი მრეწველობის ხასიათში. მეურნეობისათვის გადადებულ მთავარ საშუალებებს, ჩვენ ვახმართ კაპიტალურ სამრეწველო მშენებლობას, მრეწველობის იმ დარგების შექმნას, რომელნიც დღემდე არ გვქონდა, ან სუსტად იყო განვითარებული: 1) ლითონის მრეწველობა, 2) ლითონის გადამამუშავებელი მრეწველობა, 3) ტრანსპორტი.

ყოველივე ეს მოითხოვს უდიდესი ხარჯების გაღებას და ამ სამეურნეო წელში ჩვენ მანქანების მშენებლობას, ქარხნების აგებას, და სხ. უნდა მოვანდომოთ რამოდენიმე ათეული მილიონი მანეთი, მაგრამ აქედან პროდუქციას ხოლოდ 4—5 წლის შემდეგ მივიღებთ.

ხარჯები ახალი ქარხნებისათვის მძიმე მრეწველობის დარგში და ტრანსპორტისათვის ამჟამად არ გვაძლევს უშუალო პროდუქციას მუშათა და გლეხთა ფართო მასების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ე. ი. ჩვენ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ჩვენს სამრეწველო აღმშენებლობაში ვაბანდებთ მკვდარ, უძრავ კაპიტალს, რომელიც ბრუნვას დაიწყებს მხოლოდ 4—5 წლის შემდეგ. ჩვენ ასეთი დიდი კაპიტალის დაბანდება უმტკივნეულოდ შეგვეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ საკმაოდ მდიდრები ვიყოთ და გვქონდეს საკმაო საბრუნავი თანხები. ჩვენ კი არა გვაქვს ეს საბრუნავი თანხები და ამიტომ ინდუსტრიალიზაციის ის გეგმა, რომელიც ჩვენ უნდა გავატაროთ რითაც არ უნდა დაგვიჯდეს, რასაკვირველია ქმნის მნიშვნელოვან დაბრკოლებას შინაურ საქონლის ბაზარზე, ფასების დარგში პროლეტარიატისა და გლეხობისათვის მასიური მოხმარების პროდუქტების მიწოდების დარგში. პურის ფონდი მოუსავლიანობის შემთხვევისათვის ჩვენ მომავალ წელში გათვალისწინებული უნდა გვქონდეს 50—60 მილიონი მანეთის რაოდენობით. საერთაშორისო მდგომარეობის ყოველგვარი გართულების შემთხვევისათვის ჩვენ უნდა გვქონდეს ვალიუტის რეზერვიც, რომელიც ჯერ კიდევ არ არის საკმაო. ახალი მშენებლობისათვის, მრეწველობის კაპიტალური ხარჯებისათვის, რომელიც 1927—28 წელში ჯერ კიდევ არ მოგვცემს არავითარ პროდუქციას, ჩვენ ვსდებთ 600 მილ. მანეთს. ამგვარად, ჩვენ ვხარჯავთ 1 მილიარდ მანეთამდე კაპიტალს, რომელსაც არ შეუძლია უშუალო შედეგების მიცემა ჩვენი ქვეყნის საქონლიანობის გაუმჯობესებისა, საქონლის ნაკლებობის შემსუბუქებისათვის. მაგრამ ეს ხარჯები უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას, მრეწველობის შემდგომ განვითარებას, წარმოებათა მოწყობილობას სასოფლო სამეურნეო მანქანების მიწოდებას ჩვენი ქვეყნისათვის და სხ.

პარტიის ეკონომიური პოლიტიკა სწორია

სწორი იყო თუ არა ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი ატარებდა მე-14 ყრილობის შემდეგომი ხანის განმავლობაში? მე ვფიქრობ, რომ მეურნეობის ზრდის მაჩვენებელი ციფრები, რომელნიც ჩვენ გვაქვს, უკვე ცხადად მოწმობენ იმას, რომ კურსი სავსებით სწორად იყო აღებული. მაგალითად, მსხვილი მრეწველობის წარმოების დარგში ჩვენ გვაქვს ზრდა 29 პროცენტი 1925—26 წელთან შედარებით; თანხების ბრუნვა საგარეო ბაზარზე 1926—27 წელში 10—12 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე წინა წელში; ტეხნიკური კულტურების ზრდა სასოფლო მეურნეობაში უდრის 20 პროცენტს, მესაქონლეობის ზრდა სოფლად უდრის 7—8 პროც.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი ატარებდა მე-14 ყრილობის შემდეგ, სავსებით სწორია. ამ პოლიტიკამ ჩვენ პრაქტიკულად გვიჩვენა, რომ იგი იძლევა ჩვენი მეურნეობის არა მარტო ზრდას, არამედ მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ პოლიტიკამ ამასთან ერთად მოგვცა საშუალება მთელი რიგი შეღავათები მიგვეცა ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობისათვის და ამგვარად დავიმარჯვებდით მათ კულაკთან ბრძოლაში, რომელიც ამჟამად ეკონომიურ ნიადაგზე აწარმოებს სოფლად.

ამნაირად, ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა სწორი იყო, ვინაიდან მან განამტკიცა ჩვენი კავშირი და ამასთან ერთად გააუმჯობესა მუშათა და გლეხთა ფართო მასების ნივთიერი მდგომარეობა.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და თავდაცვის უნარიანობისათვის მიღებულ ძირითად ღონისძიებათა გარდა, ცენტრალურმა კომიტეტმა განვლილი ორი წლის განმავლობაში წამოაყენა მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ჩვენს სამეურნეო მშენებლობას. ცენტრალურმა კომიტეტმა გადმოისროლა ლოზუნგი „მომჭირნეობის რეჟიმი!“ მართალია, ჩვენს წრეში ბევრი „ურწმუნო თომა“ იყო, რომელნიც ამბობდენ, რომ ეს არის მხოლოდ სიტყვები და რომ მომჭირნეობის რეჟიმს ჩვენ ვერ გავატარებთ. მაგრამ ის ნაბიჯები, რომელნიც განხორციელდა მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და სათანადო სახალხო კომისარიატების საშუალებით, გვიჩვენებს, რომ ჩვენ ამ მხრივ ძალიან დიდ შედეგებს მივაღწიეთ. ჩვენ მივაღწიეთ ადმინისტრატიული აპარატის შემცირებას მთელ რიგ დაწესებულებებში 40 და მეტი პროცენტით. ამგვარად, ადმინისტრატიული აპარატის ხარჯების შემცირების საშუალებით ჩვენ შევძელით გადაგვეტანა თანხები მრეწველობის და მშენებლობისათვის, ე. ი. ფული კანცელარიიდან ჩვენ შევძელით გადაგვეტანა სახელოსნოებსა და ქარხნებში და აგრეთვე ღარიბ და საშუალო გლეხობის დასახმარებლად და ამავე დროს გავაჯანსაღოთ ჩვენი მეურნეობა.

ჩვენ ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაგვიკეთებია ამ დარგში და ამიტომ ჩვენს წინაშე დგას გადაუდებელი მორიგი ამოცანა: ბრძოლა არა მარტო თვით აპარატის გამარტივებისათვის, არამედ საქმეების მსვლელობის გამარტივებისათვისაც. ჩვენი მეურნეობის სათანადო სოციალისტურ საფუძვლებთან შეფარდებულ ანგარიშიანობის ახალ ფორმების დაწესებისათვის, არა ისეთი ანგარიშიანობის წარმოების, რომლის საშუალებით ჩვენ ქურდებს დავიჭერდით (ამისათვის არსებობს სისხლის სამართლის მაძიებელი ორგანოები), არამედ ისეთი ანგარიშიანობის, რომელიც მოკლედ დაგვისურათებდა ამა თუ იმ წარმოების მდგომარეობას, მის ეკონომიურ მდგომარეობას და სხ. ეს საშუალებას მოგვცემს შევამოკლოთ ზედმეტი ხარჯები და ასობით ათასი მილიონი მანეთები გადავიტანოთ კანცელარიებიდან წარმოებაში, ფაბრიკასა, ქარხანასა, სოფელში.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული მეორე ძირითადი ამოცანა—ფასების, თვით ღირებულების დაკლება, ეს ამოცანა არის ერთი ძირითადი პრაქტიკული ამოცანათაგანი, რომელიც წამოჭრილია პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, ვინაიდან თვითღირებულების გაიაფების საკითხი ეს არის საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენ საზღვარგარეთისაზე უფრო იაფი საქონელი უნდა დავამზადოთ, რომ ჩვენ უნდა წამოვეწიოთ ამ მხრივ, რათა ჩვენი საქონელი არ იყოს ძვირი დასავლეთ ევროპასა და ამერიკასთან შედარებით ეს ერთის მხრივ.

მეორეს მხრივ—თვითღირებულების დაკლება აშორებს სახელმწიფოს იმ საქონლისაგან მიღებული ზარალის დაფარვის აუცილებლობას, რომლებსაც თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასებში ვაწვდით მოსახლეობას. მაგალითად, მთელი რიგი სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანები ჩვენ მივაწოდეთ გლეხობას 1913 წლის ფასებში, მიუხედავად იმისა, რომ ეს მანქანები ჩვენ გაცილებით ძვირი დაგვიჯდება. მესამე—თვითღირებულების გაიაფებამ (და ეს კი ყველაზე მთავარი და ძირითადია თვითღირებულების დაკლებაში) უნდა გააუმჯობესოს მუშათა ფართო მასებისა და გლეხობის მატერიალური მდგომარეობა, ვინაიდან მუშათა კლასის კეთილდღეობა მდგომარეობს არა ნომინალურ სამუშაო ხელფასში, არამედ იმაში, რომ მუშას თავის სამუშაო ხელფასით შეეძლოს მისთვის საჭირო სამომხმარებლო პროდუქტის შეძენა. ფასების და თვითღირებულების დაკლება არის მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი და ამასთან ერთად ეს არის ქალაქისა და სოფლის დაკავშირების საკითხი. ვინაიდან თუ გლეხობა ხელმისაწვდომ ფასებში მიიღებს ქალაქის ნაწარმოებს, მაშინ ის აღარ აღძრავს საკითხს პურის ფასის გადიდების შესახებ, საკითხს იმის შესახებ, რომ არ ღირს სასოფლო მეურნეობისათვის ხელის მოკიდება.

ამ საკითხში იფარება ჩვენი საშინაო ეკონომიური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა და ამ მხრივ გასულ წელს ჩვენ საკმაოდ დიდ შედეგებს მივაღწიეთ. ჩვენ მივაღწიეთ ფასების 10—12 პროცენტით დაკლებას კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობაში, ხოლო 6—8 პროცენტით კერძო ვაჭრობაში, ეს მხოლოდ დასაწყისია.

ყველა ჩვენს ეკონომიურ ღონისძიებებთან ერთად ურყევი უნდა დარჩეს საცალო ფასების დაკლების პოლიტიკა. გასულ წელს მრეწველობაში და არა სამმართველო აპარატში ჩაბმულ დაზგის მუშების საერთო მასა გაიზარდა 3—4 პროცენტით. 1925—26 წელში ის გაიზარდა კიდევ 5—6 პროცენტით. 1927—28 წლის საწარმოო გეგმით განზრახულია მისი გადიდება კიდევ 3—4 პროც.

ამავე დროს ჩვენ ვხედავთ სამუშაო ხელფასის ფონდის მნიშვნელოვან ზრდას. ცეკას გადაწყვეტილებით მომავალი წლის ბიუჯეტში განვლილ სამეურნეო წელთან შედარებით გათვალისწინებულია მარტო სამრეწველო წარმოებების მუშათა ხელფასის გადიდება 100 მილიონი მანეთით.

ამნაირად ჩვენ კიდევ ერთხელ ვხედავთ, რომ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა მიმართულია ჩვენი მეურნეობის განმტკიცებისა და მუშათა კლასისა და გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

მრეწველობის სწრაფი ზრდა აძლიერებს მუშათა კლასის ძლიერებას, ზრდის მუშების ძირითად კადრს, რომელიც არსებითად წარმოადგენს მამოძრავებელ და ხელმძღვანელ ძალას საბჭოთა კავშირში.

შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის განვითარებამ წარსულ წელს დიდი შედეგები მოიტანა კერძო ვაჭართან ბრძოლის საქმეში. ჩვენ ვხედავთ, რომ არა თუ შედარებით შემცირდა, არამედ აბსოლიუტურად მოისპო კიდევ კერძო პირთა მონაწილეობა მრეწველობაში. აქედან ისინი გარბიან და თავისი ბრუნვის სიმძიმის ცენტრი გადააქვთ ვაჭრობაში.

ვაჭრობის დარგშიც ჩვენ გვაქვს ზოგიერთი მიღწევები. მთელი რიგ მსხვილ სამრეწველო ცენტრებში კერძო პირებმა საერთო საქონლის ბრუნვაში შეინარჩუნეს თავისი პოზიციები 30 პროცენტით. შარშან და შარშაწინ საცალო ვაჭრობაში მათი მონაწილეობა გამოიხატებოდა 50 პროც. მართალია, სოფლად ჯერ-ჯერობით საქმე ვერ არის კარგად, მაგრამ კოოპერაცია აქაც წარმატებით აწარმოებს ბრძოლას კერძო ვაჭრის წინააღმდეგ.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც ატარებენ ჩვენი ხელისუფლება და ჩვენი პარტია აძლიერებს სოციალისტურ ელემენტებს ჩვენს ქვეყანაში და მივყავართ ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლების საბოლოო გამარჯვებისაკენ.

მე უკვე ვსთქვი, რომ ჩვენი მრეწველობის, ჩვენი მეურნეობის ზრდამ საშუალება მოგვცა გაგვეუმჯობესებინა მუშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობა. სამუშაო ხელფასი გაიზარდა და ზოგიერთ შემთხვევებში უკვე აღწევს კიდეც ომის წინადროინდელ ნორმას.

1927—28 წელს სამუშაო ხელფასის გასადიდებლად გადადებულია იყო 100 მილიონი მანეთი. ღარიბ და საშუალო გლეხობას ჩვენ ვეხმარებით სასოფლო სამეურნეო კრედიტით, თესლეულით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მოწყობით და სხ.

ყველაფერი ეს ახალ ეკონომიურ საძირკველს უყრის სოფლად საშუალო და ღარიბ გლეხობას, რათა მათ ეკონომიურად ზურგ გამაგრებულებმა შესძლონ ბრძოლის დაწყება კულაკის წინააღმდეგ.

ამხ. რუძუტაკი

ჩვენი მრეწველობისა და ჩვენი მეურნეობის ზრდამ რამოდენიმეთ შეანელა საქონლის სიმშილი ჩვენს შინა ბაზარზე. მართალია, ეს საქონლის სიმშილი ჯერ კიდევ სავსებით არაა დაძლეული და წელს ბრძოლა მის წინააღმდეგ რამოდენიმედ შეფერხდება იმ მიზეზებით, რომლებზედაც მე უკვე მოგახსენეთ, ე. ი. ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებისა და ჩვენი მძიმე მრეწველობის განმტკიცების აუცილებლობით. წელს, მიუხედავად ყველა ჩვენი სიძნელეებისა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში უნდა დავაბანდოთ არა ნაკლებ 1.300—1.400 მილიონი მანეთისა. ჩვენ უნდა გავაფართოვოთ ჩვენი ენერგეტიული მეურნეობა, ჩვენ უნდა გავშალოთ ჩვენი მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა.

მესამე და უკანასკნელი დასკვნა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ განვლილ პერიოდში ჩატარებული ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისათვის ჯამის გაკეთების შემდეგ, —ეს ის, რომ ჩვენს მეურნეობაში გაძლიერდა სოციალისტურ ელემენტების ხელმძღვანელი როლი ყველა დანარჩენ ელემენტებთან შედარებით. განა ჩვენი მრეწველობის ზრდას თან არ მიჰყავს ჩვენი სასოფლო მეურნეობა? განა გუთანი არ სდევნის სახნისს? განა მთელ რიგ ადგილებსა და რაიონებში ტრაქტორი არ სდევნის გუთანს, ხოლო სალეწი მანქანა კევრს? რასაკვირველია სდევნის, და აი, ეს არის ჩვენი მრეწველობის გამარჯვება, ქალაქის გამარჯვება სოფლის ჩამორჩენილობაზე. ეს არის ახალი საძირკველის ჩაყრა სოფლის მეურნეობისათვის, ეს არის მუშათა კლასისა და ქალაქის მეურნეობის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში, ე. ი. ჩვენი სოციალისტური მეურნეობის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება.

ამხანაგებო, აქ მე ვათავებ ჩემი მოხსენების პირველ ნაწილს და გადავდივარ უკანასკნელ ნაწილზე.

შინაპარტიული მდგომარეობა

მე-14-ე პარტყრილობიდან მე-15-ტე პარტკონფერენციამდე

ნება მომეცით მოკლეთ შევეხო ჩვენს შინაპარტიულ მდგომარეობას.

საკითხზე ოპოზიციის შესახებ ჩვენი პარტიის შიგნით, მე, პირველ ყოვლისა, უნდა შევჩერდე პარტიის ოპოზიციის შექმნის ისტორიაზე. მე არ ვილაპარაკებ ტროცკის ოპოზიციაზე მე-14 პარტიულ ყრილობამდე, იმიტომ, რომ ამხ. ტროცკი, პროლეტარიატის დიქტატურის ათი წლის არსებობის მანძილზე, ხან ებრძოდა ლენინიზმს, ხან ურიგდებოდა მას, როგორც ლენინის სიცოცხლეში, ისე მის შემდეგაც. ამიტომ მე ჩემს მოკლე ისტორიულ მიმოხილვას ჩვენი ოპოზიციის შესახებ დავიწყებ მე14 პარტიულ ყრილობიდან. როგორც მახსოვს მაშინ ოპოზიცია გამოვიდა დაქსაქსულად. ტროცკი სდუმდა და არ გამოხატავდა თავის შეხედულებებს. ზინოვიევი, კამენევი, პიატაკოვი, სმილგა და ტროცკის სხვა თანამოაზრენი ავლენდნენ მაშინ, როგორც ყრილობამდე, ისე ყრილობაზედაც შემდეგ ძირითად ლოზუნგებს: მთელი მოსახლეობის თანასწორობის იდეა, ესე იგი თანასწორობა მუშებს, გლეხებს და ნეპმანებს შორის, მუშების მონაწილეობა მოგებაში, ჩვენი პარტიის დემოკრატიზაცია და ბრძოლა კულაკურ საფრთხესთან. აი, ჩვენი უთანხმოების ძირითადი მომენტები პარტიის მე-14 ყრილობის დროს.

რაც შეეხება თანასწორობას, მოგებაში მუშების მონაწილეობას და სხ. ოპოზიციამ მალე დაივიწყა ჩვენი უთანხმოების ეს ძირითადი მომენტები. პარტიული ყრილობის შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენი უთანხმოება ოპოზიციასთან, ყოველ შემთხვევაში ოპოზიციის მთავარ წევრებთან, განისაზღვრებოდა პოლიტბიუროსა და ცეკას პლენუმის ფარგლებით. ოპოზიციას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გატანილი ამ ორგანოებს გარეთ თავის უთანხმოებანი.

მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ ოპოზიცია იწყებს ერთგვარ აქტივობის გამოჩენას „შეფიცულ ძმების“, ე. ი. ტყეში საიდუმლო კრების მოწყობის სახით, სადაც ოპოზიცია შეეცადა ოპოზიციური პლატფორმის პირველი ძირითადი პუნქტების ჩამოყალიბებას, პირველი ოპოზიციური ორგანიზაციის შექმნას. მაგრამ შემდეგ ცეკას პლენუმმა და მე-15 პარტიულმა კონფერენციამ ღირსეულად მოიგერიეს ოპოზიციის ცდა დაერღვია პარტიული ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებები და ჩვენი მთლიანი ლენინური ბოლშევიკური პარტიის შიგნით შექმნა ახალი უჯრედები ოპოზიციური პლატფორმით. მართალია, მაშინ ოპოზიციას ეგონა, რომ მის წინააღმდეგ ამხედრდენ მხოლოდ პარტიული ბიუროკრატები ცეკას წევრების სახით, ოპოზიცია ფიქრობდა, რომ საკმარისია მოაღწიოს მან მუშათა უჯრედებს, და მას თავის განკარგულებაში ექნება ყოველი ურიცხვი მომხრენი. აკი ოპოზიციის ყველაზე მეტად მერყევმა წევრმა ამხ. სმილგამ გადაგვიშალა კიდეც ჩვენ თავისი გეგმები, თუ მე-15 პარტყრილობაზე როგორ მიიღებს ის უმრავლესობას და გაიდევნის ცეკადან სტალინს, ბუხარინს, რიკოვს, ტომსკის და ყველა დანარჩენთ. მიუხედავად ცეკას გადაწყვეტილებისა, მიუხედავად პლენუმის მიერ პირდაპირი აღკრძალვისა, ოპოზიცია მაინც შეეცადა დისკუსიის გადატანას გაფართოებულ პარტიულ კრებებზე.

ოპოზიციონერები შეეცადენ დისკუსიის გამოწვევას მუშათა უჯრედებში. ამას მოწმობს ზინოვიევისა და ტროცკის განცხადება „ავიოპრიბორ“-ის უჯრედებზე მოსკოვში, ზინოვიევის განცხადება პუტილოვის ქარხანაში ლენინგრადში და ოპოზიციონერური გამოსვლები ლენინგრადის საერთო —პარტიულ კრებებზე. ყველგან ოპოზიციამ სასტიკი დამარცხება იგემა. ამ გამოსვლებმა დაუმტკიცეს ოპოზიციის ბელადებს ამ აზრის სრული უსაფუძვლობა, რომ საკმარისია ალაპარაკდეს სიტყვების მოყვარული ზინოვიევი, საკმარისია ტროცკის ერთი მჭერმეტყველური გამოსვლა, რომ მუშათა პარტიული მასა გადავიდეს ოპოზიციის მხარეზე. მათ დაავიწყდათ, რომ პარტიამ და მუშათა კლასმა გაიარეს არა მარტო პოლიტიკური მძიმე სკოლა, არამედ, რომ პარტიამ და მუშათა კლასმა გაიარეს სამოქალაქო ომის მძიმე გაკვეთილი, გადაიტანეს სიმშილისა და სიცივის წლები, მათ დაავიწყდათ, რომ ზოგადი ფრაზებით პარტიის მკაცრი რეჟიმის შესახებ ვერაფერი გაკეთდება რა და, რომ ეს ფრაზები მხოლოდ ლიტონ სიტყვად გაისმოდა, რამდენადაც ოპოზიციას არაფერი კონკრეტული მოთხოვნილებები არ წამოუყენებია. ჰორიზონტზე დარჩა მხოლოდ ზინოვიევის მიერ გამოცხადებული კულაკი. ჩვენ მაშინვე უთხარით ზინოვიევს, რომ ჩვენ თვალებს არ ვხუჭავთ იმაზე, რომ კულაკი ჯერ კიდევ არ გამქრალა, რომ ის არსებობს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამხ. ზინოვიევმა, რომელსაც „მოესმის ისტორიის ნაბიჯი“ არ იცის ან და დაავიწყდა, რომ ეს „კულაკი“, როგორც მუშტი 1919—20 წ. წ. ცხვირწინ გვქონდა მოღერებული—გლეხურ აჯანყებების სახით ცენტრალურ სამრეწველო რაიონებსა და გლეხურ სამიწათმოქმედო რაიონებში, —ეს იყო ცხვირწინ მოღერებული მუშტი, რომელიც გვემუქრებოდა ჩვენი თავის გაპობით. და თუ ჩვენ მაინც მოვახერხეთ ამ მუშტის მოშორება საკმაოდ შორ მანძილზე, მაშინ ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენი პარტია მთელ რიგ უახლოესი ღონისძიებებით მოიშორებს ამ მუშტს პოლიტიკურ ჰორიზონტიდან, ვინაიდან არსებითად არ ყოფილა არავითარი ისეთი საფრთხე, რომელიც გამოიწვევს სოფლის ბობოლა გლეხების რაიმე გარკვეულ ნაბიჯს სოფლის ღარიბი მოსახლეობის, სოფლის საბჭოების და სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის წინააღმდეგ. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩვენი სისტემა, მთელი ჩვენი საკრედიტო სისტემა თესლეულითა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით მომარაგების დარგში, მიმართული იყო იქითკენ, რომ შეგვესუსტებია „კულაკი“ და, პირიქით, გაგვეძლიერებია ღარიბი და საშუალო გლეხობა. ამის არ დანახვა და მოთქმა, რომ „კულაკი“ ჰორიზონტზეაო—ნიშნავს იმას, რომ ცხვირის იქით აღარაფერი დაინახო.

როცა ყველას მოეწონა ლოზუნგი „სასოფლო მეურნეობის აღდგენისა“, ლოზუნგი სამინდვროვანი სისტემიდან მრავალმინდვროვან სისტემაზე გადასვლისა, ლოზუნგი ისტორიის ხანაში არსებული სახნისის შეცვლისა გუთნით,—ოპოზიციამ ვერაფერი სთქვა, გარდა უბადრუკი ფრაზისა „კულაკი ჰორიზონტზეაო“.

სპეკულიაცია ჩვენს სიძნელეებზე

1926 წლის ოქტომბერში ოპოზიციამ დასწერა ცნობილი დოკუმენტი, რომელშიაც იგი უარყოფდა თავის ოპოზიციონურ ტაქტიკას. მე არ მაქვს ეს დოკუმენტი, მაგრამ ძალიან სასურველი იქნებოდა, რომ აქ იგი წაკითხული ყოფილიყო იმისათვის, რომ შეფასებული იქნა არაგულწრფელობისა და თვალთმაქცობის მთელი სიღრმე; მიუხედავად ამ დოკუმენტისა, რომელშიაც მათ განაცხადეს, რომ ყოველგვარი პირობის გარეშე აღიარებენ დანაშაულად ფრაქციის შექმნის ცდას, რომ ისინი იღებენ ზომებს ყველა არსებული ფრაქციული არალეგალური უჯრედების დაშლისათვის, რომ ისინი კატეგორიულად იმიჯნებიან გერმანიის კომპარტიის რენეგატებისაგან—რუტ ფიშერის, მასლოვის და სხვათაგან და ამასთანავე აცხადებდენ, რომ ეს უკანასკნელნი კომპარტიისა და ლენინის იდეების მტრები არიანო.

ამგვარად, ოპოზიცია ამ დოკუმენტში თითქოს მართლაც გულწრფელად აღიარებდა თავის შეცდომებს და გულწრფელად მოგვცა დაპირება, რომ დაშლიდა ფრაქციას და შეწყვეტდა ფრაქციულ მუშაობას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალმა ამბებმა პოლიტიკურ ჰორიზონტზე, უმთავრესად საერთაშორისო ამბებმა ახალი ძალა მისცა ოპოზიციას. ამ მხრივ ჩვენ ვხედავთ პირდაპირ შეფარდებას ჩვენს ეკონომიურ და პოლიტიკურ დაბრკოლებებსა და ოპოზიციონურ მუშაობის განახლების შორის. რაც უფრო ძნელი ხდება მუშაობა, რაც უფრო რთულდება ჩვენი პოლიტიკური ჰორიზონტი, მით უფრო ხმა-მაღლა იწყებს ყვირილს ოპოზიცია, რომ ჩვენი პარტია პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგია, მით უფრო ცდილობს იგი ცილისწამების გაძლიერებას და ცეკას მუშაობას სახავს იმგვარად, რომ თითქოს იგი არ სდგას მუშათა ინტერესების დაცვის სადარაჯოზე, და ექანება ბლოკისაკენ, ბურჟუაზიასთან კავშირისაკენ.

ინგლისის გაფიცვის დამარცხება, გართულება ჩინეთის რევოლიუციაში, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ჩინეთის რევოლიუციის გადასვლა ახალ ფაზაში—ეროვნულ-რევოლიუციონური მოძრაობიდან კლასობრივი რევოლიუციისაკენ,—ყოველივე ეს იძლეოდა საბაბს ახალი ოპოზიციონური გამოსვლებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ კომინტერნის ყოფილი თავმჯდომარე ამხ. ზინოვიევი თავის უთანხმოებამდე ცეკას უმრავლესობასთან სავსებით იზიარებდა ჩვენს ხაზს ჩინეთის რევოლიუციის საკითხში, არ ჰქონია ადგილი არცერთ შემთხვევას, რომ მას განეცხადებინოს, რომ ჩვენ არ უნდა დაგვეჭირათ მხარი ეროვნულ-რევოლიუციონურ მოძრაობას ჩინეთში, რომ ჩვენ მხარი არ უნდა დაგვეჭირა ჩან-კაი-შის და ფინ-იუ-სიანს, მიუხედავად ამისა, იგივე ზინოვიევი, როცა იგი ოპოზიციონერი გახდა, დაიწყო იმის მტკიცება, რომ ჩან-კაი-შის და ფინ-იუ-სიანს ჩვენი პარტია მხარს უჭერს იმიტომ, რომ მას [illegible] მხარს უჭერს ამხ. სტალინიო. განა შეიძლება უფრო უხეში სპეკულიაცია უმეცრებაზე, ვიდრე ასეთი განცხადება?

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ზინოვიევმა სთქვა, რომ ჩვენი პოლიტიკა ჩინეთში სწორიაო და მხოლოდ მაშინ, როცა იგი გადაყენებულ იქნა ხელმძღვანელობიდან, როცა ის მოექცა ოპოზიციაში, მაშინ მან განაცხადა, რომ სტალინმა და ცეკას უმრავლესობამ ჩან-კაი-შისთან და ფინ-იუ-სიანთან შეჰკრეს კავშირი პროლეტარიატის წინააღმდეგო. მე ვფიქრობ, ყველასთვის ცხადია, რომ კომინტერნისა და პარტიის პოლიტიკა უკანასკნელი ხნის განმავლობაში სავსებით და მთლიანად იყო მიმართული ჩინეთის მუშათა და გლეხთა რევოლიუციონური მოძრაობის დაცვისაკენ და მოღალატე ლიბერალური გენერლების წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს შევეკითხოთ: როგორ შეუძლია ოპოზიციას ცილი დასწამოს ამ საკითხში ჩვენს პარტიას, ცეკას და კომინტერნს?

ინგლისის გაფიცვის დამარცხებამ კვლავ გაათამამა ოპოზიცია. მათ ეგონათ, რომ შექმნილი საერთაშორისო გართულება, იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისის მთავრობამ ინგლისის მუშათა გაფიცვის დამარცხების ნიადაგზე შესძლო გენერალურ საბჭოს ამოქმედება ჩვენს წინააღმდეგ, და ის გარემოება, რომ ჩვენ არ გვქონდა ისეთი დიდი გავლენა ინგლისის მუშათა მასებზე, რომ გენერალური საბჭო იძულებული გვეყო წასულიყო თავისი მთავრობის წინააღმდეგ,—აძლევს მათ საშუალებას ცილი დასწამონ ჩვენს პარტიას. განა ჩვენი პარტიის შეცდომაა, რომ იმ მომენტში, როცა კაპიტალი მთელ თავის ძალებს რაზმავდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩვენ მოკავშირესა და დამხმარეს ვეძებდით პროლეტარული მასების ყველა რაზმებში, რომელ პოლიტიკურ პლატფორმაზედაც არ უნდა მდგარიყვნენ ისინი. ეკონომიური კრიზისის ზრდას, სოციალური ბრძოლის გაძლიერებას შეუძლია გამოიწვიოს რეფორმისტულად განწყობილი მუშების მთელი რაზმების გადასვლა იმ რევოლიუციონერების რიგებში, რომელნიც აქტიურად იბრძვიან თავისი მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ არ შეგვეძლო ხელი ვკრათ მუშათა კლასის ცალკე ნაწილებს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი დროებით, ჯერ-ჯერობით გზა-აბნეულნი არიან. მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ შევმცდარვართ ინგლისის პროფესიონალური მოძრაობის ბელადების შესახებ, და თუ მცირეოდენად კეთილსინდისიერი ადამიანი გადაათვალიერებს საკავშირო პროფსაბჭოს დეკლარაციას ინგლისის საყოველთაო გაფიცვის დამარცხების შემდეგ, რომელიც გასცა გენსაბჭომ, ის დარწმუნდება, რომ ამ დეკლარაციამ გენსაბჭოელები დაგმო, როგორც გამცემელნი.

ზინოვიევი ინგლის-რუსეთის კომიტეტის ერთ-ერთი მხურვალე მომხრე იყო. და განა უცნაური არ არის, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის შექმნის დროს სწორედ ამხ. ტომსკი უყურებდა სკეპტიკურად ამ კომიტეტს. ზინოვიევს კი იგი მიაჩნდა მსოფლიო რევოლიუციის ზრდის ერთ - ერთ უმთავრეს ეტაპად. ასე იყო ეს თუ არა? დეე ოპოზიციამ სინდისიერად სთქვას, ასე იყო თუ არა?

სწორედ ასე იყო.

და შეუძლებელია, რომ მეორე დღეს, მხოლოდ იმის გამო, რომ ზინოვიევი მოექცა ოპოზიციაში, მას დაევიწყებია თავისი გუშინდელი სიტყვები, თავისი გუშინდელი პოლიტიკური პოზიცია.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ოპოზიციის ყოველი ახალი იერიში ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, ვითარდება ჩვენი პარტიის ახალ დაბრკოლებებთან დაკავშირებით, როგორც საერთაშორისო საკითხების, ისე შინაური სამეურნეო მშენებლობის დარგში. შეიქმნა დაბრკოლებანი ჩინეთის რევოლიუციაში, და ოპოზიცია ჰკიცხავს ჩვენს პარტიას და კომინტერნს, როგორც ბურჟუაზიის მოკავშირეებს, დაიწყო გართულებანი ინგლისში, და ოპოზიცია ბრალდებებს უყენებს ცეკას იმის გამო, რომ მან შექმნა ინგლის-რუსეთის კომიტეტი, იმის გამო, რომ მან მაგიდაზე არ დაჰკრა მუშტი და არ გამოვიდა ინგლის რუსეთის კომიტეტიდან და სხ. ჩვენი პარტია ხომ კერენსკის პარტია არ არის, რომელიც ქვეყანას მართავდა მუშტის მაგიდაზე დარტყმით და თეატრალური ფრაზებით, ჩვენ ხომ რეალური პოლიტიკოსები ვართ, რომლებმაც უნდა აუწონ-დაუწონოთ ყოველი ჩვენი ნაბიჯი და ჩვენს მხარეზე გადმოვიბიროთ მუშათა ყველა რაზმები, რომელნიც რევოლიუციისა და კლასობრივი ბრძოლის გაფართოების პერიოდში შეიძლება მოექცენ კაპიტალის ერთიან ფრონტში ჩვენი კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა მოვიპოვოთ რაც შეიძლება მეტი მოკავშირენი. ჩვენ ზურგი არ უნდა შევაქციოთ მუშათა არც ერთ რაზმს.

ოპოზიცია ტროცკიზმის გზაზე

ოპოზიციას ეგონა, რომ „საარტილერიო მზადების“ შემდეგ ჩინეთის რევოლიუციის საკითხში და ინგლის-რუსეთის საკითხში, კვლავ დადგა მომენტი იმისათვის, რომ ისევ დაიწყოს ახალი იერიში ცეკას წინააღმდეგ. ოპოზიციამ დაიწყო ეგრედწოდებული საპეტიციო კამპანია. არსებობს 1917 წლის ასეთი ანეგდოტი, რომ რომელიღაც მუშამ იყიდა ლოთობასთან მებრძოლი საზოგადოების შექმნა და იგი ეკვეხიდა, რომ მან შეაგროვა სულ 7 კაცი და რომ ცოტა, მხოლოდ 1.90 აკლია ასამდე შესრულებას.

მე მგონია, რომ ეს მთლიანად და სავსებით ეხება აგრეთვე ჩვენი ოპოზიციონერების საპეტიციო კამპანიასაც (სიცილი). მართლადაც, ჩვენს მილიონიან პარტიაში ისეთმა ბელადებმა, როგორც არიან ზინოვიევი, კამენევი, ტროცკი და სხვ. მოსძებნეს ათას ხუთასი—ორი ათასი ხელისმომწერლები, რომლებსაც, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, შემოქონდათ მრავალი განცხადებები, რომლებიც ხსნიდენ თავის ხელმოწერას და აცხადებდენ, რომ ისინი მოატყუეს. ეს ძლიერ ცოტაა ასეთ ბელადებისათვის და ძლიერ ცოტაა აგრეთვე ახალი პარტიის შესაქმნელად, ყოველ შემთხვევაში ძლიერ ცოტაა იმ კადრებისათვის, რომლებზედაც ოცნებობდა ამხ. სმილგა, რას ემყარებიან ოპოზიციონერები მომხრეების ძებნის დროს? ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ხნის განმავლობაში, ე. ი. მე-14 პარტყრილობიდან დღემდე, ოპოზიციის იდეოლოგიაში დიდი ცვლილებები მოხდა.

მე დამავიწყდა მეთქვა, რომ მე-14 ყრილობამდე, ჩვენი უთანხმოების დასაწყისშივე, როდესაც ეს უთანხმოება ჯერ კიდევ გამოტანილი არ იყო ცეკას კედლების გარეთ, ზინოვიევის და კამენევის ერთ-ერთი ბრალდება სტალინის წინააღმდეგ გამოიხატებოდა სიტყვაში: „ნახევრად ტროცკისტი“, ე. ი. სტალინს უწოდებდენ ნახევრად ტროცკისტს, იმიტომ რომ სტალინი მაშინ უარს ამბობდა ტროცკის გამორიცხვაზე ცეკადან. ეს იყო მე-14 ყრილობის მოწვევის წინადღეებში მე-14-ე ყრილობაზე კი ზინოვიევი, რომელიც უკვე იმყოფებოდა მომავალ კოალიციის მოლოდინში არ იმეორებდა ამას, არ უწოდებდა სტალინს ნახევრად ტროცკისტს. მეტიც, ერთი წელიწადიც არ გასულა მე-14 ყრილობის შემდეგ, მას შემდეგ რაც ზინოვიევმა და კამენევმა მხურვალე სიტყვები წარმოსთქვეს ტროცკის წინააღმდეგ და ამის, ზინოვიევი და კამენევი ჩაეხუტენ ამხ. ტროცკის, რა მოხდა? ნუ თუ ტროცკი მართლა ასე უცებ გახდა ლენინელი, ხოლო მთელი ლენინური პარტია გახდა ანტილენინური? სავსებით ნათელია, რომ არავითარ კრიტიკას არ უძლებს ჰიპოტეზა იმის შესახებ, რომ მთელი პარტია უდიდესი უმრავლესობით გახდა ანტილენინური, ხოლო ათას ხუთასი ინტელიგენტი და [illegible] მუშათა [illegible] მცირე ჯგუფი არის ერთ-ერთი ლენინელი ტროცკის მეთაურობით, რომელიც, ვიმეორებ, პროლეტ. დიქტატ. 10 წლის არსებობის განმავლობაში ან ებრძოდა პარტიას, ან მასთან ზავში იმყოფებოდა. ვინ ვისთან მივიდა? მივიდა თუ არა ტროცკი ზინოვიევთან და კამენევთან, თუ ზინოვიევმა დაივიწყა ყველა ის შეურაცყოფანი, რომლითაც უმასპინძლდებოდა ტროცკის ჯერ კიდევ რამოდენიმე თვის წინედ, და იგი, ზინოვიევი კამენევთან ერთად მივიდა ტროცკისთან ახალი მოკავშირის ძიებაში პარტიის უმრავლესობის, ცეკას წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მე ვფიქრობ, რომ პასუხი ამ კითხვაზე ნათელია. რასაკვირველია, მათ მოუხდათ ახალი ოპოზიციონური პლატფორმის წამოყენება, რომელიც ერთგვარად დააკმაყოფილებდა როგორც ზინოვიევს, ისე ტროცკის. მაგრამ როცა ეს ძაფი გაიშალა შორს, მან მიაღწია საპრონოვამდე, სმირნოვამდე, დაშკოვსკამდე, ოსოვსკამდე, რუტ ფიშერამდე და მასლოვამდე, და შემდეგ უპარტიო ინტელიგენტურ მასამდე, რომელსაც კავშირი აქვს კონტრრევოლიუციონურ წრეებთან, რომელნიც აწყობენ შეიარაღებულ თავდასხმებს საბჭოთა კავშირზე, რაც გამოირკვა ამას წინად არალეგალური სტამბის აღმოჩენისას, ასე დამდე მიიყვანა ისინი ამ ძაფმა მოკავშირეთ ძიებაში პარტიისა და ცეკას წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

(დასასრული ხვალ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხუთმეტე პარტყრილობისათვის

სოფლად მუშაობის შესახებ

თეზისები ამხ. მოლოტოვის მოხსენებისა მეხუთმეტე პარტყრილობისათვის, დამტკიცებული ს. კომპ. ცეკასა და ც. ს. კომისიის პლენუმის მიერ 1927 წ. 23 ოქტომბერს

გლეხთა მეურნეობის განვითარების თავისებურობანი პროლეტარული დიქტატურის პირობებში

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დიქტატურა ძირიან-ფესვიანად სცვლის სასოფლო მეურნეობის განვითარების პირობებს და მაშასადამე მის წინსვლას, ქმნის აგრარულ ურთიერთობათა განვითარების პრინციპიალურად განსხვავებულ ტიპს, კლასობრივ ძალთა დაჯგუფების სხვაგვარ ტიპს სოფლად და სხვაგვარ მიმართულებას სამეურნეო ფორმების განვითარებაში.

პროლეტარიატის დიქტატურა, მიწის, მსხვილი მრეწველობის და ბანკების ნაციონალიზაცია არა მარტო იძლევა სასოფლო მეურნეობის გაძღოლის საშუალებას, არამედ ქმნის სრულიად სხვაგვარ, ვიდრე არის კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ურთიერთობას ქალაქსა და სოფელს შორის. კაპიტალისტური საზოგადოების ინდუსტრია თავის განვითარებაში ემყარება ისეთი შინაური ბაზრის შექმნას, რომელიც გულისხმობს საშუალო შეძლების გლეხთა ძირითადი მასის გაღატაკებას, ამ ძირითადი ჯგუფების დაშლას მისი პრეტენზიის გამო. პირიქით, პროლეტარული დიქტატურის პირობებში შინაური ბაზრის შექმნის პროცესი ძირიან - ფესვიანად განსხვავდება იმისაგან, რაც გვაქვს კაპიტალიზმის დროს. ბაზარი აქ იზრდება არა გლეხობის ძირითადი მასის გაუერთიანებლობისა და პროლეტარიზაციის მეოხებით, არამედ საშუალო გლეხობისა და სოფლის ღარიბი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის საშუალებით. სწორედ ამის გამო გლეხობის შიგნით ჩვენ გვაქვს კლასობრივ დაჯგუფებათა და გადაჯგუფებათა სულ სხვაგვარი ხასიათი.

მთელი სასოფლო - სამეურნეო განვითარების გამძღოლი ძალა არის მბრძანებელი სამეურნეო მაღლობები, პირველ რიგში მსხვილი მრეწველობა. მაგრამ, თუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ამ მბრძანებელ მაღლობების გამძღოლი როლი განისაზღვრებოდა მათი კაპიტალისტური შინაარსით, სამაგიეროდ პროლეტარული სახელმწიფოს ნაციონალიზაცია - მძიმე მრეწველობა და საკრედიტო ინსტიტუტები, ტრანსპორტი, კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა უძლიერესი ბერკეტია სოფლის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნისათვის. მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობა, რაიც შესაძლო ხდება იმ საწარმოო საშუალებათა და აპარატების უდიდესი ცენტრალიზაციის მეოხებით, რომელნაც სამეურნეო ბრუნვის პროცესს ემსახურებიან პროლეტარული ძალა-უფლების ხელში, აუცილებლად ქმნის გიგანტურ შესაძლებლობებს სოფლის ეკონომიკის გარდაქმნისათვის, გადახალისებისათვის.

წვრილ მწარმოებელთა კოოპერაცია კაპიტალიზმის პირობებში, რომელიც შეზრდილია კაპიტალისტური სამეურნეო ორგანოების სისტემაში, პროლეტარული დიქტატურის პირობებში ხდება უდიდეს გადამცემ მექანიზმად, რომელიც სოციალისტურ ინდუსტრიას აძლევს საშუალებას გაუძღვეს სოფელს— მარტივ საქონლის მწარმოებელს. პროლეტარული სახელმწიფოს მთელი პოლიტიკა — საფინანსო, საგადასახადო, საკრედიტო და ეკონომიური პოლიტიკა საერთოდ მიმართულია იმისაკენ, რომ ყოველგვარ საშუალებით ხელი შეეწყოს სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას და სხვადასხვა პირობების მიხედვით სხვადასხვაგვარად შეიზღუდოს სასოფლო - სამეურნეო ბურჟუაზიის ექსპლოატატორული მისწრაფებანი.

განვითარების ეს საერთო წინასწარი პირობები პროლეტარული დიქტატურის პერიოდში ერთნაირად არ იჩენდა თავს რევოლიუციის სხვადასხვა ეტაპებზე. იმ პერიოდში, რომელიც უშუალოდ მოჰყვა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებას, რამაც დაამყარა სწორი საფუძველი მსხვილი სახელმწიფო ინდუსტრიისა და სოფლის წვრილი მწარმოებლის ერთმანეთთან შეგუებისათვის, პროლეტარიატის მბრძანებელი მაღლობები ძალიან დასუსტებული იყო, კერძო კაპიტალი თავისი პირვანდელი დაგროვების პერიოდში იმყოფებოდა და შეტევაზე გადმოდიოდა, წვრილ - ბურჟუაზიული სტიქია უდიდეს წვრილ - მესაკუთრულ საფრთხეს წარმოადგენდა სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის, ვინაიდან გლეხობას გამოცდილებით არ ქონდა დამტკიცებული ის, თუ რა წარმატება აქვს სოციალისტურ მშენებლობას და საქონლის გაცვლა - გამოცვლის სწორ ორგანიზაციას სოციალისტური ინდუსტრიისა და გლეხური მეურნეობის შორის.

შემდგომ პერიოდში საერთოდ საწარმოო ძალთა და სოციალისტური მრეწველობის ზრდის ნიადაგზე მოხდა პირველ რიგში, სამეურნეო ფორმების ძალთა გადაჯგუფება სოციალისტური ელემენტების როლის გაძლიერების მიმართულებით. მბრძანებელი მაღლობების როლი (სახელმწიფო მრეწველობა, ბანკები, ტრანსპორტი, სახელმწიფო ვაჭრობა, კოოპერაცია და სხვ.) გაიზარდა, თუმცა არა იმდენად, რომ დაგვემყარებია მტკიცე კავშირი საშუალო შეძლების გლეხობასთან, მოგვეშორებია იგი კულაკის გავლენისაგან და გადაჭრით გაგვეყოლებია უკან.

მე-14 პარტკონფერენციამ და მე-14 პარტყრილობამ გამონახეს მთელი რიგი ღონისძიებანი საშუალო შეძლების გლეხობასთან მტკიცე კავშირის დასამყარებლად.

მესამე პერიოდს ახასიათებს სოციალისტური სამეურნეო სექტორის შემდგომი ზრდა იმგვარად, რომ ძალთა გადაჯგუფება ხდებოდა სოციალისტური მშენებლობის ბაზის კიდევ უფრო მეტად გაძლიერების მიმართულებით.

მეურნეობის დარგში, სამეურნეო აღორძინების ნიადაგზე სახელმწიფო მრეწველობამ არამც თუ გადააბიჯა ომამდე არსებულ დონეს, არამედ წარმოების ახალ საფუძველზე მოწყობითა და ზრდით შესძლო ახალ ტეხნიკურ ბაზაზე გადასვლა. სახელმწიფო მრეწველობამ და კოოპერაციამ საქონლის ბრუნვის დარგში კერძო ვაჭარი განდევნა მთელ რიგ მნიშვნელოვან პუნქტებიდან და გახდა ბაზრის თითქმის მონოპოლიური ბატონ - პატრონი. კლასობრივი თვალსაზრისით, პარტიას შეუძლია აღნიშნოს პროლეტარიატის ზრდა და კონსოლიდაცია, მისი კავშირის განმტკიცება საშუალო შეძლების გლეხობასთან, თანახმად მე-14 კონფერენციისა და მე-14 ყრილობის გადაწყვეტილებათა, და შეტევის გაძლიერება კერძო კაპიტალის წინააღმდეგ. ამავე დროს ამ პროცესს თან სდევდა სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის ზრდა, ღარიბ გლეხთა ჯგუფების ორგანიზაცია, მოჯამაგირეთა შეკავშირების გაძლიერება, საბჭოების გამოცოცხლება და იერიშების გაძლიერება ახალ პირობებში კულაკების წინააღმდეგ. ეს წინასწარი პირობები იძლევიან იმის საშუალებას, რომ კოოპერაციამ რაც შეიძლება ფართოდ შეაკავშიროს სოფლის ღარიბი და საშუალო შეძლების ფენები, კიდევ უფრო გაძლიერდეს გეგმიანი ზემოქმედება გლეხთა მეურნეობაზე და გადამჭრელი შეტევა იქნას წარმოებული კულაკის წინააღმდეგ იმ შედეგთა ნიადაგზე, რომელნიც მიღწეულ იქნა პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცების დარგში.

სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლა სასოფ. მეურნეობაში

ერთ-ერთი ძირითადი წინასწარი პირობა სოციალიზმის განვითარებისათვის საბჭოთა კავშირში არის სოფლის საწარმოო ძალთა აღორძინება, გლეხთა ფართო მასების კეთილდღეობის ზრდა. სოციალისტურ ქალაქს სოფელი შეუძლია გაიყოლიოს მხოლოდ ამ გზით, და ამასთანავე ყოველგვარი საშუალებით შეუწყოს ხელი ინდივიდუალურ - მესაკუთრეობრივ მეურნეობის (რომელიც კიდევ მნიშვნელოვანი ხნის განმავლობაში იქნება სასოფლო მეურნეობის ბაზად) თანდათანობითი გადასვლას კოლექტიურ ფორმებზე.

როცა სასოფლო - სამეურნეო წარმოების პროცესს ვიხილავთ, აუცილებელია შემდეგი ძირითადი დასკვნების გამოყვანა. აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, აღინიშნოს სასოფლო მეურნეობის საერთო აღორძინება ყველა დარგებში: მარცვლეულის მეურნეობის დარგში, ტეხნიკური კულტურების და მესაქონლეობის დარგში. სასოფლო მეურნეობამ საერთოდ და მთლიანად გადააბიჯა ომამდე არსებულ საერთო პროდუქციის დონეს, თუმცა მარცვლეული მეურნეობის დარგში ჯერ არ მიუღწევია ამ დონისთვის.

სასოფლო მეურნეობის ტეხნიკისა და კულტურების ზრდა უდავოა. (მანქანა, ტრაქტორი, ელექტროფიკაცია, მრავალ მინდვროვანი სისტემა, მისი შეერთება მესაქონლეობასთან, თესლეულის, განოყიერების გაუმჯობესება და სხვ.). მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მოსავლიანობის დონე ჯერ კიდევ მეტად დაბალია, განსაკუთრებით ევროპას და ამერიკასთან შედარებით, რომ სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპი ჯერ კიდევ სუსტია, რომ იგი მეტად დიდად არის დამოკიდებული ბუნებრივი ფაქტორებისაგან (გვალვა და ამასთან დაკავშირებული მოუსავლიანობა და სხვ.), რომ სასოფლო მეურნეობის საქონლიანობა ჯერ კიდევ ძალიან მცირეა იმ ამოცანებთან შედარებით, რომელნიც ამჟამად დგანან სასოფლო მეურნეობის წინაშე სოციალისტური სახალხო - სამეურნეო გეგმის თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით ნათლად იჩენს თავს სასოფლო - სამეურნეო ექსპორტის შესაძლებლობათა ნაკლებობაში, ექსპორტის რომელიც არის საიმპორტო ოპერაციების ბაზა და რომელიც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციისა და თვით სასოფლო მეურნეობის შემდგომი აღორძინებისათვის.

თანამედროვე სოფლის უდიდესი უარყოფითი მხარე, რომელიც გამოხატავს მის ისტორიულ წარსულს და ქვეყნის საერთო ჩამორჩენილობის ნაშთებს, არის ეგრედ წოდებული „ჭარბი აგრარული მოსახლეობა“, ე. ი. „ზედმეტი“ მუშახელის დიდი რაოდენობა, რომელიც სოფლად ვერ შოულობს შრომის გამოყენების საშუალებას და რომელიც მნიშვნელოვნად ადიდებს უმუშევართა რიცხვს ქალაქში. მეორე უარყოფით მოვლენად, რომელიც აბრკოლებს სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპს, უნდა ჩაითვალოს მიწის სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილის მოუწყობლობა და ინვენტარის ნაკლებობა გლეხთა მცირე შეძლების ფენებში, რაიც იწვევს სასოფლო - სამეურნეო მიწის სივრცის არასაკმაოდ გამოყენებას გლეხობის ამ ფენების მიერ. დაბოლოს, ეხლანდელი მდგომარეობის უარყოფითი მოვლენა, რომელიც შეეხება ურთიერთობას ქალაქსა და სოფელს შორის, არის ეგრედ წოდებული „მაკრატელი“, ე. ი. ფასების განსხვავება ერთი მხრივ მრეწველობის, ხოლო მეორე მხრივ სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე. ეს უარყოფითი მოვლენები შეიძლება აღმოფხვრილ იქნას მხოლოდ მთელი რიგი დიდი სამეურნეო ზომების მიღებით. აგრარული სიჭარბე სოფლად დაძლეულ უნდა იქნას მრეწველობის ზრდასთან ერთად, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციის ზრდით და შრომის ტევად კულტურების განვითარებით, რაიც თავის მხრივ დაკავშირებულია სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების ინდუსტრიალიზაციასთან და აგრეთვე გადასახლების სწორ პოლიტიკასთან.

მიწის სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილის მოუწყობლობა მოითხოვს მუშაობის გაძლიერებას მიწადმოწყობის დარგში, ურომლისოდაც შეუძლებელია გლეხთა მეურნეობის რაციონალიზაციის სწრაფი ზრდა და ურომლისოდაც არსებობს საფრთხე იმისა, რომ მიწათ - სარგებლობის კონცენტრაცია მოხდება კულაკების ხელში. ინვენტარის ნაკლებობა გლეხთა მოსახლეობის ღარიბ ფენებში შეიძლება იქნას დაძლეული მხოლოდ ამ ფენების კოოპერაციაში შეკავშირების გაძლიერებით, მათთვის ინვენტარის მიწოდებით გრძელვადიანი კრედიტის ნიადაგზე და ა. შ. დაბოლოს, „მაკრატელი“, ე. ი. განსხვავება მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ფასებს შორის სისტემატიურად უნდა იქნას აღმოფხვრილი ფასების დაკლების პოლიტიკით რაციონალიზაციისა და სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველზე.

სასოფლო მეურნეობის განვითარების პროცესს, განხილულს სოციალურ-კლასიური თვალსაზრისით, ეხლანდელ მომენტში ახასიათებს ბრძოლა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ტენდენციებს შორის. ეს ბრძოლა განსაკუთრებულ ძალს ასვამს სოფლის დიფერენციაციის პროცესს, რომელსაც ჩვენს პირობებში მეტად განსაკუთრებული თავისებურებანი აქვს. სოფლის ფენებად დაყოფის თავისებურებანი გამომდინარეობს საზოგადოებრივი პირობების შეცვლისაგან. ეს თავისებურებანი მდგომარეობს იმაში, რომ წინააღმდეგ კაპიტალისტური ტიპის განვითარებისა, რომელიც გამოიხატება საშუალო შეძლების გლეხობის დასუსტებაში, უკიდურესი ჯგუფების —ღარიბი გლეხობისა და კულაკების ზრდაში, ჩვენ, პირიქით, გვაქვს საშუალო შეძლების გლეხთა ჯგუფის გაძლიერება, თუმცა ამასთანავე ჩვენში ჯერ კიდევ აქვს ადგილი კულაკთა ერთგვარ ზრდას საშუალო გლეხთა შეძლებული ნაწილის ხარჯზე, ამავე დროს ვხედავთ ღარიბ ჯგუფების შემცირებას, რომლის ერთი ნაწილი პროლეტარდება და მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი, თანდათანობითი გადადის საშუალო გლეხთა ჯგუფში. ეს თავისებურებანი აუცილებლად გამომდინარეობენ სამეურნეო განვითარების წინააღმდეგობათაგან პროლეტარიატის დიქტატურის თანამედროვე პირობებში. უბრალო საქონლის მწარმოებელი სასოფლო მეურნეობაში, კაპიტალისტურ საზოგადოებაში შეიძლება გადაიქცეს ან წვრილ კაპიტალისტად ან პროლეტარად. ამისათვის არ არსებობს განვითარების მესამე გზა.

პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ეს გზა არის, რამდენადაც მასიური კოოპერაციის საშუალებით (როგორც გაცვლის, ისე წარმოების სფეროში) წვრილ მწარმოებელს შეუძლია სისტემატიურად ჩაებას საერთო სოციალისტური მშენებლობის პროცესში.

მეორე მხრით პროლეტარული დიქტატურის დროს არსებულ განვითარების განსაკუთრებული პირობების გამო, ღარიბ გლეხობას აქვს შესაძლებლობა გადავიდეს საშუალო გლეხობის წრეში. ამრიგად ჩვენში დიფერენციაციის პროცესების თავისებურება იწვევს საშუალო გლეხური ფენების შემდგომ ზრდას და ერთხელ კიდევ ადასტურებს ლენინის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ საშუალო შეძლების გლეხი „მიწათმოქმედების ცენტრალური ფიგურაა“.

რაც შეეხება დიფერენციაციის ტემპს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში, — ის სხვადასხვაა მთელ რიგ ადგილობრივ პირობების მიხედვით, რაც, რა თქმა უნდა, არ სცვლის პროცესის მიმართულების საერთო ხასიათს.

ოპოზიციის უხეში შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მას, მისდევს რა ის კვალში ბურჟუაზიულ იდეოლოგებს, გლეხური მეურნეობის განვითარების კანონზომიერება კაპიტალიზმის დროს მთლიანად და სავსებით მექანიკურად გადააქვს პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ოპოზიცია ვერ ხედავს, რომ სოფლის განვითარების გზებს განსაზღვრავს ქალაქის განვითარება, რომ კაპიტალისტურ ელემენტებს სოფლად ჩვენს პირობებში უპირისპირდება არა მარტო მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო გლეხი, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის მთელი სისტემა ძლიერი ეკონომიური მბრძანებელი მაღლობებით (პირველ რიგში სოციალისტური ინდუსტრიით და სასოფლო მეურნეობაზე გეგმიანი ზეგავლენის სხვა ფაქტორებით). ამით ოპოზიცია რევიზიას უკეთებს მარქსიზმისა და ლენინიზმის მეტად მნიშვნელოვან თეორეტულ დებულებებს, რომლებიც ეხება მსხვილ და წვრილ წარმოებას, ქალაქისა და სოფლის, ინდუსტრიისა და სასოფლო მეურნეობის მდგომარეობას, და უბრუნდება ბურჟუაზიულ - რევიზიონისტულ თეორიებს პროლეტარული სახელმწიფოს „ტერმიდორიანული“ გადაგვარების შესახებ, წვრილ კაპიტალისტ - კულაკისა და კერძო კაპიტალის გაძლიერების შესახებ იმ სოციალისტური პროლეტარიატის ყველაზე უფრო ცენტრალიზაციაქმნილ ინდუსტრიაზე, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მთელ სახალხო მეურნეობას.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა პროლეტარული სახელმწიფოს გეგმიანი მომწესრიგებელი როლი სასოფლო მეურნეობაში და გაიზარდა სოციალისტური ელემენტების გავლენა სოფლად. ეს ფაქტორები წარმოადგენენ ბრძოლის იარაღებს, კულაკის წინააღმდეგ, რომელმაც მთელი რიგი პოზიციები დაიკავა სოფლის ეკონომიკაში, და კერძო კაპიტალის წინააღმდეგ, რომელიც თანდათან იდევნება სამეურნეო ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროებიდან, მაგრამ რომელიც მაინც იზრდება აბსოლიუტურად, იჭრება სოფლის ცხოვრებაში და განსაკუთრებით შინამრეწველურ და სახელოსნო მრეწველობის გზით ცდილობს დაიჭიროს შემაერთებელი ხიდი სოფელსა და ქალაქს შორის.

სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის გასაღების სფეროში სახელმწიფო ორგანოებმა და კოოპერაციამ გასაღების მთელ რიგ მნიშვნელოვან დარგებში (პური, ბამბა, შაქარი ჭარხალი და სხვ.) დაიკავეს გადამჭრელი, გაბატონებული თითქმის მონოპოლიური მდგომარეობა. ეს მდგომარეობა გამოიხატება იმაში, რომ სასოფლო მეურნეობის პროდუქტების უდიდესი მასსა მზადდება კერძო კაპიტალის დაუხმარებლად, რომელიც განდევნილია თავისი წინანდელი პოზიციებიდან, გამოიხატება იმაში, რომ ამ პროდუქციის რეალიზაცია ხდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დაწესებულ და მთელი სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით განსაზღვრულ ფასების მიხედვით, ამასთანავე უკანასკნელ ხანებში შესაძლებელი გახდა პურზე მტკიცე ფასების დაწესება გაზაფხულსა და შემოდგომაზე; ეს მდგომარეობა გამოიხატება იმაში, რომ ფასების განსაზღვრული პოლიტიკის წყალობით სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს ზეგავლენა მოახდინოს თვით სასოფლო - სამეურნეო წარმოების პირობებზე საწარმოო ძალების უფრო მიზანშეწონილ განაწილების მხრით. ამასთანავე ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ დარგში (ხორცის დამზადება და სხვ.) კერძო კაპიტალს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

მომარაგების დარგში ჩვენ უკვე ვაღწევთ ისეთ მდგომარეობას, როცა სოფელს მისთვის საჭირო მთელი საქონლის მასის ნახევარს აწვდის უშუალოდ კოოპერაცია და სახელმწიფო ორგანოები, ამასთანავე სოფლის მანქანებით მომარაგების საქმე მთლიანად კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოების ხელშია; ხოლო მთელ რიგ სამრეწველო საქონლის (მანუფაქტურა, ნავთი და სხვ.) მიწოდების საქმეში კერძო კაპიტალი უმნიშვნელო როლს თამაშობს. პროლეტარული სახელმწიფოს ღონისძიებანი ამ დარგში პირველ რიგში მიმართულია იქეთ, რომ: 1) სამრეწველო საქონელზე სისტემატიურად ფასების დაკლებასთან ერთად, მიაწოდოს გლეხებს უფრო იაფი და კარგი ღირსების საქონელი საკმაო რაოდენობით; 2) განამტკიცოს და გააფართოვოს სოფლის სამრეწველო პროდუქტებით უშუალოდ მომარაგების საქმეში დაპყრობილი პოზიციები და სულ უფრო და უფრო განდევნოს კერძო კაპიტალის შუამავლობა; 3) მანქანების მიწოდით დაამძლოს გლეხური მეურნეობა და ჩააბას ის კოოპერაციაში, განსაკუთრებით საწარმოო კოოპერაციაში.

წარსული წლების, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების გამოცდილებამ სავსებით და მთლიანად დაადასტურა ლენინის კოოპერატიული გეგმის სისწორე, რომლის მიხედვით სწორედ კოოპერაციის საშუალებით წაიყვანს სოციალისტური ინდუსტრია წვრილ გლეხურ მეურნეობას სოციალიზმის გზით, გარდაქმნის ინდივიდუალურ დაქსაქსულ საწარმოო ერთეულებს, როგორც ბრუნვის პროცესის საშუალებით, ისე კიდევ უფრო მეტად თვით წარმოების მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობად გარდაქმნის საშუალებით ახალი ტეხნიკის საფუძველზე (ელექტროფიკაცია და სხვ.).

უკანასკნელ წლებში სამომხმარებლო და სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია იქცა ძლიერ ორგანიზმად, რომელიც აერთებს რამოდენიმე მილიონ გლეხს და სახელმწიფო ვაჭრობასთან ერთად მთელ საქონლის ბრუნვაში ქალაქსა და სოფელს შორის გადამჭრელ როლს თამაშობს.

კოოპერაციის შემადგენლობა სოფლად დიდათ განსხვავდება მის შემადგენლობისაგან რევოლიუციის წინა დროში: ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი კოოპერაცია უმთავრესად არის ღარიბ და საშუალო გლეხების კოოპერაცია. ამ შემადგენლობასთან შეფარდებით იცვლება კოოპერატიული ორგანიზაციების მოღვაწეობის მიმართულებაც, რომლებიც ამჟამად გლეხობის ძირითადი მასების ინტერესებს ემსახურებიან და არა მისი კულაკური ზედაფენის ინტერესებს.

რამდენადაც საქმე ეხება სახელმწიფოსა და კოოპერაციის ურთიერთ დამოკიდებულებას, — კოოპერაცია სარგებლობს მთელი რიგი შეღავათებითა და უპირატესობებით, რაიც გამომდინარეობს იმ აუცილებლობიდან, რომ პროლეტარულმა სახელმწიფომ ყოველ მხრივ, მათ შორის მატერიალურადაც, ხელი უნდა დაუჭიროს კოოპერატიულ მშენებლობას.

საერთოდ კოოპერაციის და განსაკუთრებით სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის უდიდეს ეკონომიური მნიშვნელობასთან ერთად, საჭიროა აღინიშნოს, რომ კოოპერაცია წარმოადგენს გლეხობის ეკონომიური მასიური გაერთიანების - ა, თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარების საუკეთესო ფორმას, მისი სამეურნეო და კულტურულ - პოლიტიკურად ხელახალი აღზრდისა და საერთო სოციალისტური მშენებლობის ფერხულში ჩაბმის ფორმას.

ამაშია კოოპერაციის ძირითადი განსხვავება და უპირატესობა სახელმწიფოსავაჭრო დამამზადებელი ორგანოებთან შედარებით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ოპოზიციის დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენს ის, რომ მას არ სწამს გლეხობის ძირითადი მასის ჩაბმის შესაძლებლობა სოციალისტურ მშენებლობაში კოოპერაციის საშუალებით. ეს არის ლენინის კოოპერატიული გეგმის უარყოფა და, მაშასადამე, ოპოზიციის ლენინიზმისაგან პირდაპირი დაშორება. ეს დაშორება არის შედეგი ოპოზიციის საერთო ლიკვიდატორული მიმართულებისა, რომელიც უარყოფს სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში.

სასოფლო - სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარება და მის მიერ ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის ბრუნვაში მნიშვნელოვანი პოზიციების დაპყრობა იწვევს ეკონომიურ აუცილებლობას და ეკონომიურ შესაძლებლობას, რომ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია გასაღებისა და მომარაგების ოპერაციების დარგიდან შეიჭრას წარმოების დარგში.

იქ, სადაც მონოპოლიური ან თითქმის მონოპოლიური დამამზადებლები არიან სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები, საწარმოო კოოპერატიულ შეკავშირებაზე გადასვლა, ესე-იგი კოოპერაციაში გაერთიანებულ გლეხობის მეურნეობის აღორძინებისათვის პირდაპირი ხელისშეწყობა განსაკუთრებით მწვავედ სდგას, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში კოოპერაციაში ჩაბმული მოსახლეობა ვერავითარ უპირატესობებს ვერ ღებულობს კოოპერაციაში ჩაუბმელ მოსახლეობასთან შედარებით. თვით კოოპერაციის შინაგან განვითარებას ამრიგად მივყევართ იმ მდგომარეობამდე, რომ კოოპერაციაში გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობებს შეიძლება ქონდეს დამატებითი უპირატესობანი კოოპერაციაში ჩაუბმელ მოსახლეობასთან შედარებით; ეს იქნება უწინარეს ყოვლისა იმ შემთხვევაში, თუ ისინი გასაღებისა და მიწოდების კოოპერატიულ შეკავშირებიდან სულ უფრო და უფრო გადადიან საწარმოო კოოპერატიულ შეკავშირებაზე, რომელიც იწვევს მეურნეობის ტეხნიკურ რეკონსტრუქციას და მისი შემოსავლიანობის გადიდებას.

საწარმოო კოოპერატიულ შეკავშირების ამ პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს უკვე ახლა და კიდევ უფრო დიდ როლს ითამაშებს მომავალში სასოფლო - სამეურნეო ინდუსტრია (როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიული), რომელიც ტეხნიკურად და ეკონომიურად უშუალოდ არის დაკავშირებული სასოფლო - სამეურნეო წარმოებასთან და გარდაქმნის უკანასკნელის შინაგან წყობას. ეს პროცესი დაკავშირებულია მესაქონლეობის და სხვ. ინტენსიურ კულტურების ზრდასთან, საექსპორტო შესაძლებლობათა ზრდასთან (კარაქის და ყველის ქარხნები, საკონსერვო ქარხნები, სელის წინასწარ დასამუშავებელი ქარხნები, ხილსახმობები, ბეკონის ქარხნები და სხვ.).

საწარმოო პროცესზე გეგმიან ზეგავლენის გაძლიერება კოოპერაციის საშუალებით თავის გამოხატულებას პოულობს უკვე ისეთ ფორმებში, რომ კოოპერაციაში შეკავშირებულ მწარმოებლებს პირდაპირ ეძლევა შეკვეთა ამა თუ იმ რაოდენობისა და ღირსების პროდუქტებზე, როგორც ამას ადგილი აქვს შაქრის მრეწველობაში და ნაწილობრივ მებამბეობაში (ეგრედ წოდებულ კონტრაქტაციების, ხელშეკრულებებისა და სხვ. სისტემა); ამავე დროს შემკვეთელს, ე. ი. სახელმწიფო მრეწველობას საშუალება აქვს აწიოს წარმოებითი პროცესის ღირსება მით, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრავს წარმოების შესაფერ საუკეთესო წესებს (რიგობრივი თესვა, თესლეულის ღირსება, ნიადაგის გამოყენება და სხვა) და ხელს უწყობს ამ წესების განხორციელებას.

ამასთანავე წარმოებისათვის სათანადო საშუალებების მიწოდება ხშირად ხდება თვით შეკვეთის მიმცემ სახელმწიფო ან კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით. ეს ფორმა შეიძლება და უნდა გახდეს შემდეგში თვით გლეხური წარმოების კოოპერატიულად შეკავშირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ე. ი. იმ წვრილ მწარმოებელთა ნებაყოფლობით გაერთიანების საშუალებად, რომლებსაც კოოპერაცია აკავშირებს სოციალისტურ მრეწველობასთან.

საწარმოო კოოპერატიულ შეკავშირების კალაპოტით მიმდინარეობს საწარმოო გაერთიანებათა ისეთ პირველადი ფორმების განვითარება, როგორიცაა არტელები, სხვადასხვაგვარი საწარმოო ამხანაგობანი და სასოფლო - სამეურნეო კომუნები. განსაზღვრულ კრიტიკულ ხანის შემდეგ ამ ფორმებმა გამოაშკარავეს სიცოცხლის უნარიანობა და ვინაიდან ისინი უმეტეს ნაწილად წარმოადგენენ ღარიბ და ხელმოკლე მეურნეობათა გაერთიანებას, ღირსი არიან ყოველმხრივი დახმარებისა და წაქეზების. სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ელემენტების საერთო ბალანსში არსებით როლს თამაშობენ საბჭოთა მეურნეობანი, როგორც მსხვილ სახელმწიფოებრივ სოციალისტური მიწადმოქმედებისა და მესაქონლეობის ფორმები. საბჭოთა მეურნეობების სისტემა, რომელიც ამჟამად აგრეთვე განიცდის მწვავე კრიზისს, უკვე გახდა მომგებიანი და იწყებს სულ უფრო და უფრო დიდი როლის თამაშს, როგორც კულტურულ - აგრონომიული და საჩვენებელი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს გლეხურ მეურნეობაზე; ის თამაშობს დიდ როლს, როგორც ნიმუში, რომელიც თვალსაჩინოდ ხდის მსხვილ განსაზოგადოებულ წარმოების უპირატესობას წვრილ - გლეხურ მეურნეობასთან შედარებით.

გლეხობაზე ზეგავლენის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მსხვილი მელიორატიული ნაგებობანი, როგორც, მაგალითად, სარიგაციო სამუშაოები შუა აზიაში (მებამბეობა) და კავკასიაში. სარიგაციო სისტემა პროლეტარულ სახელმწიფოს ხელში შეიძლება გახდეს საწარმოო პროცესის მძლავრ რეგულიატორად და ღარიბ და საშუალო გლეხობის ფენებისათვის დახმარების აღმოსაჩენ იარაღად.

გეგმიან ზეგავლენის მეორე მეთოდს წარმოადგენენ სახელმწიფო და კოოპერატიული გამქირავებელი პუნქტები. ამ პუნქტებს მოეპოვება რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათანადო რაოდენობა და სწორი პოლიტიკის დროს ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორს ბრძოლისათვის გლეხობის ღარიბ და საშუალო ფენების ექსპლოატაციის წინააღმდეგ კულაკების მხრივ; ისინი აგრეთვე წარმოადგენენ ფაქტორს, რომელიც იწვევს მიწის დამუშავების კოლექტიურ ფორმებზე გადასვლას ახალი ტეხნიკის საფუძველზე. ამავე დარგს ეკუთვნის ფართო აგროტეხნიკური დახმარება, წმინდა ხარისხის თესლეულისა და მინერალური სასუქის მიწოდება, სამუშაოები გვალვასთან საბრძოლველად, ღონისძიებანი ცენტრალურ შავმიწიან ოლქის ასაღორძინებლად და სხვ.

მრეწველობის განვითარება, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების აღორძინება და საერთოდ ღარიბ და საშუალო მოსახლეობის მილიონიან მასების კოოპერატიულად შეკავშირების სახელმწიფო ფონდების ზრდა, საშუალებას იძლევა სულ უფრო და უფრო იქნეს განხორციელებული მთელი სახალხო მეურნეობის ტეხნიკური გარდაქმნა, კერძოდ კი სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ელექტროფიკაციის ნიადაგზე. ელექტროფიკაცია გარდაქმნის მთელი მრეწველობის ტეხნიკას და თანდათანობით ახალ ტეხნიკურ საფუძველს ჩაუყრის მთელ სასოფლო მეურნეობას, რადიკალურად გარდაქმნის მის მეთოდებს და გაუკაფავს მას გზას განსაზოგადოებულ შრომისაკენ. ამრიგად, სოფლად სოციალიზაციის გამომწვევ ყველა ზემოჩამოთვლილ ბერკეტებს და აგრეთვე საკრედიტო და საგადასახადო სისტემის მძლავრ ზეგავლენას ემატება ტეხნიკური რევოლიუციის უდიდესი ფაქტორი, რომელმაც ყველაზე უფრო სწრაფად უნდა წასწიოს წინ სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და მისი თანდათანობით განსაზოგადოების საქმე კოოპერატიულად შეკავშირების საშუალებით.

ოპოზიციის ყველაზე უხეშ შეცდომას წარმოადგენს მისი ცდები, რომ ელექტროფიკაციის გეგმა დაუპირდაპიროს ლენინის კოოპერატიულ გეგმას. ეს ცდები ამჟღავნებს, რომ ოპოზიციას სრულებით არ ესმის ის უდაო ფაქტი, რომ ელექტროფიკაციის გეგმა და კოოპერატიული გეგმა წარმოადგენენ ლენინის საერთო გეგმის განუშორებელ ნაწილებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ.

პრაქტიკული მუშაობის მდგომარეობა და ნაკლულოვანებანი.—პარტიული ხაზის გადამახინჯება

მიუხედავათ საერთო პოლიტიკის სისწორისა, მიუხედავათ სასოფლო მეურნეობის გაძლიერებისა და პროლეტარულ სახელმწიფოს და მისი კოოპერატიულ ორგანოების გავლენის ზრდისა სასოფლო მეურნეობაში, მაინც აღსანიშნავია მთელი რიგი ნაკლულოვანებები, შეცდომები, პარტიის პოლიტიკური ხაზის გადამახინჯება და ზოგჯერ ამ ხაზის აღმაშფოთებელი დარღვევაც.

სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს შეცდომები სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებზე ფასების მოწესრიგების საქმეში (1925—26 წლის შეცდომები), შეცდომები, რომლებმაც ჩაფუშეს ჩვენი საექსპორტო - საიმპორტო გეგმა, შემდეგ მრეწველობის საწარმოო პროგრამაც და გამოიწვიეს ტეხნიკურ კულტურების ნათესების შემცირება და სხვ. საჭიროა აღინიშნოს, რომ სამიწადმოქმედო, სასოფლო - სამეურნეო კრედიტის და კოოპერაციის ორგანოები ძალიან უმნიშვნელო ყურადღებას აქცევდენ სწორი პროლეტარული პოლიტიკის გატარებას სოფლად (სასოფლო - სამეურნეო იარაღ - მანქანების მიწოდება, კრედიტი, იჯარის სისტემის გამოყენება, მიწათმოწყობა და სხვ.) და ხშირად სათანადო წინააღმდეგობას არ უწევდენ კულაკობის აშლილ მადას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ფინსახკომის ორგანოები, მიუხედავათ უდიდესი მიღწევებისა პროგრესიულ საგადასახადო დაბეგვრის გატარებაში, ხშირად ვერ ართმევდენ თავს კულაკური ჯგუფების მთელი დასაბეგრი შემოსავლის აღრიცხვისა და სათანადო საგადასახადო ზემოქმედების ამოცანებს. შემდეგ საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ სახელმწიფო დამამზადებელი ორგანოები საკმაოდ ვერ აფასებენ კოოპერაციის, როგორც მასების ისეთი ორგანიზაციის მნიშვნელობას, რომლის მიზანს წარმოადგენს სასოფლო - სამეურნეო წარმოების განსაზოგადოება და იჩენენ კოოპერაციის როლის შემცირებისა და თვით კოოპერაციის სათანადო სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციების უბრალო ფილიალად გადაქცევის ტენდენციას.

თვით კოოპერაციაში შემჩნეულია მთელი რიგი ავადმყოფური მოვლენები, რომლებიც მოწმობენ პარტიის პოლიტიკის გადამახინჯებას. კოოპერაციის შემადგენლობა საერთოდ და მთლიანად უდაოდ ღარიბ - საშუალო გლეხურია. მაგრამ მიუხედავათ ამისა მასში მაინც არა იშვიათად საგრძნობია ღარიბი გლეხობის შედარებით სუსტი კოოპერატიული შეკავშირება და სოფლის შეძლებული ზედაფენის არაჩვეულებრივად მაღალი კოოპერატიული შეკავშირება.

კოოპერაციის არჩეულ ორგანიზაციების შემადგენლობაშიც, მიუხედავათ გადაწყვეტილებისა ამ ორგანიზაციებში კულაკების დაუშვებლობის შესახებ, იგივე ნაკლულოვანებებია. ამის გამო სასოფლო - სამეურნეო იარაღ - მანქანებით სოფლის მომარაგების დარგში ხშირია შემთხვევა, როდესაც სოფლის შეძლებული ნაწილი შედარებით უკეთესადაა მომარაგებული ამ იარაღ - მანქანებით. იგივე უნდა ითქვას კრედიტების განაწილების შესახებაც. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს პარტიის დირექტივის შეუსრულებლობა კოოპერატიული ორგანოების მიერ, როდესაც ეს უკანასკნელნი გლეხობის კოოპერატიული დარაზმვისათვის დანიშნულ ფონდს იყენებენ არა პირდაპირ დანიშნულებისამებრ. მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში აღებულ იქნა კურსი ამგვარ ფაქტების აღმოფხვრაზე, წინააღმდეგ საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას პირდაპირი დირექტივებისა, მაინც ადგილი აქვს პარტიის ხაზის ზემოაღნიშნულ დამახინჯებას. საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთ ცრუ კოოპერატივების არსებობის ფაქტს, რომლებსაც ამოფარებიან კულაკური „ამხანაგობები“ და სარგებლობენ კოოპერატივის ყველა უფლებებითა და პრივილეგიებით. კოოპერაციის საორგანიზაციო მუშაობის არსებით უარყოფით მხარეს წარმოადგენს აგრეთვე ეგრედწოდებულ „ველური“ კოოპერატივების არსებობა, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან მოქცეულნი კოოპერაციის საერთო ცენტრალიზაციაქმნილ სისტემაში.

სამიწადმოქმედო, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობის საერთო ნაკლს წარმოადგენს ამ მუშაობის შეუთანხმებლობა და ხშირად ამ ორგანიზაციების მიერ ხმარებულ ღონისძიების ურთიერთ წინააღმდეგობა.

საბჭოთა მუშაობის დარგში უნდა აღინიშნოს პარტიის პოლიტიკის უდაო წარმატება სოფლად საბჭოების გამოცოცხლების მხრივ. საბჭოები (მათი სექციები, კომისიები) თანდათან ხდებიან სამეურნეო პოლიტიკური ცხოვრების მომწესრიგებელ ცენტრებად, მართვა-გამგეობის სკოლად და ღარიბ - საშუალო გლეხობის ახალი კადრების დაწინაურების იარაღად და სხვ. უპარტიო აქტივის დარაზმვამ საბჭოების გარშემო გაზარდა ამ უკანასკნელთა ავტორიტეტი ფართო მასებში. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეთა დარაზმულობის ზრდა, რაც საგრძნობია საბჭოების, კოოპერატიული და სხვ. ორგანოების არჩევნების დროს. მიუხედავათ ამისა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მუშაობა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შესრულებული.

პარტიული მუშაობის დარგში უნდა აღინიშნოს არა დამაკმაყოფილებელი მუშაობა მოჯამაგირეთა შორის (რაც გავლენას ახდენს სოფლის უჯრედების შემადგენლობაზე) და პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის სუსტი დაკავშირება სამეურნეო მშენებლობის სფეროში მუშაობასთან. მაგრამ მიუხედავათ ამისა, პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთათვის ფართო დემოკრატიის საფუძველზე ჩატარებული საბჭოების გადარჩევის კამპანიები მოწმობენ პარტიულ ორგანიზაციების ავტორიტეტის ზრდას გლეხობაში. სოფლად დიდ როლს თამაშობს კომკავშირის ორგანიზაცია, რომელმაც ამჟამად თავის წინაშე უნდა წამოაყენოს თავისი შემადგენლობის მოწესრიგების ამოცანები მოჯამაგირე-ღარიბ გლეხურ აქტივის გაძლიერებისა და მათ წრიდან კომკავშირელთა აქტივის ახალი ფართო კადრების აღზრდის თვალსაზრისით, პარტიის ხაზის უფრო შეგნებულად გატარება, თავის წევრების პოლიტიკური აღზრდა და პარტიის მძლავრ ბერკეტად გადაქცევა სასოფლო მეურნეობის ამაღლებისა და კოლექტივიზაციის საქმეში, ფართო კულტურულ ინიციატივის განვითარებაში და სოციალისტურ მუშაკთა ახალი კადრების შექმნაში. გლეხობის კულტურული დონის ამაღლებისა და კოოპერატიულად დარაზმვის საქმეში ღარიბ - საშუალო გლეხურ აქტივიდან ღარიბ და მოჯამაგირე გლეხ-ქალთა ჩაბმის მხრივ უდიდეს როლს თამაშობენ გლეხურ-ქალთა სადელეგატო კრებები, რომლებმაც უნდა გააძლიერონ მუშაობა პარტიასთან ახლო მდგომ გლეხ-ქალთა მოზიდვის ხაზით.

პარტიის მორიგი ამოცანები

ამნაირად, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, ჯერ ერთი, რომ სამეურნეო დარგში მეტად საგრძნობლად გაიზარდა სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორი, ხოლო მასთან ერთად მუშათა კლასის ხვედრითი წონაც; მეორე, რომ კერძო კაპიტალი განდევნილია მთელ რიგ მნიშვნელოვან პოზიციებიდან; მესამე, რომ სოფლად სავსებით ნათლად გამოაშკარავდა სოციალისტური განვითარების ძირითადი წინააღმდეგობები და ბერკეტები, ე. ი. ერთის მხრივ კულაკობის ზრდა და მეორეს მხრივ საშუალო გლეხთა ჯგუფის გაძლიერება, სოფლის ღარიბი ფენების შეკავშირების ზრდა, კოოპერაციის სწრაფი განვითარება, რომელიც, ლენინის აზრით, პროლეტარული დიქტატურის პირობებში უდრის „სოციალიზმის ზრდას“, და სახელმწიფო ორგანოების გეგმიან - მომწესრიგებელი როლის გაძლიერება გლეხურ მეურნეობაში.

მე-14 პარტკონფერენციისა და მე-14 პარტყრილობის დროიდან პარტიის სათანადო პოლიტიკასთან დაკავშირებით მოხდა მთელი რიგი უდიდესი ცვლილებანი მეორე მიმართულებით: გაიზარდა ნათესების არე და შემცირდა დაუმუშავებელ მიწების მოედანი, რაც დაკავშირებულია გლეხობის ძირითადი მასის მეურნეობის საერთო ამაღლებასთან; პოლიტიკურ დარგში გაძლიერდა საშუალო გლეხობის ჩამოშორება კულაკებისაგან, განმტკიცდა მუშათა კლასის კავშირი საშუალო გლეხობის მასებთან და მოხდა ძირითადი გარდატეხა კულაკის იზოლიაციის მიმართულებით.

ამნაირად, ის მიზნები, რომლებიც პარტიამ დაისახა მე-14 კონფერენციისა და მე-14 ყრილობის პერიოდში, საერთოდ მიღწეულად უნდა ჩაითვალოს. პარტია ამ გამარჯვებამდე მივიდა ბრძოლით როგორც კულაკური საფრთხის ნაკლებშეფასებისა, ისე განსაკუთრებით საშუალო გლეხობის წინააღმდეგ ოპოზიციის გადახრასთან. პარტია ვერ მიაღწევდა ამ გამარჯვებას, რომ მთელი თავისი იერიში არ მიეტანა ოპოზიციის ანტი საშუალო გლეხურ გადახრის წინააღმდეგ, ვინაიდან ეს გადახრა, ძირს უთხრის რა პროლეტარიატის კავშირს საშუალო გლეხურ მასებთან და აფერხებს რა საშუალო გლეხობის ჩამოშორებას კულაკებისაგან, ნამდვილად იწვევს კულაკური გავლენის ზრდას სოფლად. საჭიროა გაგრძელდეს საშუალო გლეხობასთან კავშირისაკენ მიმართული პარტიის ლენინური პოლიტიკა. პარტიის პოლიტიკის გამარჯვება სოფლად და ამასთან დაკავშირებით შექმნილი ახალი პირობები საშუალებას აძლევენ პროლეტარიატის პარტიას, სამეურნეო ორგანოების მთელი სიძლიერის და გლეხობის ღარიბ - საშუალო მასებზე წინანდებურად დაყრდნობის გზით, განავითაროს შემდგომი იერიში კულაკობის წინააღმდეგ და მიიღოს მთელი რიგი ახალი ზომები, რომლებიც შეზღუდავენ კაპიტალიზმის განვითარებას სოფლად და გლეხურ მეურნეობას წაიყვანენ სოციალიზმისაკენ.

აქედან გამომდინარეობენ პარტიის შემდეგი მორიგი ამოცანები:

1. სახელმწიფო გეგმიანი ხელმძღვანელობის ელემენტები სასოფ. მეურნეობაში

როგორც უმთავრესი პირობა ბაზრის სტიქიის დასაძლევად, სასოფლო მეურნეობაში გეგმიანობის გასავრცელებლად და სოციალისტური ინდუსტრიის ხელმძღვანელი როლის გასაძლიერებლად მთელ სახალხო მეურნეობაში, უნდა განმტკიცდეს და განვითარდეს სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციის მიღწევები სოფლად სამრეწველო საქონლის გასაღების და ქალაქისათვის სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადების საქმის დაუფლების დარგში.

შეურყევლად გაგრძელდეს სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების პოლიტიკა, იმ პირობით-კი, რომ შენარჩუნებულ იქნეს სასოფლო - სამეურნეო ფასების სიმტკიცე, როგორც უმნიშვნელოვანესი პირობა მშრომელ მასების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის განსამტკიცებლად.

ყოველგვარი დახმარება გაეწიოს ხელშეკრულებითი დამოკიდებულების პრაქტიკის განვითარებას (კონტრაქტაცია და სხვ.) კოოპერაციის ქსელში ჩაბმულ გლეხობასა და იმ სახელმწიფო ორგანოებს შორის, რომლებიც ამყარებენ უშუალო კავშირს გლეხურ მეურნეობასა და სოციალიზაცია ქმნილ მრეწველობის სათანადო დარგს შორის (შაქრის მრეწველობა, საფეიქრო მრეწველობა და სხვ.) და აადვილებენ სათანადო რაიონების და დარგების სასოფლო - მეურნეობის სახელმწიფო - გეგმიან მოწესრიგებას.

კოოპერაციის (სასოფლო - სამრეწველო და სამომხმარებლო) გაძლიერების მიხედვით, აგრეთვე საქონლის ბრუნვის დარგიდან კულაკის და კერძო ვაჭრის განდევნასთან დაკავშირებით, კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოებს შორის უნდა დამყარდეს ისეთი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც კოოპერაციის მუშაობის ფარგლების შემდგომ გაფართოებას, ისე რომ აუცილებლად უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები და ხელმძღვანელობა.

2. გადასახადი

ყურადღება მიექცეს იმას, რომ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილება ხელმოკლე გლეხობის (საბჭოთა კავშირის გლეხთა მეურნეობის მთელი რაოდენობის 35 პროც.) სასოფლო - სამეურნეო გადასახადიდან განთავისუფლების შესახებ განხორციელებული იქნეს სრული სისწორით.

იმ მიზნით, რომ გადასახადი დაწესდეს სოფლის ყველაზე უფრო შეძლებულ ფენების შემოსავალზე, რომელიც თანდათან იზრდება. დაევალოს ცეკას დაამუშაოს საკითხი ყველაზე უფრო სრულ პროგრესიულ - საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის შესახებ.

3. კოოპერაცია

გაფართოებული და გაძლიერებული იქნეს როგორც სამომხმარებლო, ისე სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ქსელი, იმ პირობით-კი, რომ უახლოესი ხნის განმავლობაში კოოპერაციაში ჩაბმული იქნეს სოფლის მთელი უღარიბესი ნაწილი და საშუალო შეძლების გლეხობის უმრავლესობა.

სასოფლო - სამრეწველო კოოპერაციის სისტემაში საჩქაროდ იქნეს შეყვანილი ეგრედ წოდებული „ველური“ კოოპერაციები, რომლებიც აღმოცენდნენ კოოპერაციის ორგანიზაციული მუშაობის სისტემის გამო.

მოწონებული იქნეს სპეციალური სახის სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის დაარსების პრაქტიკა (გარდაქმნილი სასოფლო - სამეურნეო კავშირი, „ხლებოცენტრი“ „მასლოცენტრი“, „ლნოცენტრი“ ჭარხლის მთესველთა კოოპერაცია და სხვ.), საჭიროთ იქნეს ცნობილი ასეთი სახის კოოპერაციის შემდგომი განვითარება, როგორც ისეთი ფაქტორისა, რომელიც უტყუარ საშუალებას წარმოადგენს კოოპერატიულ წესით საქონლის გასაღება და მომარაგებიდან გლეხურ ინდივიდუალურ მეურნეობის განსაზოგადოებაზე გადასასვლელად.

გაძლიერებული იქნეს ბრძოლა ხელმოკლე უინვენტარო გლეხთა მეურნეობის განსათავისუფლებლად კულაკურ ელემენტების გავლენისაგან, რომლებიც თავის ინვენტარს (სასოფლო - სამრეწველო მანქანები და სხვ.) იყენებენ, როგორც საშუალებას ღარიბ გლეხთა დასამონავებლად; ამისათვის-კი როგორც სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციასთან, ისე სახელმწიფო ორგანოებთან მოეწყოს გამქირავებელ პუნქტთა ფართო ქსელი. აღნიშნულ პუნქტების დანიშნულება იქნება მანქანების გაქირავება შეღავათიან პირობებში ხელმოკლე მეურნეებზე, აგრეთვე ხელის შეწყობა მიწების დამუშავების, მოსავლის მოწევის და სხვ. სამუშაოების საზოგადოებრივი წესით შესრულებისათვის.

ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კოლექტი-

დასასრული იხილე მე-4 გვერდზე

ურ მეურნეობებს და ხელმოკლე გლეხებს სასოფლო - სამეურნეო მანქანების შეძენის საქმეში და განსაკუთრებული შეღავათები იქნეს შემოღებული კრედიტის მიღების, მანქანის ღირებულების გადახდის და სხვა ოპერაციების გასაადვილებლად. განსაზღვრული იქნეს კულაკური ელემენტების მომარაგება სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, რისთვისაც შემუშავებული იქნეს სათანადო ნორმები (მანქანების რეალიზაციის დროს შემცირდეს კულაკების დაკმაყოფილების შემთხვევები, არავითარი შეღავათი კულაკებს მანქანების ღირებულების გადახდის დროს და სხვ.).

საჭირო იქნეს ცნობილი ღარიბთა ფონდის გაძლიერება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებით, აღნიშნულ ფონდებს მიეცეს საწარმოო - კოოპერატიული დანიშნულება (კოლექტიური მეურნეობანი), გადიდებული იქნეს ამასთანავე ღარიბთა ფონდები სხვა კრედიტებში.

კოოპერატიულ სამუშაოზე უღარიბეს და საშუალო გლეხობის ყველაზე უფრო საიმედო ელემენტების წამოყენებასა და ამ ელემენტებისაგან სოციალისტ. კოოპერატორების ახალი ფართე კადრების შექმნასთან ერთად, გაძლიერებული იქნეს ბრძოლა კულაკურ ელემენტებთან, რომლებიც ცდილობენ პირველი საფეხურის კოოპერატიულ ორგანიზაციების დაპყრ[illegible]

მოწ[illegible]ბული იქნეს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის კავშირთა კავშირის შექმნა, როგორიც ყველა სახის სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის გამაერთიანებელი ცენტრის, როგორც ორგანოსი, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს ის, რომ სამომხმარებლო კოოპერაციასთან ერთად, განავითაროს კოოპერატიული საზოგადოებრივობა სოფლად და კოოპერატიულად შეკავშირებულ სოციალისტურ მეთოდებს შეაჩვიოს გლეხობის მრავალმილიონიან მასები.

4. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი

დამტკიცდეს ცკ-ას 1926 წ. 30 დეკემბრის თარიღით გამოტანილი დადგენილება კოლექტიურ დ საბჭოთა მეურნეობის შედეგების შესახებ და დაევალოს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციების პარტიულ მუშაკებს, ხელი შეუწყონ კოლექტიური მეურნეობის მშენებლობას, განამტკიცონ საბჭოთა მეურნეობანი და აქციონ ისინი სოციალისტური ტიპის სამაგალითო, მსხვილ მეურნეობათ.

ყოველმხრივ ხელი შეეწყოს სასოფლო - სამეურნეო მანქანების შეძენისა და ამ მანქანებით საერთოდ სარგებლობის მიზნით ღარიბ და საშუალო გლეხობის მიერ შექმნილ ამხანაგობების ქსელის გაფართოებას, მაგრამ ამასთანავე სასტიკი ბრძოლა იქნეს წარმოებული ცრუ ამხანაგობების (საერთოდ ცრუ კოოპერატივების) წინააღმდეგ, რომლებსაც კულაკური ელემენტები იყენებენ ყოველგვარ შეღავათების, კრედიტების და სხვა უკანონოთ მისაღებათ.

5. მიწით სარგებლობა და მიწად მოწყობა

ყოველმხრივ ხელი შეეწყოს მიწის ნაციონალიზაციის საფუძვლების განმტკიცებას; იდევნებოდეს, როგორც მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული, ყოველგვარი ცდა (პირდაპირი და არაპირდაპირი) მიმართული მიწის ნაციონალიზაციის წინააღმდეგ, როგორიცაა: მიწის ყიდვა - გაყიდვა, გაჩუქება და სხვ. რომელსაც ადგილი ქონდა კავკასიის და შუა აზიის ზოგიერთ რაიონებში.

იმ რაიონებში, სადაც მიწის იჯარით გაცემა ხელს უწყობს კულაკურ ელემენტების ზრდას, თანდათან შემცირდეს იმ მიწების სიერცე, რომელიც იჯარით იცემა. საიჯარო ვადა შემცირდეს ერთი თესბრუნვის ვადით, მაგრამ არა უმეტეს 6 წლისა.

იმ პირებს, რომლებიც, მიუხედავათ სახელმწიფო და კოოპერაციის დახმარებისა, მაინც არ ამუშავებენ მიწებს თვითონ, ან თავისი ოჯახის წევრთა დახმარებით, არამედ ყოველწლიურად იჯარით აძლევენ მათ სხვას, — ასეთ პირებს საოემო და სარაიონო აღმასკომების დადგენილებით, შეეზღუდოს მიწის იჯარით გაცემის უფლება 3-დან 6 წლამდე ზედიზედ; აღნიშნული ვადის შემდეგ-კი, აეკრძალოს მიწით სარგებლობა და მიწა გადაეცეს საზოგადოებას.

სასტიკათ იქნეს დასჯილი, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე, ყველა, ვინც დაარღვევს მოიჯარადრობის კანონებს.

სახელმწიფო და საფონდო მიწები იჯარით მიეცეს, უმთავრესად, შრომის ტიპის მეურნეობათ და იჯარის ვადა განისაზღვროს 6 წლის პერიოდით. გამონაკლისი, ცალკე რაიონებში, დასაშვებია მხოლოდ ცენტრალურ სააღგილ-მამულო ორგანოების ნებართვით.

ყოველმხრივ ხელი შეეწყოს მიწით სარგებლობის ისეთი ფორმების განვითარებას, რომელიც ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის და მის მოწყობისათვის კოოპერატიულ ნიადაგზე; შეზღუდული იქნეს მიწების გამოყოფა ინდივიდუალურ მეურნეობათა მოსაწყობათ, განსაკუთრებით იქ, სადაც ასეთი წესი ხელს უწყობს კულაკურ ელემენტების ზრდას.

გლეხობის უღარიბეს და ხელმოკლე ფენების მიწადმოწყობა ჩატარდეს სახელმწიფოს ხარჯზე. მიწადმოწყობის ჩატარება მჭიდროთ იქნეს დაკავშირებული სხვა საორგანიზაციო - სამეურნეო ღონისძიებებთან. (აგრონომიული დახმარება, კრედიტი, მელიორაცია, მანქანების მიწოდება და სხვ.). ყურადღება მიექცეს, რათა მიწათმოწყობის ჩატარების დროს გლეხთა უღარიბეს ნაწილის ინტერესები უზრუნველყოფილი იქნეს მიწების გამოყოფის დროსაც (მიწის ხარისხი, ნაკვეთის მდებარეობა და სხვ.).

შემცირებული იქნეს ვადა, რომელიც ძილებულია გეგმით სამიწად - მომწყობი სამუშაოების ჩასატარებლად.

უცილებლათ იქნეს ცნობილი მიწით სარგებლობის და მიწად - მოწყობის ძირითადი წესების საკავშირო მასშტაბით შემუშავება.

6. დაქირავებული შრომა და სასოფლო - სამეურნეო მუშაკთა კავშირი

ყურადღება მიექცეს იმას, რომ სასოფლო - სამეურნეო მუშების და მუშა-ქალების მიმართ სათანადოთ ტარდებოდეს ცხოვრებაში შრომის კოდექსი კულაკურ ტიპის მეურნეობებში და სასტიკი პასუხი მოეთხოვოს შრომის კოდექსის დამრღვევთ.

ყურადღება მიექცეს იმას, რომ სათანადოთ ტარდებოდეს ცხოვრებაში დროებითი წესები გლეხთა იმ მეურნეობებში, სადაც იყენებენ დამხმარე დაქირავებულ შრომას და სასტიკი პასუხი მოეთხოვოს ამ „დროებითი წესების“ დამრღვევთ.

გატარებული იქნეს ცხოვრებაში კანონი სასოფლო - სამეურნეო მუშებისა და მუშა - ქალების სოციალური დაზღვევის შესახებ.

საჭიროთ იქნეს ცნობილი სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა კავშირის მუშაობის გაძლიერება იმ მოჯამაგირეთა ორგანიზაციულად შესაკავშირებლად, რომლებიც დღემდე არ არიან შეკავშირებულნი, აგრეთვე სოფლის იმ ნახევრად პროლეტარულ ელემენტების კავშირში მისაყვანად, რომლისთვისაც შრომის გაქირავება წარმოადგენს არსებობის ძირითად წყაროს.

7. ხელმოკლე გლეხობის დაზღვევა.—გლეხთა კომიტეტები

დაევალოს ცკ-ას, რათა მიიღოს ზომები იმ პირობების მოსამზადებლად, რომელიც საჭიროა ხელმოკლე გლეხობის მოხუცებლობისაგან დაზღვევის კანონის გასატარებლად საბჭოთა უმაღლეს ყრილობაზე.

ყოველმხრივ ხელი შეეწყოს გლეხთა თვითდახმარების საზოგადოებების გაძლიერებას, იმ მიზნით, რათა ასეთი საზოგადოება სინამდვილეში იქცეს გლეხობის ღარიბ და საშუალო ნაწილის მასიურ თვითდახმარების ორგანიზაციათ და სამეურნეო ღონისძიებათა ისეთ ორგანიზაციათ, რომელიც ხელს შეუწყობს ხელმოკლე გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

უღარიბეს გლეხობისათვის ინდივიდუალურ დახმარების გასაწევად წარმოებულ მუშაობასთან ერთად, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს გლეხობის ხელმოკლე ფენებისათვის საწარმოო - კოლექტიური დახმარების გაწევას.

8. საბჭოები. — კულტურული მუშაობა

საბჭოების, როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მშრომელი გლეხობის ფართე მასების პოლიტიკური აღზრდის ცენტრების გამოცოცხლებისაკენ მიმართულ პოლიტიკის გაგრძელებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უპარტიო საშუალო გლეხურ აქტივის შექმნას და გაფართოებას, მოჯამაგირეთა და ხელმოკლე გლეხობის მოზიდვით ამ აქტივში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლეხ - ქალთა და მოჯამაგირე-ქალთა (საბჭოს წევრ - დელეგატ - ქალთა) მოზიდვას და მათ დაწინაურებას ხელმძღვანელ სამუშაოზე საბჭოებში.

1928 წ. დასაწყისში, საბჭოების მომავალ გადარჩევასთან დაკავშირებით, უნდა დაიწყოს საბჭოების მუშაობის ფართო საანგარიშო კამპანია, არჩევნებში ჩაბმული იქნან ღარიბ და საშუალო გლეხობის რაც შეიძლება მეტი ფენები, უზრუნველყოფილ იქნას პარტიის ხელმძღვანელობა მთელ საარჩევნო კამპანიის განმავლობაში და სასტიკი თვალყური ადევნონ, რომ მთელი სიმკაცრით დაცულ იქნას ცნობილ საბჭოთა ინსტრუქციით დაწესებული, საარჩევნო სიებიდან კულაკური და სხვა ანტიპროლეტარული ელემენტების გარიცხვის ნორმა.

დაევალოს ცკ-ას დაამუშაოს საკითხი საბჭოებსა და სააღგილ - მამულო საზოგადოებების შორის ურთიერთ დამოკიდებულების გაუმჯობესების შესახებ, მხოლოდ ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას საბჭოების ხელმძღვანელი როლი სააღგილ - მამულო საზოგადოებებში (კრებებში) და ხმის მიცემის უფლება წაერთვას საბჭოს ამომრჩეველთა სიიდან გარიცხულ პირთ.

ყოველმხრივი დახმარება გაეწიოს ადგილობრივ საბჭოებს პირველდაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების საქმეში.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასოფლო - სამეურნეო მუშათა, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხობის მოქცევას ყველა საფეხურის სკოლებში, რისთვისაც უნდა შეიქმნას ღარიბი გლეხობის ბავშვთა დამხმარე განსაკუთრებული სასკოლო ფონდი.

გაძლიერდეს ყურადღება სოფლის ინტელიგენციის ახალი კადრების შექმნისა და არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმისადმი, მათგან სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის აქტიურ და შეგნებულ მუშაკთა შექმნის მიზნით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლად კოლექტიურ მეურნეობათა და დიდ სამაგალითო საბჭოთა მამულების მომწყობ სპეციალისტების კადრის შექმნას.

სოფლად გაძლიერდეს პოლიტგანმანათლებელი მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლის რადიოდადგმულობათა და კინოების საქმის განვითარებას, სამკითხველოების ქსელის გაფართოებას და სხვ.

გლეხობაზე პროლეტარიატის გავლენის გადიდების მიზნით, პროფკავშირები უნდა შეუდგნენ ელემენტარულ კულტმუშაობას (რადიო - გაზეთები, ბიბლიოთეკები და სხვ.) თავის წევრებში სოფლად, რომლებიც წლის უმეტესი ხნის განმავლობაში დაკავშირებულნი არიან გლეხურ მეურნეობასთან (მშენებლები, წყალზე მომუშავეები და სხვ.).

9. პარტიულ - ორგანიზაციული საკითხები

ჩამოყალიბდეს და განმტკიცდეს საბჭოებსა და კოოპერატივებთან არსებული ღარიბთა ჯგუფები, ისე, რომ დროგამოშვებით იმართებოდეს ამ ჯგუფების კრებები სოფლად, თემსა და რაიონში მათი მუშაობის გამოცდილების ურთიერთშორის გაზიარების მიზნით.

პარტიულ კომიტეტებთან (საოლქო და სარაიონო კომიტეტებიდან (ცკ-ამდე) დაარსდეს სოფლად მუშაობის განყოფილებები, რომლების თაოსნობითაც საჭიროების მიხედვით უნდა იმართებოდეს ღარიბთა ჯგუფების საქაზრო და საგუბერნიო კონფერენციები.

მთელი ყურადღება მიექცეს უმთავრესად ღარიბი და მოჯამაგირე გლეხობის იმ აქტივის მომზადებას და მოზიდვას პარტიაში, რომელიც იზრდება სასოფლო - სამეურნეო მუშათა კავშირში, უღარიბესთა ჯგუფებში და კოოპერაციის საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში და სხვ.

ახალი პარტიული ძალებით გაძლიერდეს კოოპერატიული და საბჭოთა ორგანოები მათ მუშაობაში სოფლად პარტიის ხაზის სწორად გატარების უზრუნველყოფის მიზნით (ადს).

თბილისის მერვე პარტკონფერენცია

26 ოქტომბრის დილის სხდომა

თბილისის კომიტეტის ანგარიში

კონფერენცია იხსნება თბილისის მუშათა თეატრის (ყოფ. ზუბალაშვილის სახლის) შენობაში. თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე. თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ ვრცელი საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ა. სვანიძე.

ამხ. სვანიძის მოხსენება

მრეწველობის განვითარება

თავის მოხსენების დასაწყისში ამხ. სვანიძე შეეხო მრეწველობის განვითარებას თბილისში და მის მაზრაში. როგორც მოწმობს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ციფრები, ამბობს ამხ. მომხსენებელი—მრეწველობის საერთო პროდუქცია ჩერვონულ მანეთებში 1925—26 წელს უდრიდა 88.286 მან. მეტს. 1926—27 წლის 9 თვის განმავლობაში კი 25.714.925 მანეთს. ამ ცნობაში არ შედის ამ.-კავკ. რკ. გზ. მთავარი სახელოსნოების პროდუქცია. თუ ავიღებთ ზემოთ მოყვანილ წლების თვიურ საშუალო პროდუქციას, ჩვენ დავინახავთ, რომ თბილისის მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 8,4 პროცენტით.

გარდა ამისა, საქართველოში მტკიცე ხაძირკველი ჩაეყარა ელექტროფიკაციას ზემო-ავჭალის მიდრო-ელსადგურის აშენებით. ჯერ-ჯერობით ზაჰესის სიძლიერე უდრის 18.000 ცხენის ძალას. ზაჰესის აშენება ქალაქის მიწის ქვეშა ქსელის გაკეთებასთან ერთად დაჯდა 15 ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი. ზაჰესის ელექტრო-ენერგია გამოყენებულია არა მარტო ქალაქის გასანათებლად, არამედ სამრეწველო საჭიროებებისათვისაც. ეს ენერგია უნდა მოხმარებულ იქნას აგრეთვე რკინის გზის ელექტროფიკაციისათვის. ამასთან ერთად, ხდება ადგილობრივ ელექტრო-სადგურების ლიკვიდაცია, რადგან ზაჰესის ამუშავების შემდეგ მათ არსებობას მნიშვნელობა ეკარგება.

კომუნალურ მეურნეობაში უკანასკნელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენ მნიშვნელოვანად დავწინაურდით მოსახლეობის საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სფეროში. ტრამვაი, წყალსადენი, ელექტრო - სადგური, სასაკლაო, აბანოები და სხვა გაცილებით უფრო ფართოდ მუშაობენ, ვიდრე ეს წინათ იყო. ყველა ეს წარმოებანი, სასაკლაოს გამოკლებით, შემოსავლიანია.

კოოპერაცია

თბილისის კომიტეტი მტკიცედ ატარებდა აგრეთვე ფასების დაკლების კამპანიას. ამ მხრივ მუშკოოპმა მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა. მან ყველას გაუსწრო წინ ფასების დაკლების საქმეში, მაგრამ ეს აიხსნება იმითაც, რომ მუშკოოპში იყო მეტი ზედნადები ხარჯები, ვიდრე ამას სხვაგან აქვს ადგილი. დღეს, მუშკოოპის ზედნადები ხარჯები საშუალოა, მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადოთ მათი მინიმუმამდე დაყვანას. კოოპერაცია გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს სადუქნე და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მუშების ჩასახაბათ. კოოპერატიულ საზოგადოებრივ ზრდის მაჩვენებელია, სხვათაშორის, ის ფაქტები, რომ კოოპერატივების რწმუნებულთა არჩევნებზე გამოცხადდა ამომრჩეველთა 48 პროც. წინად კი ამომრჩეველთა არგამოცხადების გამო ჩაიშალა რწმუნებულთა არჩევნები. წევრთა გაერთიანება კოოპერაციაში იზრდება, მაგრამ ბევრია მკვდარი სულები. საჭიროა კოოპერაციის წევრთა ხელ-ახალი გადასინჯვა ასეთი ელემენტების გასაწმენდათ.

მიუხედავათ იმისა, რომ მუშკოოპმა ჩაატარა ფასების დაკლება, მას მაინც აქვს 50.000 მანეთი მოგება. ეს იმას ნიშნავს, რომ ფასების დაკლების კამპანიამ არა თუ დასცა ეკონომიურად მუშათა კოოპერაცია, არამედ გააჯანსაღა ის. მომავალში უნდა მიმართულ იქნას ყურადღება იქითკენ, რომ მუშკოოპმა შეამციროს ზედნადები ხარჯები, ვინაიდან ამ მხრივ ის სხვებს უკან ჩამორჩება.

თბილისის ბიუჯეტი

რაც შეეხება თბილისის ბიუჯეტს, აქ მდგომარეობა ასეთია: მიმდინარე წლის განმავლობაში გაიზარდა საგადასახადო შემოსავალი 64 პროცენტით. ეს ზრდა უმთავრესად შეეხო კერძო კაპიტალს, რომელიც არ იყო სათანადოთ დაბეგვრილი. მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში თბილისის აღმასკომს შემოუვიდა საგადასახადო შემოსავალი 4.768.000 მ. მეტი, არასაგადასახადო შემოსავალი 9.127.000-ზე მეტი სხვადასხვა შემოსავალი 4.185.000 მანეთზე მეტი. მაგრამ ამასთანავე ერთად აღმასკომს აქვს დიდი გასავალიც. ბიუჯეტის 6 პროც. ხმარდება ადმინისტრატიულ ხარჯებს, 25 პროც.—სოციალურ-კულტურულ ხარჯებს, 56 პროც.—საწარმოო-სამეურნეო ხარჯებს.

სოფლებე (თბილისის მაზრა) აღმასკომი ხარჯავს 2.200.000 მანეთს. აქედან სახალხო განათლებას ხმარობდა 820.000 მან., საგზაო მშენებლობას 250.000 მან. მეტი, ჯანმრთელობასაც დაახლოებით ამდენივე და ადმინისტრატიულ ხარჯებს 850.000 მან.; ე. ი. თითქმის 15 პროც., რაიც მეტად დიდათ უნდა ჩაითვალოს. ეს ხარჯები უნდა შევამციროთ და თავისუფალი თანხა მოვახმაროთ თბილისის მაზრის სოფლის მეურნეობას.

კომუნალურ ხარჯებიდან თბილისის აღმასკომს გადადებული აქვს 850.000 მან. ნატახტარის წყალსადენზე. ასეთია მოკლე სურათი თბილისის ბიუჯეტისა. გასავალი ჯერ-ჯერობით სჭარბობს შემოსავალს და ბიუჯეტიც ამიტომ იძლევა 2 ნახევარ მილიონ მანეთს დეფიციტს.

იზრდება თუ ეცემა კერძო კაპიტალი

ბრძოლა კერძო კაპიტალთან ჩვენს მრეწველობაში წარმატებით მიმდინარეობს. მისი მონაწილეობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ ის ვერ თამაშობს ოდნავად საგრძნობ როლს საერთო სამრეწველო აღმშენებლობაში. კერძო კაპიტალის მონაწილეობა მრეწველობაში უდრის 1,8 პროცენტს. რაც შეეხება ვაჭრობის დარგს, აქ საბითუმო ნაწილში გაბატონებულია სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობა. ხოლო საცალო ვაჭრობის ბაზარზე, კერძო კაპიტალის მონაწილეობა უფრო მნიშვნელოვანია. ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოება შემოწმებული ცნობები კერძო კაპიტალის პროცენტულ მონაწილეობის შესახებ საცალო ვაჭრობაში. დაახლოებით ფიქრობენ, რომ ის უდრის 35 პროცენტს. მაგრამ ფაქტია, რომ კერძო ვაჭრობა, თანდათან ეცემა. ჯერ-ჯერობით კი ის შედარებით ძლიერია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე. პროფსაბჭომ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება. მისი აზრით მუშის საბიუჯეტო შენაკრებში კერძო საცალო ვაჭრობას უჭირავს 40 პროც. ეს მხედველობაში უნდა მიიღოს კოოპერაციამ, ის უნდა შეეცადოს ბაზრის ამ ნაწილის უფრო ენერგიულად დაპყრობას.

ინტელიგენციის განწყობილება

საჭიროა შევჩერდეთ კიდევ ინტელიგენციის პოლიტიკურ განწყობილებაზე. ყოველწლიურად ემჩნევა, რომ ინტელიგენცია უფრო და უფრო იხრება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. მისი დიდი უმრავლესობა დღეს უკვე საბჭოთა პლატფორმაზე სდგას. თუმცა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ისინი ყველაფერში ჩვენთან არიან. მაგრამ, რომ ინტელიგენცია თავისი მნიშვნელოვანი ნაწილით გარკვევით და ურყევათ საბჭოთა პლატფორმაზე დგას, ეს სხვათა შორის იქიდანაც სჩანს, თუ რა პასუხი გასცეს ექიმებმა, ინჟინრებმა, მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა და ინტელიგენციის სხვა ფენებმა ჟორდანია-რამიშვილის პროვოკაციულ წერილებს. ინტელიგენცია უფრო და უფრო ებმება საბჭოთა აღმშენებლობაში.

შინა-პარტიული მდგომარეობა

გადავდივარ ჩვენს შინა-პარტიულ მდგომარეობაზე. უკანასკნელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ადგილი აქვს პარტიის მუშური შემადგენლობის რამდენიმედ შემცირებას. და ეს მოხდა მიუხედავათ იმისა, რომ ახალ მიღებულთა შორის მუშათა საერთო რიცხვი გაცილებით წინ უსწრებს სხვა სოციალურ ჯგუფების რიცხვს. მუშათა შემადგენლობის შემცირება აიხსნება პარტიის წევრთა მოძრაობით ჩვენს ორგანიზაციაში და იმით, რომ პარტ-აღწერის დროს რეგისტრაციაში უმთავრესად არ გატარებულან მუშა-კომუნისტები. უპარტიო მასის აქტივობა მნიშვნელოვნად იზრდება. პარტიას უსათუოდ აქვს შესაძლებლობა გაზარდოს ახალი მუშური აქტივის ხარისხი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ პარტიის ზრდა მუშების ხარჯზე ჩამორჩება მუშური აქტივის საერთო ზრდას. ამას უნდა მიაქციოს ჩვენმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება.

ბრძოლა ოპოზიციასთან

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თბილისის კომიტეტმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა, მაგრამ ოპოზიცია ამას ვერ ამჩნევს. ის ყრუა ყველა იმ საკითხებისადმი, რომლებიც წარმატებით გადაწყვიტა თბილისის კომიტეტმა. ოპოზიცია უმთავრესად დეფექტების ძებნაში ვარჯიშობს.

თავის ფრაქციულ ბრძოლაში, ის იმდენად შორს წავიდა, რომ არავითარ საშუალებებს არ ერიდებოდა პარტიის მთლიანობის და პრესტიჟის შესარყევად.

ჩვენ ვიცით, გამოცდილებით, სანამდე მიჰყავს ფრაქციულ ბრძოლის ლოღიკას ამ სენით დაავადებული ელემენტები და ამიტომ პარტიამ მიზნად დაისახა ზოგიერთი ამხანაგების გადარჩენა ამ ხიფათისაგან. პარტიას გულწრფელად უნდოდა მათი ახალ პირობებში და ახალ ამხანაგურ გარემოცვაში მოქცევა, რომ ისინი გამოფხიზლებულიყვნენ და იდეურად გაჯანსაღებულიყვნენ. ამ მიზნით ზოგიერთ მათგანს წინადადება მიეცა გამგზავრებულიყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციაში. ამაზე ოპოზიციონერ ჯგუფის ერთ-ერთ მეთაურმა ლადო დუმბაძემ შემდეგნაირად უპასუხა პარტიას:

„პარტიული მუშაობის 27 წლის განმავლობაში მე არა ერთხელ განმიცდია ყოველგვარი გადასახლება და ძალდობა, მაგრამ ვფიქრობ ამას მე ნებაყოფლობით არ დავმორჩილდებოდი, თქვენ დაჩაგრეთ ეხლა სათანადო დასჯა გამოიტანით და ძალით გამგზავნით გადასახლების ადგილებს“.

ამრიგად, პარტიის ამგვარ ამხანაგურ დახმარებას, ნაციონალისტურ-უკლონისტურ ოპოზიციის ერთ-ერთ წარმომადგენელმა ასეთი დაუშვებელი ცილისწამებით უპასუხა. მან ჩვენი პარტიის რეჟიმი შეადარა მეფის რეჟიმს და ჟანდარმერიას. დროინდელ რეჟიმს. ნუ თუ ამის შემდეგ ადგილი უნდა ქონდეს ასეთ პარტიის წევრებს ჩვენს რიგებში?

„ქურდს ქუდი ეწვის“

ოპოზიცია გვეუბნება, გააუქმეთ ბიუროების და კონფერენციების არჩევნები, რადგან ეს არჩევნები მეტად „არანორმალურ“ პირობებში მიმდინარეობდაო. პარტიას არასოდეს და არსად არ უთქვამს, რომ ოპოზიციისათვის დეკრეტით კარები და მათი წარმომადგენლები არ აირჩიონ. იყო მხოლოდ საერთო ხასიათის მითითება, რომ მერყევი და არა მტკიცე ლენინელები არ გაეყვანათ ბიუროებში და სხვაგან. თუ „ქურდს ქუდი ეწვის“ ეს ვისი ბრალია? პარტიულ მასას არ სურს ოპოზიციას ჩააბაროს თავის ხელმძღვანელობა, ჩვენ რომ ძალით გაგვეგზავნა ოპოზიციის წარმომადგენლები ბიუროებში და კონფერენციებზე, ეს იქნება სწორედ დემოკრატია, მაგრამ ერთი შესწორებით დემოკრატია ოპოზიციონერ ყაიდაზე.

ძველმა კომუნისტ-მუშებმა შეიგნეს რა დამღუპველი გზით მიდიოდა ოპოზიცია და ამიტომ ჩამოშორდნენ მას. ასეთია ამხ. როთველაძე, ზაქრაძე და სხვები. ვინღა დარჩა ოპოზიციას თავის შეთხელებულ რიგებში? (ხმები: „ვერაპი“ სიცილი).

1928 წელში ოპოზიციამ შეგვიმატა მარჯვნიდან. ის იყო აგრარულ რევოლიუციის წინააღმდეგი. ურწმუნოების ჩენდა რუსულ ჩერვონეცისადმი და მოითხოვდა ორიენტაციას სტამბოლზე. ოპოზიციას სურდა ოტომანის ბანკის დაარსება თბილისში. ამ ბანკის უკან კი სდგას ინგლის-საფრანგეთის კაპიტალი. ოპოზიცია წინააღმდეგი იყო ამ.-კავკასიის ფედერაციის, ბუდუ მდივანი ამბობდა, რომ აზერბეიჯანსა და საქართველოს არაფერი აქვთ საერთო ზურნისა და მტკვარის მეტი. ცხოვრებამ უკვე ეს მათი ლოზუნგები გააბათილა და დაამარცხა.

ეხლა იგივე ოპოზიცია უტევს პარტიას მარცხნიდან და არქი-რევოლიუციონურ ფრაზებით ცდილობს ჩვენს გაბიაბრუებას. ჩვენ ვიცით რა ფასი აქვს ამ ფრაზებს. რა გასაკვირია, რომ პარტიამ ასე სასტიკად დაგმო და გაკიცხა უკლონისტურ ტროცკისტული ოპოზიციის ეს მოქმედება.

ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობა მთლიანობა და ასპროცენტიანი მთლიანობა. ჩვენ მივაღწევთ ამ მთლიანობას ოპოზიციასთან ერთად თუ ის ამას მოისურვებს და დაემორჩილება პარტიის ნებას. ჩვენ მივაღწევთ ამ მთლიანობას მაინც, თუ ამაზე არ წავა ფრაქციული ცხვირით შეპყრობილი ოპოზიცია.

საკითხი ეხლა სდგას ასე: ან პარტიასთან, ან პარტიის წინააღმდეგ. არცერთ რევოლიუციონერ კომუნისტისათვის არჩევანი არ არსებობს. (მხურვალე და ხანგრძლივი ტაში).

ამხ. ა. სვანიძის მოხსენების სტენოგრაფიული ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

სარევიზიო კომისიის მოხსენება

ამხ. სვანიძის მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა თბილისის კომიტეტის მოხსენება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისის კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობდა ფინანსიურ ხარჯების შემცირებისათვის. აპარატი დროულად და წესიერათ მუშაობდა, მიღებული იყო ზომები პარტაპარატის გასამარტივებლად და გადასახადისებლათ.

მოულოდნელ რევიზიის დროს ნაღდი ფული, რომელიც აღმოჩენილ იქნა თბილისის კომიტეტის სალაროში, შეეფერებოდა წიგნებში აღნიშნულ ცნობებს. მიუხედავად იმისა, რომ საფინანსო განყოფილებაში თბილისის კომიტეტის მეტად მცირე შტატი ჰყავს, მუშაობა აქ არ შეფერხებულა. საერთოდ სარევიზიო კომისია ცნობს, რომ თბილ. კომიტეტის მუშაობა, როგორც ფინანსიური საქმის წარმოების, ისე დადგენილებათა თავის დროზე შესრულების მხრივ ხარჯების შემოკლების დარგში სავსებით დამაკმაყოფილებელია.

26 ოქტომბრის საღამოს სხდომა

კამათი

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია. იხსნება კამათი საკავშირო კომპარტიის ცკ-ას და თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებასა და სარევიზიო კომისიის მოხსენების გარშემო.

ამხ. ს. თუმანოვი

ორატორი აღნიშნავს, რომ ამხ. რუტუტაკის მოხსენებამ ის ვერ დააკმაყოფილა. ამხ. რუტუტაკის მოხსენებიდან ის მოელოდა საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის უფრო ღრმა და ვრცელ ანალიზს. სამწუხაროდ, ამბობს ორატორი, მომხსენებელმა მოლოდინი ვერ გაამართლა. რუტუტაკის სიტყვის პირველი ნაწილი წარმოადგენდა საერთო დებულებებს, რომელიც ცნობილია პარტიის უმრავლესობისათვის, ხოლო რაც შეეხება მისი მოხსენების მეორე ნაწილს, რომელსაც ის გადავიდა კონკრეტიულ შინა-პარტიულ საკითხებზე. მან ცეცხლი მიმართა მარცხნივ, ე. ი. ჩვენს წინააღმდეგ. (სიცილი) ორატორი შემდეგ ცდილობს ციფრების საშუალებით დაამტკიცოს, რომ საკავშირო კომუნისტური პარტიის სოციალურ-შემადგენლობაში ხდება პარტიისათვის მიუღებელი გადაჯგუფებანი. მე-13 ყრილობის დადგენილება, ამბობს ორატორი, რომ პარტიაში გაძლიერებულიყო მუშათა შემადგენლობა, ჯერ შესრულებული არ არის. პირიქით ადგილი აქვს მუშათა პროცენტის დაკლებას და მის ხარჯზე გლეხურ და ინტელიგენტურ ელემენტების ზრდას.

ამხ. პრეობრაჟენსკი

მე, ამხანაგებო, დიდხანს არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას შინაპარტიულ უთანხმოების საკითხზე. რომ ოპოზიციას არავინ მიჰყვება, ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა ბიუროების და კონფერენციების უკანასკნელ არჩევნებზე, სადაც მუშებმა ერთსულოვნად დაგმეს ოპოზიციის გამოსვლები და უნდობლობა გამოუცხადეს მას. მე მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო პრაქტიკულ საკითხებზე, რომელიც გამოჩნდა თავის მოხსენებაში ამხ. სვანიძეს და, რომელიც განსაკუთრებით აინტერესებს მუშათა მასებს. პირველი ამ საკითხთაგანია საზოგადო კვების მოწყობა. აქ ჩვენ ბევრად ჩამოვრჩებით საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებს, როგორიცაა მაგალითად მოსკოვი და ლენინგრადი. საზოგადო კვების საქმეს იქ დიდი ყურადღება ექცევა. ჩვენში კი საზოგადო სასადილოები ისეა მოწყობილი, რომ ზოგჯერ ისინი კუჭის ავადმყოფობათა გავრცელებას უფრო უწყობენ ხელს, ვიდრე ნორმალურ კვებას.

მეორე საკითხი, რომელზედაც მე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, არის კინო, ჩვენი სახკინმრეწვი და საერთოდ კინო-მრეწველობა იშვიათად თუ იძლევა იდეოლოგიურად და მხატვრულად რამდენადმე გამართლებულ სურათებს. ისეთი სურათი, რომლითაც ჩვენ დაგვასაჩუქრა ამ ბოლო დროს სახკინმრეწვმა, მე მხედველობაში მაქვს „ამოკი“, ავადმყოფ ადამიანის ფსიქოლოგიურ შემოქმედებას უფრო წარმოადგენს, ვიდრე სურათს, რომელიც ჩვენ მართლაც გვჭირდება. გარდა ამისა ხშირად იდგმება ისეთი სურათები, რომლებიც დადგმისთანავე იხსნება, როგორც უვარგისი. ამ საქმეზე მიდის აურაცხელი ფული და სათანადო პრაქტიკულ შედეგს კი ჩვენ ვერ ვხედავთ. ვფიქრობ თბილისის კომიტეტმა მომავალში ამ ორ საკითხს შესაფერი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ამხ. გ. როთველაძე

მე, ამხანაგებო, არ მინდოდა დღეს აქ გამოსვლა, მაგრამ ამხ. თუმანოვის სიტყვამ მაიძულა ჩემი აზრიც გამომეთქვა თქვენს წინაშე. ნუ თუ შეიძლება მუდმივ უკმაყოფილო იყოს კაცი პარტიით? ნუ თუ საზღვარი არ უნდა დაედოს ამ უკმაყოფილებას? ერთ დროს მეც ვიყავი უკლონისტი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ უკლონისტურ ოპოზიციას პარტია პირდაპირი და მოკლე გზით მიჰყავს გათიშვისაკენ. მე ამას, როგორც მუშა ვერ შევურიგდები, მე არ შემიძლია ჩემი საკუთარი ხელით დანა ჩავცე პარტიას. ინტელიგენტ ოპოზიციონერებისათვის კი, როგორიცაა მაგალითად თუმანოვი ასეთი რამ არაფერია. მათ ჩირის ფასადაც არ უღირს პარტიის ინტერესები.

გადახედეთ დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობას, ნუ თუ ყოველი რევოლუციონერი კომუნისტი დღეს პარტიის მხარში არ უნდა ედგეს? ოპოზიცია კი ცდილობს ყოველნაირად ხელი შეუშალოს ჩვენს შემოქმედებით მუშაობას. ის ამ მიზნით უსირცხვილო სპეკულაციას ეწევა იმ სიძნელეებზე, რომლებიც აუცილებელია ყოველ ასეთ დიდ მუშაობაში, როგორსაც აწარმოებს ჩვენი პარტია.

ამხ. თუმანოვი ამბობს, რომ მუშები ცოტაა პარტიაში. მიდი, ამხ. თუმანოვო, პირველ რაიონის უჯრედებში და დარწმუნდები ვინც არის იქ. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი პარტია მუშურია, ოპოზიცია ასე გარიყული და პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. მუშები კი ყოველთვის დაუჭერენ მხარს თავის ხელმძღვანელ საკავშირო კომუნისტურ პარტიის ცკ-ას.

გაუმარჯოს ლენინურ პარტიის მთლიანობას და ერთსულოვნებას (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. ნასყიდაროვი

მე მუშა ვარ. 28 წელ. დაზგასთან ვდგავარ. არ შემიძლია გავჩუმდე მაშინ, როცა დაინახ ლეხავენ პარტიის წინააღმდეგ. იყო დრო, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვერკვევდით კარგად ოპოზიციის შეხედულებებში, მაგრამ ეხლა ყოველივე ნათელია. სინამდვილემ სავსებით ცხად ყო, ვინ მიდის სწორი გზით და ვინ ცდილობს პარტიის ხრამში გადაჩეხას. ხალხური თქმულება ამბობს: „ციხე შიგნიდან ტყდებაო“. არალეგალური მუშაობა საკუთარი პარტიის ფარგლებში არის უდიდესი დანაშაული პარტიის წინააღმდეგ. ის ემუქრება ჩვენს მთლიანობას.

მუშები ასე ადვილად არავის დაანებებენ ოქტომბრის მონაპოვარს. ისინი არ გაჰყვებიან მემარცხენე ფრაზებით თავმომწონე ოპოზიციას, რაც უნდა წარსულში არ იყვეს ცალკე მისი წარმომადგენლები და რაც უნდა ლამაზ დაპირებებს არ სთავაზობდენ ისინი მათ. ოპოზიციას არაფერი აქვს სალაპარაკო და ის დადის, განგებ დადის, ხელოვნურად ქმნის ბევრ ამა თუ იმ ნაკლს, რომელიც არსებობს მხოლოდ ოპოზიციონ წარმოდგენაში და არა ჩვენს სინამდვილეში.

ჩვენ უნდა გადავდგათ დეზორგანიზატორული მუშაობის წინააღმდეგ ისეთი გადამწყვეტი ნაბიჯი, რომ ძირშივე მოვკვეთოთ ეს გამხრწნელი მუშაობა და ამრიგად პარტიას შევუქმნათ ნორმალური მუშაობის პირობები. ჩვენ უნდა ვეცადოთ. რომ ოპოზიციას ხმა აღარ ისმოდეს ჩვენს რიგებში (ტაში).

ამხ. თ. კალანდაძე

ამხანაგებო, რადგან ოპოზიციის ორატორები ცოტაა (სიცილი, ხმები: „ოპოზიცია საერთოდ ცოტაა“) მე გთხოვთ ნება მომცეთ ამოვწურო ყველა ის საკითხები, რომელთა გაშუქებაც საჭიროდ მიმაჩნია.

აქ გვდებენ ბრალს იმაში, თითქოს ჩვენ ვაწარმოებთ გამთიშველ მუშაობას, ჩვენ გვეუბნებიან, რომ თქვენ გსურთ მეორე პარტიის შექმნა. ეს ბრალდება არ არის სწორი. ჩვენ ამხანაგებო ლენინიზმის უდიდეს დებულებას. განხეთქილებას იწვევს უმრავლესობა და არა უმცირესობა. (დარბაზში ისევ სიცილია, ისმის ხმები: „აი, ლენინელი“, „აი, ყოჩაღ, თედო!“) მეორე პარტიის შექმნა შეიძლება მოუღებელია (ხმა დარბაზიდან: „თუ შეუძლებელია“?) მეორე პარტია დალუპავდა რევოლუციას.

მე ამხ. გ. როთველაძეს ძალიან დიდ პატივს ვსცემდი. ეხლა ის სჩანს მოიქანცა (სიცილი— ხმაურობა. ხმები „რაღა ეხლა მოიქანცა?“). ამხ. რუტუტაკი ამბობდა, რომ ოპოზიცია ყოველ გამწვავებულ კრიზისის დროს ესხმის თავს პარტიასო. ეს მართალია, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ამას აქვს ისტორიული გამართლება. (ცვლავ ხმაურობა. ხმები: „ე. ი. გაჭირვების დროს ეცი პარტიას, არა?“ „ეს მეორე „კლემანსოს თეზისია“!) კალანდაძე განაგრძობს ლაპარაკს, დარბაზში საშინელი ხმაურობაა, დელეგატები მოითხოვენ ორატორისათვის სიტყვის წართმევას, კალანდაძე სტოვებს ტრიბუნას.

ამხ. ფილიპე მახარაძე

ამხანაგებო, როგორც ამხ. თედორე კალანდაძეს, ისე ბევრ სხვებს ოპოზიციიდან მე დიდი ხანია ვიცნობ. პირადად მათთან ყოველთვის კარგ განწყობილებაში ვიყავი. არც ეხლა დამიკარგავს პატივისცემა მათდამი, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ეხლა, როცა პარტია განიცდის კრიზისს, თავისთავად ცხადია, ყოველი პირადი სიმპატია და პატივისცემა იჩრდილება საერთო პარტიულ საკითხების წინაშე. ამხ. თედორე კალანდაძე იმდენად განვითარებული კაცია, რომ თავისთავად მოსალოდნელია ოპოზიციაში იყოს. (სიცილი) ის, რომ მარტო იყოს, მაინც შექმნიდა ოპოზიციას (სიცილი—ტაში). ეს არის სხვათა შორის ამხ. თედორე კალანდაძის მტკივანი მხარე, მე სამწუხაროდ ამხ. სანდრო თუმანოვის სიტყვის ბოლოს მოვუსწარი. ის ამბობდა, ამხ. რუტუტაკის მოხსენებიდან მე მოველოდი ღრმა ანალიზს საერთაშორისო ურთიერთობის შესახებო.

ამხ. თუმანოვმა თვითონ გაუკეთა „ანალიზი“ ჩვენი პარტიის შემადგენლობას. მან სთქვა, ჩვენი ცხოვრების პროცესები გამოხმაურებას პოულობენ პარტიის ცალკე ფენებში. თუმანოვი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მუშური ელემენტი პარტიაში მცირდება, რომ პარტიამ დაარღვია მე-13 ყრილობის დადგენილება.

სრულიად შესაძლებელია, რომ პარტიის ზრდაში ადგილი აქვს ამა თუ იმ ნაკლს, მაგრამ საქმე იმაში როდია! თუმანოვი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ რაკი პარტიაში მუშების რიცხვმა იკლო, პარტია მოექცა ანტი-პროლეტარულ ელემენტების გავლენის ქვეშ და ის გადაგვარების გზით მიდისო. თეორიაში ეს თითქოს მართლაც ასეა, მაგრამ საჭიროა ამის შემოწმება სინამდვილეში. ოპოზიციას უნდა ვუთხრათ ჩვენ, არა პარტიო მეცნიერული თეორიებით შეაფასეთ მდგომარეობა, არამედ სინამდვილის მიხედვითაც, სინამდვილე კი მთლიანად ოპოზიციის მიერ წამოყენებულ ამ დასკვნების წინააღმდეგ ლაპარაკობს.

რისთვის ან რათ აწყობენ ოპოზიციას? აქაც აშკარავდება ის არაგულწრფელობა, რომელიც ახასიათებს ოპოზიციას. საქმე იმაშია, საით მიდის პარტია და საით მიდის ოპოზიცია. ამხ. თედორე კალანდაძე გულწრფელად გვარწმუნებს, დამიჯერეთ, ოპოზიცია არ ფიქრობს მეორე პარტიის შექმნასო. შეიძლება ამხ. თედორე კალანდაძემ არ იცის საქმის ნამდვილი ვითარება. თუმცა მე თავს ნებას ვაძლევ, რომ ამაში ეჭვი შევიტანო. [illegible]ტები კი ამას მოწმობენ, რომ ოპოზიცია უკვე შესდგა მეორე პარტიის შექმნის გზაზე. ამხ. თედორე კალანდაძე, თქვენ, რომ აქ გამოდიხართ, ვის დირექტივებს ასრულებთ? ვისი სახელით ლაპარაკობთ? თქმა არ უნდა, ფრაქციული ცენტრისას.

ნუ თუ კალანდაძემ არ იცის ის ელემენტარული პირობები, რომელშიაც იქმნება მეორე პარტია, ნუთუ მას არ ახსოვს ჩვენი ბრძოლა მენშევიკებთან.

ამხ. თედორე კალანდაძის მეორე დებულება ღირსია ოპოზიციის. ის ამტკიცებს, თითქოს ლენინის მიხედვით პარტიის განხეთქილებას იწვევს უმრავლესობა და არა უმცირესობა. ოპოზიცია დღეს უკვე ვერავის მოატყუებს. არ შეიძლება იმის ლაპარაკი, რომ თქვენ არ გსურთ მეორე პარტია, როცა მთელი თქვენი საქმიანობა ამ განცხადების წინააღმდეგაა მიმართული. ნუ ეფლიცებით სიბრალულის გამომწვევლობით პარტიას სიცრუეში.

თქვენ აშკარათ და ღიათ უნდა სთქვათ: პარტიასთან ხართ თუ მის წინააღმდეგ. მხოლოდ ეს გადაგარჩენს თქვენ. პარტიას ოპოზიციონერის კინკლაობა გულის რევას გვრის. სთქვით აშკარად: რა გწადიათ?

გუშინ ამხ. რუტუტაკის მოხსენების დროს მე წავიკითხე ბარათი, რომელშიაც ერთი დელეგატი ეკითხებოდა მომხსენებელს: გვიპასუხეთ, რით აიხსნება, რომ ოპოზიციამ ხმა მისცა საკავშირო ცაკის მანიფესტის წინააღმდეგო (ხმ. სირცხვილი ოპოზიციას). როცა მე გავიგე, რომ ოპოზიციამ გაილაშქრა მანიფესტის წინააღმდეგ, ეს არც გამკვირვებია. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო. საკავშირო ცაკის მანიფესტი, რომელიც გაჟღენთილია ოქტომბრის სულით, რომელიც გამსჭვალულია გამარჯვების იმედით, რომელსაც მოაქვს უამრავი სიკეთე მშრომელ ხალხისა და მუშებისათვის, არის სასიკვდილო განაჩენი ოპოზიციის იმ დებულებებისა, რომლებიც ისინი აყენებენ. მანიფესტში ნაჩვენებ საკითხების გარშემო. რომ ოპოზიციამ ამ მანიფესტს მიაწერა ხელი, ეს იქნება საკუთარ თავის გაკოტრებაზე ხელის მოწერა.

ოპოზიციის მთელი მუშაობა დაყრდნობილია ცილისწამებაზე. ცხადია ამ გზით ის ვერ მოიპოვებს კაპიტალს. პარტიას აღებული აქვს კურსი, რომ დეზორგანიზატორულ ელემენტებს არ მისცეს ჩვენი რიგების რყევება და რღვევის საშუალება. კმარა. ამას იქით პარტია აღარ მოითმენს გამთიშავ მუშაობას.

ოპოზიცია სჩივის—პირში ბურთს გვჩრიან, ლაპარაკის საშუალებას არ გვაძლევენო, აქ გამოსული ამხანაგები ოპოზიციიდან არც ერთი კონფერენციის დელეგატი არაა, მიუხედავათ ამისა მათ საშუალება მიეცათ გამოსულიყვნენ და გამოეთქვათ საკუთარი აზრი. ამხ. როთველაძემ სრულიად სამართლიანად შენიშნა, თუ ოპოზიციას აქვს რამე საქმიანი წინადადება, მოახსენოს ის პარტიას. როდის იყო, რომ პარტიამ უკუაგდო ასეთი წინადადება? პირიქით, ლენინი ამბობს, რომ პარტია მოვალეა მოუსმინოს თვითეულ წევრს, როცა მას შემოაქვს საქმიანი წინადადება, მაგრამ არამც შემთხვევაში ეს წინადადება არ უნდა იყვეს ფრაქციული და ჯგუფური ხასიათის. მეათე ყრილობის რეზოლუციაში ეს აზრი ხაზგასმითაა გატარებული. რატომ არ უწევენ პარტიის ამ დირექტივას ანგარიშს ოპოზიციონერი ამხანაგები. დროა ბოლო მოეღოს ასეთ უპასუ[illegible]ბას. პარტიამ სასტიკი პასუხი უნდა გასცეს ყველა მათ, ვინც ემუქრება ჩვენს მთლიანობას. დროა გათავდეს ეს თამაში (ხანგრძლივი და მქუხარე ტაში).

ამხ. ვანო გოლქვაძე

ამხანაგებო, ამხ. თუმანოვს პირადათ მეც ძალიან პატივს ვცემდი, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი წარსული ანტიპარტიული გამოსვლები უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მე უკლონისტებთან მიმიზიდა ამხ. თუმანოვის პირად სიმპატიებმა. მაგრამ ერთია პირადი სიმპატია და სულ სხვაა პარტიის ინტერესები. თქვენ ხედავთ, რომ კონფერენციაზე ოპოზიცია არ არის წარმოდგენილი. პარტიული მასა მას არ ენდობა. პარტიის ყოფილი წევრი ბესო კალანდაძე, რომელიც გაიზარდა მელითონეთა შორის, დიდი პატივისცემით და ავტორიტეტით სარგებლობდა ამ ამხანაგებში, სანამ ის მედგარი ლენინელი იყო. მაგრამ იგივე ბესო კალანდაძე ერთხმად გააძევეს მისივე ამხანაგებმა, როცა კალანდაძე პარტიის წინააღმდეგ წავიდა. აიღეთ მეორე შემთხვევა, პარტიის ყოფილი წევრი ლადო დუმბაძე, როცა ის პარტიასთან იყო და გამოდიოდა ტრიბუნაზე ნამდვილი ბოლშევიკური სიტყვით, ოვაციებს დასასრული არ ქონდა, მაგრამ, წავიდა თუ არა ლადო დუმბაძე პარტიის წინააღმდეგ, მან დაჰკარგა ნდობა, როგორც ბოლშევიკმა და თვითვე დააყენა თავისი თავი პარტიის გარეთ.

სად არის ოპოზიცია ძლიერი? ოპოზიციის სიძლიერე უმთავრესად ემჩნევა მივარდნილ გლეხურ კუთხეებში. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რამდენად პროლეტარული და ბოლშევიკური მათი ხაზი.

აქ თედორე კალანდაძე ჭეშმარიტი ლენინელის სახით ამტკიცებდა, რომ პარტიის გათიშვას იწვევს არა უმცირესობა, არამედ უმრავლესობაო. მას სჩანს დაავიწყდა უბრალო ცნობები ბოლშევიკური პარტიის ისტორიიდან. ნუ თუ მას არ ახსოვს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია გახთიშა მენშევიკურმა პარტიამ, რომელიც არ დაემორჩილა უმრავლესობის დადგენილებას ლონდონის ყრილობაზე, ჩამოვიდა რუსეთში და მოაწყო საკუთარი ორგანიზაციები?

ამხ. თუმანოვი ვარჯიშობდა აქ პარტიული სტატისტიკის დარგში. ის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ პარტიაში მუშური შემადგენლობა ეცემა. არ ვიცით რამდენად სწორი იყო ამხ. ს. თუმანოვის სტატისტიკა, ოღონდ ერთი კი აშკარაა: საკავშირო კომპარტიის ცკ-ას ერთერთი უკანასკნელი დადგენილების თანახმად პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ, რომ დაზგის მუშების რიცხვი პარტიაში 50 პროცენტამდე აიყვანონ. თუ ეს განხორციელდა, ცხადია, რომ ჩვენ პარტიაში გვეყოლება საერთოდ მუშების 75 პროცენტი, არ მგონია, რომ ეს არ იცოდეს თუმანოვმა, მან ეს ყოველივე კარგად იცის, მაგრამ ამის შესახებ სდუმს.

აღსანიშნავია ამხანაგებო, კიდევ ერთი საყურადღებო წვრილმანი, ამხ. თედორე კალანდაძემ ჩვეულებრივ დროს ვერ ნახავთ თბილისში. (ხმები: „ის მუდამ აბასთუმანშია“) ის ჩამოდის თბილისში მხოლოდ მაშინ, როდესაც ეწყობა პარტიული კონფერენცია და ყრილობა, რათა მოახდინოს მორიგი ანტიპარტიული დემონსტრაცია.

პარტია მოიკრებს იმდენ ძალას, რომ დეზორგანიზატორებს შესაფერისი ადგილი მიუჩინოს და აღკვეთოს დამშლელი მუშაობა (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. ვანო ჩიხლაძე

30 წელიწადია, რაც ვკითხულობ ჟურნალ-გაზეთებს. ძველად ლენინგრადში იყო სხვათაშორის ორი რუსული გაზეთი: „ნოვოე ვრემია“ და „რუს“. ერთი იყო შავრაზმული, რეაქციონური გაზეთი და მეორე, თუ არ ვცდები, მემარცხენე კადეტების ორგანო. ერთს რედაქტორობდა მამა და მეორეს შვილი. ორივე ერთმანეთს სჭამდენ თავიანთ გაზეთის ფურცლებზე. ჩვენ ხშირად ვკითხულობდით იმის მოწმე, რომ ერთი და იმავე ოჯახის წევრები ან ერთი გვარის პირები ყოფილან სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულების. ვერ გამიგია, რას წარმოადგენს ჩვენი აქვს დაჯგუფებას გვარების მიხედვითაც. კალანდაძეები, ოკუჯავეები და ცინცაძეები თავიანთ დიდი უმრავლესობით ოპოზიციაში არიან მოკალათებული. (სიცილი). ყველა ისინი ასი პროცენტით ლენინელები გახდენ. ნუთუ ლენინელობაც სახლისკაცობაზეა დამოკიდებული? (სიცილი). ჩვენ ამ ფაქტიდანაც აშკარად ვრწმუნდებით, რომ ოპოზიციის „ლენინური კრიტიკა“ უბრალო კინკლაობაა და სხვა არაფერი.

ოპოზიციას უნდა დაღუპვის გზით წაეყვანოს პარტია, მაგრამ ამის ნებას მას არავინ მისცემს. ცნობილ ოპოზიციონერ ვირაპმა თავადობა მოგვცადნა. ავტომობილით დასეირნობდა და ამ სეირნობის დროს ორი კაცი მიაქელიტა. როცა ამაზე მას პარტიამ პასუხი აგებინა, ის გადიდგულდა და მოულოდნელათ ასპროცენტიანი ლენინელი გახდა.

ჩვენ, მუშები, არავის მივცემთ პარტიის დარღვევის უფლებას. პარტიას სალაყბოთ არ სცალია. მას საქმე აქვს. თუ თქვენ პარტიასთან არ ეთანხმებით, გზა მშვიდობისა- კალთაში არავინ გეკიდებათ.

ოპოზიციას ჰყავს ისეთი ოქროპირები, როგორიცაა ტროცკი. მას ისეთი ტკბილი ლაპარაკი ეხერხება, რომ გველს ამოიყვანს ხვრელიდან. მაგრამ ჩვენ ლამაზი სიტყვები ვერ მოგვატყუებს. ჩვენ უკვე გავიარეთ ცხოვრების სკოლა და, ნურას უკაცრავად, თუ ოპოზიციას გასავალი არ ექნება მუშების შორის. ოპოზიცია უმზადებს პარტიას მეორე პარტიის შექმნის საფრთხეს. მან უკვე შექმნა ფაქტიურათ მეორე პარტია. (ამხ. კალანდაძე ადგილიდან: „არა პარტია, არამედ ოპოზიცია“), განა სულ ერთი არაა? თუ არსებითად ოპოზიციის მუშაობა მიმართული იქნება პარტიის წინააღმდეგ, რა მნიშვნელობა აქვს იმას, რას დაარქმევთ ჩვენ დღევანდელ ფრაქციულ მუშაობას, ცალკე პარტიას თუ ოპოზიციას? ნუ თუ იქედან მაინც ვერ რწმუნდება ოპოზიცია, თუ რამდენად შეცდარია მისი გზა, რომ ოპოზიციის საქმიანობას ერთსულოვნად ტაშს უკრავს ჩვენი მოსისხლე მტრები. დროა ბოლო მოეღოს ანტიპარტიულ გამოსვლას (ტაში).

ამხ. ვ. დონაძე

ამხ. ვ. დონაძე გამოდის დემაგოგიური სიტყვით პარტიის წინააღმდეგ. კრება იმდენათ აღაშფოთა ამხ. დონაძის გამოსვლამ, რომ მას დასაწყისშივე, კენჭის ყრით, ერთხმად წაერთვა სიტყვა.

ამხ. ლევანდოვსკი

ამხ. ლევანდოვსკის ტრიბუნაზე გამოჩენას კონფერენცია ხანგრძლივი და მქუხარე ოვაციებით ეგებება.

ამხანაგებო, დაიწყო მომხსენებელმა. მე ეს არის ჩამოვედი მოსკოვიდან და ლენინგრადიდან. საშუალება მქონდა დავსწრებოდი ცაკის სესიის მუშაობას და მონაწილეობა მიმეღო ამავე სესიის ფრაქციის სხდომებზე. აღსანიშნავია, რომ ოპოზიციამ ცაკის ფრაქციის სხდომაზე გაილაშქრა მანიფესტის წინააღმდეგ. რით აიხსნება ოპოზიციის ამ გალაშქრება? ამ მხრივ საინტერესოა ამხ. ზინოვიევის გამოსვლა. ის აღნიშნავდა, რომ მანიფესტი არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან ის საკმაოდ ვერ აშუქებს სერიოზულ საერთაშორისო საკითხებს. იქ არაფერია ნათქვამი კომინტერნის ამოცანებზე, ინგლის-რუსეთის კომიტეტის და ჩინეთის რევოლუციის საკითხზე. (სიცილი). აი, ამხანაგებო, ასეთივე სიცილით უპასუხა ცაკის ფრაქციამ ზინოვიევის დასაბუთებას. შემდეგ ამხ. ზინოვიევმა გაილაშქრა მანიფესტის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ის მიულოდნელია მშრომელებისთვისაო. ამხ. ზინოვიევმა ცაკის ამ უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობის დოკუმენტს დემაგოგიური მანიფესტი უწოდა, ფრაქციის წევრები ასეთმა თავხედურმა გამოსვლამ იმდენად ააშფოთა, რომ მას წაართვეს სიტყვა.

შემდეგ ილაპარაკა ამხ. ტროცკიმ, რომელმაც მანიფესტი შეადარა საალდგომო წითელ კვერცხს, რომელსაც პარტია უძღვნის საჩუქრად მშრომელს ოქტომბრის ათი წლის თავისათვის. კრება აღშფოთებული იყო ამნაირი გამოთქმით, მთელ ფრაქციიდან მანიფესტის წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ შვიდმა კაცმა და მათ შორის: ზინოვიევმა, ტროცკიმ და ევდოკიმოვმა.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რა დიდი ისტორიული და რევოლუციონური მნიშვნელობა აქვს მანიფესტის მარტო ერთ პუნქტს, შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ. ლენინგრადის მუშები იმდენათ აღტაცებული იყვნენ ამ მანიფესტით, რომ მათ გრანდიოზული დემონსტრაციები გაუმართეს ცაკს მუშებისა და გლეხებისათვის ასეთი დიდმნიშვნელოვანი დადგენილების მიღებისათვის.

შემდეგ ამხ. ლევანდოვსკი გადადის ოპოზიციის მტკიცებაზე იმის შესახებ, თითქოს ხელფასის ზრდა უკან რჩება შრომის ნაყოფიერების ზრდას. ორატორი ციფრებით ამტკიცებს, რომ არაფერი ამის გვარის ადგილი არა აქვს, რომ ხელფასის ზრდა და შრომის ნაყოფიერება თანაბარი ხაზით მიდის წინ.

საინტერესოა, განაგრძობს ამხ. ლევანდოვსკი, ციტატები პარტიისათვის წარსულში და, ოპოზიციისათვის ამჟამად ავტორიტეტულ ზოგიერთ პირების ნაწერებიდან. აი როგორ ახასიათებს ერთი ასეთი ციტატა ამხ. ტროცკის. ტროცკიზმი—ამბობს ეს ციტატა, არასოდეს არ ყოფილა კლასიური პოლიტიკა. ის მუდამ იყო ინტრიგისა და ფრაქციულობის გამო[illegible]ტულებაა, როგორ ფიქრობთ, ამხანაგებო, ვინ [illegible]ძლევა ამგვარ მამხილებელ დახასიათებას ტროცკის შესახებ? ეს არის ამხ. ზინოვიევი.

შემდეგ ჩვენ ვკითხულობთ ტროცკიზმის შეხედულებების განმარტებას ნაციონალური რევოლუციის შესახებ. ტროცკისთვის, ამბობს ციტატა, ნაციონალური რევოლუცია გინებაა. ასეთ რამ ტროცკის გონებრივ ჩამორჩენილობათ მიაჩნია. ტროცკიზმი თავიდანვე იყო ინტელიგენტური რევოლუციონერების მქადაგებლობა. ეს ციტატაც, ამხანაგებო, ამოღებულია ზინოვიევის წიგნიდან „ლენინიზმი“.

შემდეგ კიდევ ერთი დახასიათება, რომელიც შეეხება თვითონ ლენინს. აქ ჩვენ ვკითხულობთ, რომ ლენინი არის პროფესიონალი ინტრიგანი, რომ ლენინიზმი აშენებულია სიცრუეზე და ფალსიფიკაციაზე. ჩვენი პარტიის დამაარსებლის და უდიდესი ბელადის ამგვარი დახასიათება ეკუთვნის, როგორ გგონიათ ვის?.. ტროცკის. (სირცხვილი) ეს დახასიათება ამოღებულია ტროცკის წერილიდან კარლო ჩხეიძისადმი, რომელიც მან გაუგზავნა მას 1919 წელს.

გარდა ამისა ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ ციტატას, სადაც ლაპარაკია, რომ ტროცკიზმი არის მენშევიზმის სხვადასხვა სახეობა. ეს ციტატა კი, ამხანაგებო, ეკუთვნის ოპოზიციის თვალსაჩინო ლიდერს ამხ. კამენევს. (ამხ. თ. კალანდაძე ადგილიდან, „კმარა, ბუხარინის ციტატებიც მოიყვანეთ“). ამხ. კალანდაძე, მიუხედავად თქვენი ბილეთი თავისა, შემიძლია გითხრათ, რომ თქვენ დღემდისაც ვერაფერი ვერ ისწავლეთ.

კალანდაძე ადგილიდან: „ჩვენ ვცდებოდით, როცა ტროცკის ვესხმოდით თავს“.) აი, ამხანაგებო, დღეს ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და სხვანი შეთანხმებულნი არიან და ერთად უტევენ პარტიას. ჩვენი ვალია სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიოთ მათ და არ მივსცეთ გასავალი ჩვენს რიგებში ოპოზიციის გამთიშველ იდეებს.

ეხლა, ამხანაგებო, რამდენიმე სიტყვა წითელი არმიის შესახებ. მე აქ უნდა განვაცხადო, რომ, თუ შინაპარტიული ბრძოლა დამღუპველია პარტიისათვის, რომელიც სათავეში უდგას სახელმწიფოს, თუ ეს რყევა სახიფათოა ლენინური გვარდიის რიგების მთლიანობისათვის, ის მით უფრო მიუღებელი და საშიშარია წითელი არმიისათვის, რომელიც თოფით ხელში სდგას რევოლუციის სადარაჯოზე. თოფი ხელში და ქანაობა, ყოვლად დაუშვებელი და დამღუპველი რამ არის. ეს ამხანაგებო, ხუმრობა არ არის.

ადგილობრივი ოპოზიცია ცდილობს ა.-კ. წითელ დროშოსან არმიის რიგებშიც გადმოიტანოს თავისი გამხრწნელი მუშაობა. მაგრამ იცოდეთ, რომ წითელი არმია ოპოზიციას ღირსეულ პასუხს გასცემს (ხანგრძლივი ტაში). არმია წავა ლენინური და არა მოდადატური ტროცკისტული გზით. (ტაში)

ოპოზიცია დემაგოგიურად ცილს სწამებს ჩვენს არმიას. ის ამტკიცებს, რომ არმიის შემადგენლობა არა მუშურია. რომ მეთაურები კულაკური ელემენტებისაგან შედგება და სხვა. ოპოზიცია წინასწარმეტყველებს, რომ ჩვენს ჯარში იქნება ნიადაგი ბონაპარტისტული ავანტიურის მოსაწყობად. მიდით, ამხ. კალანდაძე და უთხარით არმიას ეს სიტყვები. თქვენ იქ გემთხვ მოგზვევავენ.

როგორია საქმის ნამდვილი ვითარება? სულ არმიაში მუშური შემადგენლობა უდრის 15 პროცენტს. აქედან მეთაურებში მუშები არიან 30 პროცენტი. ამრიგად მეთაურთა შემადგენლობაში მუშური ელემენტი უფრო მეტია, ვიდრე საერთოდ მთელ არმიაში. როგორია წითელი არმიის მეთაურთა პარტიული სახე? ამხ. ტროცკის დროს, როდესაც ის იდგა სათავეში სამხედრო საქმეს, კომუნისტების რიცხვი მეთაურებში უდრიდა ათ პროცენტს. ეხლა კი პარტიის წევრ წითელ მეთაურების რიცხვი უდრის 42 პროცენტზე მეტს, ხოლო პარტიის კანდიდატების 7 პროცენტს, ე. ი. წითელ მეთაურთა შემადგენლობა 50 პროც. კომუნისტურია.

წითელი არმია არ წამოეგება ოპოზიციის ანკესზე გამობრძმედილია სამოქალაქო ომის კლასიური ქარცეცხლში და არავითარ შემთხვევაში ოპოზიციის დემაგოგებს არ აჰყვება. ის ისევე მტკიცედ იდგომება რევოლიუციის სადარაჯოზე, როგორც მტკიცე და მედგრად იდგა დღემდე. (ხანგრძლივი და მქუხარე ტაში).

მისალმებანი

საქ. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტს

შორაპნის მაზრის მეშვიდე პარტკონფერენცია მხურვალეთ გესალმებათ საკავშირო კომპარტიის ამ.-კავკასიის კომორგანიზაციების ხელმძღვანელთ.

თქვენი ხელმძღვანელობით აღმოიფხვრა ა.-კ. ერთა შორის ნაციონალური შუღლი, დღეს მოძმე რესპუბლიკები მთლიანი ძალით აწარმოებენ გააფთრებულ მუშაობას სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში.

შორაპნის მაზრის ორგანიზაცია ყოველთვის მზად იქნება ურყევათ გაატაროს თქვენი ხელმძღვანელობა და მოითხოვს ოპოზიციის გამხრწნელი მუშაობის წინააღმდეგ აღმკვეთი ზომების მიღებას.

გაუმარჯოს პარტიის ლენინურ მთლიანობას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს!

კონფერენციის პრეზიდიუმი.

—:—

საქართველოს კომპარტიის ცკ-ას

ს. კ. პ. (ბ) შორაპნის მაზ. მე-7 პარტკონფერენცია მხურვალეთ ესალმება საქართველოს კომპარტიის ცკ-ას. თქვენი სწორი ხელმძღვანელობით საქართველო მტკიცდება როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურათ. და წარმატებით მიმდინარეობს სოციალისტური მშენებლობა.

კონფერენცია მწუხარებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ პარტიას მუშაობაში ხელს უშლის საკავშირო კომპარტიაში აღმოცენებული ოპოზიციონური ბლოკი და კერძოთ საქართველოს ოპოზიცია თავისი ნაციონალისტურ-შოვინისტური გადახრებით.

ჩვენ ორგანიზაციაში და კერძოთ შიათურაში სცადეს „ცენტრალისტებმა“ თავიანთი დემაგოგიური გამოსვლებით ოპოზიციონერ ჯგუფების შექმნა. და პარტიის ხელმძღვანელობის სახელის გატეხა უპარტიო მუშების თვალში, მაგრამ ორგანიზაცია არ გაჰყვა მათ გამთიშველ პოლიტიკას.

ჩვენი კონფერენცია ერთსულოვანია და მთლიანია შორაპნის ორგანიზაცია მტკიცედ სდგას ლენინურ ცკ-ასთან და ის არასოდეს არ გადაუხვევს მის სწორ ხელმძღვანელობას.

ძირს ოპოზიციის გამთიშველი მუშაობა!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის მთლიანობას და მის კოლექტიურ ბელადს ლენინურ ცკ-ას!

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიის ცკ-ას.

—:—

ამხ. სერგო ორჯონიკიძეს

ს. კ. პ. (ბ) შორაპნის მაზრის მე-7-ე კონფერენცია მხურვალეთ გესალმებათ თქვენ, რევოლუციის ქარ-ცეცხლში გაწრთობილ, გამობრძმედილ ბოლშევიკს და სახელოვან ლენინელს.

თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით გამტკიცდა და გაძლიერდა ამიერ-კავკასიის კომორგანიზაციები. აღმოიფხვრა ერთა შორის ეროვნული შუღლი, და წარმატებით მიმდინარეობს სოციალიზმის მშენებლობა.

კონფერენცია აღგითქვამს თქვენ, რომ როგორც ყოველთვის მით უმეტეს დღეს საერთაშორისო და შინაპარტიულ მდგომარეობის გართულების პირობებში, მუდამ მზად ვიქნებით ურყევათ გავატაროთ ლენინური ცკ-ას ხაზი.

პრეზიდიუმი.

ქუთაისის მეათე პარტკონფერენცია

ქუთაისი, 26 ოქტომბერი. აკადემიურ თეატრში გაიხსნა ქუთაისის მე-10 პარტკონფერენცია. კონფერენცია გახსნა საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ურუშაძემ.

საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს ამხ. სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, ორჯონიკიძე, კალინინი, ვოროშილოვი, კუიბიშევი, მიქოიანი, ტომსკი, რუდზუტაკი, კლარა ცეტკინი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ორახელაშვილი, კახიანი, ქართველიშვილი და ელიავა.

მისალმება ამხ. სტალინს

კონფერენციამ ამხ. სტალინს გაუგზავნა შემდეგი მისალმებელი დეპეშა: „ქუთაისის მე-10 პარტკონფერენცია თქვენი სახით მხურვალე სალამს უგზავნის ლენინურ ცკ-ას. ტროცკისტულმა ოპოზიციამ, რომელიც გააფთრებულ შეტევაზე გადმოვიდა პარტიის წინააღმდეგ, მიმართა ყოვლად დაუშვებელ ანტიპარტიულ საშუალებებს და დაადგა ფრაქციულ გამთიშველ გზას, მან განიცადა სასტიკი დამარცხება. ჩვენ ქუთაისის მეათე პარტკონფერენცია ვიძლევით აღთქმას, რომ მომავალშიაც მტკიცედ ვიდგებით ლენინიზმის დასაცავად. ჩვენ გვწამს პროლეტარიატისა და ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შემოქმედებითი ძალა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ჩვენი მთლიანი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით და არავის არ დაუთმობთ არც ერთ სახის დაშლას და საკავშირო კომპარტიის მთლიანობის შერყევას. ლენინიზმის გამარჯვების სრული რწმენით მივდივართ ჩვენ მე-15 ყრილობაზე“.

ასეთივე დეპეშები გაუგზავნა კონფერენციამ ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს და საქართველოს კ. პ. ცკ-ას.

კონფერენციას მიესალმენ ამხ. ლევან ღოღობერიძე და რაიონების, ფაბრიკების და ქარხნების დელეგატები.. დამტკიცებულია დღის წესრიგი: ცკ-ას მოხსენება, საოლქო პარტკომისია და სარევიზიო კომისიის ანგარიში, პარტიის ამოცანები სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად და არჩევნები. (ადს).

ოპოზიციის წინააღმდეგ

გორი, 26 ოქტომბერი. არალეგალური ფრაქციული მუშაობისათვის პარტიიდან გამორიცხულმა ვანო ძაძამიამ საქ. კ. პ. (ბ) გორის სამაზრო კომიტეტს მიმართა განცხადებით, რომელშიაც აღიარებს თავის შეცდომებს, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მან მონაწილეობა მიიღო ორ არალეგალურ კრებაში და შემდგომ ფრაქციულ მუშაობაში. „მე არავითარი საფუძველი არა მაქვს ვიბრძოლო ოპოზიციის რიგებში პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ.—სწერს ვანო ძაძამია. მე ვსთხოვ პარტიას მაპატიოს და დამტოვოს თავის ოჯახში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

ბრძოლა საჰაერო მტერთან

ბრძოლის დროს მოწამლულ გაზებს შეუძლიანთ შეიჭრან მოწინააღმდეგის ზურგში მხოლოდ საჰაერო ფლოტის საშუალებით. ამისათვის გამოყენებულ არიან თვითმფრინავები, რომლებიც ატარებენ ბომბის მტყორცნავის ხელს და რომლებსაც შეუძლიათ ზიდონ ბომბები წონით 300 ფუთამდე. ავიაციის ამ სახეს შეუძლიან შეიჭრას ზურგში 400 კილომეტრის მანძილზე.

განვიხილოთ, თუ რა საშუალებები არსებობენ საბრძოლველად მოწინააღმდეგის საჰაერო ძალებთან.

გამანადგურებელი ავიაცია

იმ საშუალებათა შორის, რომლებიც გამოყენებულ არიან და იქნებიან კიდეც მომავალ ომში საჰაერო მტერთან საბრძოლველად, პირველი ადგილი უჭირავს გამანადგურებელ ავიაციას. მტრის თავდასხმის წარმატებით მოსაგერიებლად იმ ადგილის ახლო, რომელსაც მოელის საფრთხე ავიაციისაგან, თავმოყრილ უნდა იქნენ გამანადგურებლები, საჰაერო ბრძოლაზე დამოკიდებულ ბომბისმტყორცნავთა მოქმედება, ბომბისმტყორცნავნი, თუ მათ არ შეხვდებათ ძლიერი მოწინააღმდეგე წარმატებით შეასრულებენ თავის ამოცანას, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნებიან დასტოვონ ბრძოლის ველი და დაიხიონ უკან. ცხადია, რომ გამანადგურებელი ავიაციის თავის მოყრა მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ადმინისტრატიულ და სამრეწველო ცენტრების ახლო, სწყვეტს ამა თუ იმ პუნქტის თავდაცვის საკითხს.

სასროლი საშუალებები

სასროლი საშუალებები (თოფი, ტყვიამფრქვევი, არტილერია) გამოიყენებიან როგორც ადგილობრივი იარაღი. მათი გამოყენება წარ-

საზენიტო ზარბაზანი

მატებით შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოწინააღმდეგის ავიაცია ახლოა და შეიძლება მისი მიზანში ამოღება.

შექმნა მთლიანი ხაზის ტყვიამფრქვევებიდან და არტილერიიდან იმ მიზნით, რომ ჩვენ ტერიტორიაზე მათი ცეცხლის საშუალებით არ იქნეს დაშვებული მტრის არც ერთი თვითმფრინავი შეუძლებელია და წარმოუდგენელი. სროლა საჰაერო თავდაცვის დროს წარმატებით გამოიყენება რომელიმე განსაზღვრულ რაიონის უზრუნველსაყოფად თავდასხმისაგან.

პროჟექტორები

პროჟექტორები გამოიყენებიან ღამით მტრის თვითმფრინავების გასაშუქებლად, ეს აძლევს საშუალებას არტილერიას და ტყვიამფრქვევებს სწორად აწარმოონ სროლა მათ წინააღმდეგ. პროჟექტორები დადგმულია თოხველაზე ან ავტომობილზე, რომ დროზე იქნენ გამოყენებულნი საჭირო ადგილას. ახალი ტიპის ლამპის და ნახშირის შემოღებით, თანამედროვე პრო-



პროჟექტორი

ჟექტორები აშუქებენ დიდ მანძილზე მაგ. 200 სანტიმეტრიანი პროჟექტორი აშუქებს კარგათ საგანს, დაშორებულს 11 ნახ. კილომეტრით.

აკუსტიური ხელსაწყოები

აკუსტიური ხელსაწყ. გამოიყენება თვითმფრ. მოახლოების შესატყობათ იმ ხმაურით, რომელსაც იძლევა პროპელერი, მოტორი და ფრთები. აკუსტიური ხელსაწყოები მრავალგვარია, რუპორის საშუალებით თვალმადევნი არკვევს თვითმფრინავის მიმართულებასაც, რაც შემდეგ გამოიყენება თვითმფრინავის მიზანში ამოსაღებად არტილერიისა და ტყვიამფრქვევების მიერ.

საჰაერო დაბრკოლებები

იმპერიალისტური ომის დროს თვითმფრინავებთან საბრძოლველად გამოყენებულ იქნენ საჰაერო დაბრკოლებები. ჰაერში განსაზღვრულ



„საჰაერო მესერი" თვითმფრინავების წინააღმდეგ

სიმაღლეზე დადგმულ იქნენ საჰაერო ნაღმები და მავთულის ბადე. ესენი აზიდულ იქნენ ჰაერში ჰაერონტატების მიერ. ამის გარდა შემოღებულ იყო მავთულ-ხლართის სროლა ერთი თვითმფრინავიდან მეორეზე. თვითმფრინავი, დაეხლართებოდა რა მავთულ-ხლართს, ზიანდებოდა და ჰკარგავდა მოქმედების უნარს.

გ. თუხარელი.

სოფლის გასამხედროებისათვის

დიდიდან ქართული წითელი ჯარის გადასვლისას ტერიტორიალურ სისტემაზე, ჩაეყარა საძირკველი სოფლის გასამხედროების საქმეს. ტერიტორიული ნაწილების ერთეულები, რომლებიც გაფანტულნი არიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ახლო დგანან გლეხობასთან და შეაქვთ მასში სამხედრო ცოდნა.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება თავის მხრივ იღებს ზომებს გლეხობის ჩასაბმელად სამხედრო საქმიანობაში.

ქართული ჯარის საკადრო ნაწილებიდან გაშვებული წითელარმიელნი, ბრუნდებიან რა სოფლად, ეხმარებიან გლეხობას გასამხედროების დარგში.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით სოფლის გასამხედროების საქმე ვერ არის მოგვარებული სათანადოთ. ამას ხელს უშლის შემდეგი: ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება სახელმძღვანელო მასალა სოფლად სამხედრო მუშაობის საწარმოებლად, არ არის პოპულიარული ლიტერატურა გლეხობისათვის, არ არის შემუშავებული დებულება და მეთოდიური მითითებები სოფლის სამხედრო კუთხეებისათვის, არა გვაქვს პროგრამები სოფლის სამხედრო წრეებისათვის.

სოფლად არსებული სამხედრო კუთხეები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს, რადგან კუთხეში არ მოიპოვება ისეთი მასალა, რომელიც საჭიროა სამხედრო ცოდნის შესაძენად.

საქართველოს პოლიტგანათლების მთავარ სამმართველომ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი სოფლის გასამხედროების საქმის მოსაგვარებლად. ამ დღეებში მთავარსამმართველოსთან შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ არმიის ქართ. დივიზიის და პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირის მიზანი იყო გამოეძებნა საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ სოფლის გასამხედროების საქმეს.

თათბირმა მიიღო მრავალი მნიშვნელოვანი დადგენილება. თათბირმა საჭიროდ სცნო მოკლე ხანში სოფლის სამხედრო კუთხეებისათვის სახელმძღვანელო მასალების გამოცემა. დამუშავებულ და გამოცემულ იქნება მეთოდიური ლიტერატურა კუთხის წრეებისათვის.

თათბირმა დაადგინა მიღებულ იქნეს სასწრაფო ზომები, რათა შექმნილ იქნეს მოკლე ხანში სამხედრო კუთხეებისათვის საჭირო სამხედრო მასალა და იარაღი.

ყველა ეს ზომები სასწრაფოთ იქნება გატარებული ცხოვრებაში, რაც, უეჭველია, წინ წასწევს სოფლის მოსახლეობის გასამხედროების საქმეს.

—ი.

სამხედრო სპორტიული შეჯიბრი

ქ. მოსკოვში ამ უკანასკნელ ხანებში ჩატარებულ იქნა სამხედრო სპორტიული შეჯიბრი მუშურ-გლეხურ წითელი არმიის პირველობაზე. შეჯიბრში იღებდა მონაწილეობას 10 სამხედრო ოლქი, სახ. გაერთ. პოლიტ. სამმართველოს გუნდი და საბადრაგო რაზმი. მონაწილეთა რიცხვი საერთოდ უდრიდა 1.200 კაცს.

შეჯიბრზე მონაწილეობის მისაღებათ გაგზავნილ იქნა კავკ. წით. დროშ. არმიის გუნდები, რომლებშიაც შედიოდენ 1-ლ ქართულ მსრ. ლეგიონის კალათ-ბურთელნი და ამავე ლეგიონის მძიმე ტყვიამფრქვევი ათეული.

შეჯიბრის საორგანიზაციო კომიტეტის და საარბიტრაჟო კომისიის საგანგებო შემადგენლობით ერთმაგათ დაჯილდოებულ იქნა საჩუქრებით და დიპლომით კავკ. წითელ დროშ. არმიის მსროლელთა ოცეული საუკეთესო საბრძოლო მომზადებისა და ტყვიამფრქვევიდან საუკეთესო სროლისათვის. საგანგებოთ გამოყოფილ და დაჯილდოებულ არიან ოცეულის მეთაური ამხ. მაჭარაძე და მეტყვიამფრქვევე—მომიწნე ამხ. ჟანიძე.

1-ლ ქართულ მსრ. ლეგიონის კალათ-ბურთელთა გუნდმა ამხ. შიოშვილის მეთაურობით მოიპოვა შეჯიბრზე მუშურ-გლეხურ არმიის აბსოლიუტური პირველობა, რისთვისაც გუნდელები დაჯილდოებულ იქნენ პირადი საჩუქრებით და დიპლომებით. ბრძანებით კავკასიის არმიისადმი 1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის მეთაურს ამხ. ადამიძეს, ოც. მეთაურს ამხ. მაჭარაძეს და ამხ. შიოშვილს სამხ. რევ. საბჭოს სახელით გამოეცხადათ მადლობა.

სამხედრო ქრონიკა

ინდუსტრიალიზაციის სესხი

ამჟამად მუშავდება საკითხი წითელი არმიის პირადი შემადგენლობის მონაწილეობის შესახებ სესხში შეღავათიან პირობებზე. განზრახულია, სამხედრო მსახურთ გაუგრძელდეთ ობლიგაციების ღირებულების გადასახდელი ვადა 10 თვით, დაწყებული 1927 წლის ნოემბრიდან.

წითელი არმიის სახლი

მთავრდება წითელი არმიის სახლის აშენება მოსკოვში. სახლის აშენებაზე მუშაობს 1000 კაცი. სახლი მზად იქნება ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავისათვის.

კენჭის ამოღება

1905 წ. დაბადებულთა მიერ კენჭის ამოღება დაიწყოო 25 ოქტომბერს სათანადო სამხ. კომისარიატებში.

წითელი ჯარის ყოფა-ცხოვრება

ახალი ძალები სოფელს

(№ ქართ. საარტ. ლეგიონი)

ლეგიონში გრძელვადიან შვებულებაში მიმავალთათვის დაარსებულია ორი სემინარია. ერთი მათგანი ამზადებს ქოხ-სამკითხველოს გამგეებს, მეორე კი კოოპერაციის მუშაკებს სოფლისათვის.

წითელარმიელები გულმოდგინეთ უსმენენ ლექტორებს და მეცადინეობის შემდეგ აუარებელ შეკითხვებს აძლევენ მათ. წითელარმიელნი უმთავრესად დაინტერესებულნი არიან კოოპერაციით. კერძო საუბარში ლაპარაკობენ სოფლის კოოპერატივის მდგომარეობაზე, აღნიშნავენ, რომ სასტიკი ბრძოლა არის საჭირო იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც უშლიან ხელს კოოპერაციის აღორძინება-განვითარებას. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ შვებულ წითელარმიელთა სახით ჩვენი ლეგიონი უბრუნებს სოფელს კარგად მომზადებულ კულტურულ ძალებს, რომლებიც შეიტანენ თავის წვლილს სოფლის გათვითცნობიერების საქმეში.

კვახაძე.

(ქართული ცხენ. ლეგიონი)

15 სექტემბრიდან დაიწყო ლეგიონში გაცხოველებული მუშაობა შვებულ წითელ-არმიელთა მოსამზადებლათ სოფლად მუშაობისათვის. დაარსებულ იქნა ამ მიზნით ქოხ-სამკითხველოს გამგეთა, ტყის მცველთა, კოოპერაციის და სამხედრო კუთხეების გამგეთა მოსამზადებელი კურსები. მეცადინეობა კურსებზე მიმდინარეობდა სისტემატიურად, ყოველი წევრი გულმოდგინეთ ეკიდებოდა მეცადინეობას, რადგან გრძნობდა, რომ იგი უნდა დაბრუნებულიყო სახლში მძლავრი იარაღით. კურსები დაამთავრა 121 წითელ-არმიელმა. ამრიგად ლეგიონმა შესძინა სოფელს კულტურულ მუშაობისათვის საგრძნობი ძალა. 21 ოქტომბერს შესდგა შვებულთა გასაცილებელი საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ლეგიონის მთელი შემადგენლობა და მესამე რაიკომის წარმომადგენლები. თავის სიტყვებში შვებულებმა აღნიშნეს, რომ თუმცა ისინი სტოვებენ ყაზარმას, მაგრამ ყოველ წამს მზად იქნებიან იარაღით ხელში გამოვიდნენ საბჭოთა ქვეყნების დასაცავად.

სამხკორი მ.—იშ.

ჩვენი საქმიანობა

(№ ქართ. მსრ. ლეგიონი)

ჩვენი ლეგიონის საბადრაგო (Конвойный) ათასეულმა მოაწყო ტაქტიკური მეცადინეობა, რომელშიაც ღებულობდნენ მონაწილეობას გარნიზონიდან მოწვეულია ყველა სპეციალ. ნაწილები. მეცადინეობის მიზანი იყო ჯარის ყველა დარგის ურთ-ერთი მოქმედების გაცნობა ომიანობის დროს და მათი დანიშნულება ბრძოლის სხვადასხვა პირობებში.

მეცადინეობა სწარმოებდა ს. ტაბახმელას რაიონში. ათასეულის როგორც მეთაურთა, ისე წითელ არმიელთა შემადგენლობა დიდი ყურადღებით და ინტერესით ეკიდებოდა ტაქტიკურ მეცადინეობას. ცალკე ნაწილებიც იჩენდენ საჭირო უნარიანობას მიცემულ დავალების შესრულებაში. ალღუმი დამთავრდა ღამის 9 საათზე. ნაწილები დაბრუნდნენ ყაზარმაში კმაყოფილნი. ყველა მონაწილენი ნასიამოვნები იყვნენ მეცადინეობის კარგად ჩატარებით.

ა. ჩ.

ნაოსნობის გახსნა მდინარე რიონზე

ამ დღეებში მოსკოვიდან დაბრუნდა ა. კ. ნავთსადგურების სამმართველოს უფროსი ამხ. ტ. სპრინგველი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოეგვარებია ცენტრალურ დაწესებულებებში რიონზე ნაოსნობის დაწყების საქმე. ჩვენს თანამშრომელს ამხ. ტ. სპრინგველმა გადასცა შემდეგი:

— რიონზე ნაოსნობის დაწყების საქმე დადებითად გადასწყდა. ცენტრალურ ორგანოებთან შეთანხმებით დონი-ყუბანის სანაოსნო საზოგადოება 1-ლი ნოემბრიდანვე უნდა შეუდგეს სათანადო მუშაობას. ნოემბერში საზოგადოებამ უნდა შემოზიდოს რიონზე ნაოსნობის დასაწყებათ საჭირო ყველა მოწყობილობანი. პირველ ხანებში შემოიტანენ რკ. გზით 7 მცურავ გემს, ხოლო დანარჩენ დიდ გემებს შემოიტანენ ზღვით. ამავე ხნიდან დაიწყება რიონზე გემსადგომი ადგილებისა და სანაოსნო სააგენტოების მოწყობა. ფაქტიურად კი **ნაოსნობა უნდა გაიხსნას 1-ლი იანვრიდან.** მგზავრების გადასაყვან და ტვირთების გადასაზიდ ტარიფს გამოიმუშავებენ საქართველოს მთავრობის ორგანოები დონი-ყუბანის სანაოსნო საზოგადოების წარმომადგენელთან ერთად.

რიონზე ნაოსნობის დაწყება სულ ჯდება დაახლოვებით 500.000 მანეთი. ამ თანხიდან დონი-ყუბანის სანაოსნო საზოგადოებას შემოაქვს 200.000 მან. ღირებული გემები, 60.000 მანეთი შემოაქვთ საქართველოს დაინტერესებულ ორგანიზაციებს და 60.000 მან. კი—მდინარეებზე სანაოსნო საზოგადოებათა ცენტრალურ სამმართველოს. რიონზე ნაოსნობა იწარმოებს 4 სამგზავრო გემით, 2 საბუქსირო გემით და 4 მზიდავით.

სასკოლო სტატისტიკოსთა კონფერენცია

პირველი სხდომა

გუშინ, დღის პირველ საათზე ამიერ-კავკ. სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს შენობაში გაიხსნა სასკოლო სტატისტიკოსთა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო მოსკოვიდან ჩამოსული სასკოლო სტატისტიკის ხელმძღვანელი **ივ. ბოგდანოვი**. ამას გარდა კონფერენციაზე მონაწილეობას იღებენ ამიერ-კავკ. რესპუბლიკების სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოების და განათლების კომისარიატების სტატისტიკურ განყოფილებების წარმომადგენლები.

კონფერენციის მიზანია განიხილოს საკავშირო სასკოლო აღწერის პროგრამა და გამოიმუშაოს გეგმები ამიერ-კავკ. სასკოლო აღწერის ჩასატარებლად.

პირველ სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამიერ-კავკ. რესპუბლიკების სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოების და განათლების კომისარიატების სტატისტ. განყოფილებების წარმომადგენლების მოხსენებები სასკოლო აღწერის ჩასატარებლად წარმოებულ წინასწარი მზადების შესახებ. ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბოგდანოვის მოხსენება სასკოლო აღწერის მიზნების და ამოცანების შესახებ, რის შემდეგ დაიხურა კონფერენციის პირველი სხდომა.

კონფერენციის თავმჯდომარეობს ამიერ-კავკ. სტატისტიკურ ცენტრალური სამმართველოს გამგე ამხ. **გრიგორიანი**.

სამრეწველო საქონელი მუშებისათვის

იმ მიზნით, რომ ამიერ-კავკ. მუშებს გეგმაშეწონილად, შეუფერხებლად და საკმაო რაოდენობით მიეწოდოს სურსათი და სამრეწველო საქონელი და ამით შენარჩუნებულ იქნეს მაღალ დონეზე რეალური ხელფასი, ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა აუცილებლად სცნო მოეწყოს ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატთან ამავე კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. მელიკის თავმჯდომარეობით სპეციალური კომისია, რომლის დანიშნულებაც იქნება სამრეწველო საქონლის მიწოდება მუშებისათვის.

კომისიის მუშაობაში მუშათა ორგანიზაციების და დაინტერესებულ დაწესებულებების ჩაბმის მიზნით, კომისარიატმა დაადგინა კომისიის შემადგენლობაში ჩარიცხული იქნეს ორი წარმომადგენელი ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატიდან, ორი წარმომადგენელი ამიერ-კავკ. პროფსაბჭოდან და თითო წარმომადგენელი რკინიგზელთა საგზაო კომიტეტიდან, „ზაკსოიუზ"-იდან, „ზაკტამ"-იდან და ამიერ-კავკ. სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოებიდან.

ასეთივე კომისიები მოეწყობა რესპუბლიკების ცენტრებში—თბილისში, ბაქოში და ერევანში ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულების სამმართველოებთან. ამ კომისიების მუშაობაში ჩაბმული იქნებიან სამრეწველო წარმოებების მუშები, პროფესიონალური კავშირები და კოოპერატიული ორგანიზაციები.

ამას გარდა, მუშებისათვის სამრეწველო საქონლის მიმწოდებელი უჯრედები მოეწყობა ადგილებზედაც, სახელდობრ: საქართველოში—ბათომში, ფოთში, ქუთაისში, ტყიბულში, ჭიათურაში, სამტრედიაში, ხაშურში და სოხუმში.

აზერბეიჯანში—განჯაში, სალიანში, ევლახში, ნუხაში, ნახიჩევანში და სტეპანაკერტში; სომხეთში—ლენინაკანში, კარაკლისში, ალავერდში, კაპანში და იმ პუნქტებში, სადაც ეს საჭირო იქნება.

ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატის სამრეწველო საქონლის სამმართველოს დაევალა სასწრაფოდ შეიმუშაოს პრაქტიკული გეგმა მუშათა რაოდენობისათვის სურსათის და სამრეწველო საქონლის მიწოდების შესახებ სამომხმარებლო კოოპერაციის საშუალებით.

ზემოაღნიშნულ კომისიებს მოწყობის ვადათ დაწესებულია 1-ლი ნოემბერი.

ტრაქტორების საკავშირო გამოცდა

ამჟამად როსტოვიდან 60 ვერსის დაშორებით სოფ. პერსიანოვკაში მიმდინარეობს ტრაქტორების სრულიად საკავშირო გამოცდა.

გამოცდებზე დასასწრებლად საქართველოდან გაგზავნილი იყო მიწადმოქმედების კომისარიატის მანქანების გამომცდელ სადგურის უფროსი ამხ. **კიზირია**, რომელიც უკვე დაბრუნდა გამოცდებიდან. ტრაქტორების გამოცდების შედეგების შესახებ მან განაცხადა შემდეგი:

გამოცდებზე წარმოდგენილია საბჭოთა და საზღვარგარეთის 32 სხვადასხვა მარკის ტრაქტორები. გამოცდების უმთავრესი მიზანია იმის გამორკვევა, თუ რომელი ტრაქტორი გამოდგება საბჭოთა კავშირის ცალკე რაიონებისათვის. ტრაქტორებთან ერთად სწარმოებს მათზე მისაბმელ იარაღების (გუთნები, ცელები და სხვა) გამოცდა. მარტო გუთნები წარმოდგენილია 67 მარკის რაოდენობით.

ტრაქტორების გამოცდა სწარმოებს როგორც ლაბორატორიული წესით, ისე მინდვრად მუშაობის პირობებში. ლაბორატორიული გამოცდისთვის აშენებულია სპეციალური ლაბორატორია, სადაც სწარმოებს ტრაქტორების საერთო სიძლიერის, მაქსიმალური სიძლიერის და საწვავე მასალების ხარჯვის გამორკვევა.

ლაბორატორიული გამოცდის შემდეგ სწარმოებს ტრაქტორების გამოცდა მინდვრათ მუშაობის პირობებში.

გამოცდები დაიწყო აგვისტოს პირველ რიცხვებში და ჯერ არ დამთავრებულა. დარჩენილია კიდევ გამოსაცდელად 5—6 ტრაქტორი.

ჯერ-ჯერობით პირველ ადგილზე სდგას ამერიკული „ინტერნაციონალი".

წარმოდგენილი ტრაქტორების შორის უმეტესობას შეადგენენ სატრანსპორტო ტრაქტორები; მათ შორის აღსანიშნავია ამერიკული „ჰოლტი", „ოილ-პული" და სხვები.

ამიერ-კავკასიის პირობებისათვის ყველაზე საინტერესო არიან „ინტერნაციონალი", ახალი კონსტრუქციის „ფიატი" და ფრანგული „არა".

განსაკუთრებული ადგილი უკავია იტალიანურ „პავეზი"-ს, რომლის კონსტრუქცია ისეთია, რომ სიმძიმე მიაქვს ოთხივე ბორბალს.

საბჭოთა ნაწარმოებ ტრაქტორებიდან გამოცდებში ღებულობენ მონაწილეობას: „კრასნი პუტილოვეცი", — 930 და 944, „ბოლშევიკი", „კოლომენეცი", „კარლიკი" და „კომუნარი". გამოცდიდან ირკვევა, რომ მათი კონსტრუქცია თვალსაჩინოდ არის გაუმჯობესებული.

გუთნებში ყველაზე მეტი რაოდენობით წარმოდგენილია გერმანული მარკები.

საბჭოთა გუთნებიდან აღსანიშნავია „ატ—8" და „ატ—5", რომლებმაც საუკეთესო შედეგი გამოიღეს.

ხეხილის ნერგები

სახალხო მამულების ტრესტის მამულში „სკრა"-ში და „მერეთში" (გორის მაზრა) დამზადებული იქნა ვაშლის, მსხლის, ატმის, ქლიავის და სხ. ხეხილების 160.000 ძირი ნერგი. ნერგები შეღავათიან პირობებში დაურიგდება სასოფლო-სამეურნეო არტელებს და ღარიბ მეურნე გლეხებს.

ათი წლის წინად

როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

27 ოქტომბერი

მზადება აჯანყებისათვის მოსკოვში

მოსკოვში შესდგა რ. ს.-დ. მ. პ. (ბ-ბის) საოლქო ბიუროს ვიწრო შემადგენლობის სხდომა, რომელმაც დაადგინა შეეტყობინოს ც. კ. რეზოლუციას და შეუდგეს მზადებას შეიარაღებულ აჯანყებისათვის ძალაუფლების დასაპყრობათ.

მიღებულია დადგენილება შეიქმნას დიქტატორული უფლებებით აღჭურვილი პარტიული სამხედრო ცენტრი მოსკოვის საბჭოს სამხედრო ცენტრში შემავალ ბოლშევიკების სახელმძღვანელად და მიიღოს მუშაობის გასაერთიანებლად ოლქში, აჯანყების მომენტში. ტელეგრაფით გამოწვეულ იქნენ ოლქის ორგანიზაციების წარმომადგენლები, საოლქო ბიუროს ზოგიერთი წევრები კი გაიგზავნა ადგილებზე ინსტრუქტორების მისაღებად და სამხედრო-ტექნიკური ხასიათის ცნობების შესაკრებად.

ლატვიელ ბოლშევიკების კონფერენცია

ქ. ვალკაში გაიხსნა ლატვიის ს.-დ. ბოლშევიკების კონფერენცია. კონფერენციის გახსნამდე ლატვიის ბოლშევიკების ც.-კ. შეადგინა მეთაურობით არმიის ფარული სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტი.

ყრილობაზე, ამხ. ანტონოვ-ოვსეენკოს მოხსენების თანახმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც უნდობლობას უცხადებს კონტრ-რევოლუციონურ დროებითი მთავრობას. რეზოლუცია აღიარებს, რომ „ლატვიის პროლეტარიატი ძალაუფლებისათვის ბრძოლაში შეუძლია გამარჯვება მხოლოდ რუსეთის რევოლიუციონურ მუშებთან ერთად და მზად არის ყოველგვარი ღონისძიებებით შეუწყოს ხელი ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში".

ბოლშევიკების გამარჯვება მინსკში

მინსკში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადარჩევის დროს გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა.

„ოცს არ სჯერა.—დანი „პროკურორის" როლში

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ცაკის და გლეხთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე ფრონტის მთელმა რიგმა დელეგატებმა მოითხოვეს ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში და ზავის ჩამოგდება დაუყონებლივ. დელეგატებმა განაცხადეს, რომ არმია დაიღალა, არ სურს ბრძოლა და მოითხოვს ზავს, თუგინდ სეპარატიულს.

თავმჯდომარე გოცმა განაცხადა, რომ მას „არ სჯერა, თითქო არმიაში მოიძებნებოდენ ისეთი ნაწილები, რომლებიც დასთანხმდებიან სამარცხვინო სეპარატიულ ზავზე".

მენშევიკი დანი ეხება ხმებს ბოლშევიკების მოსალოდნელი გამოსვლის შესახებ, დამღუპველად თვლის ამგვარ გამოსვლას და მოითხოვს ბოლშევიკებისაგან პირდაპირ პასუხს—ემზადებიან, თუ არა ისინი გამოსვლისათვის.

საპასუხო სიტყვით გამოსულმა რიაზანოვმა დანის სიტყვას უწოდა „პროკურორის კითხვები" და განაცხადა: „თუ თქვენ არ გკუთვნით გაბედაობა უთხრათ კონტრ-რევოლუციონურ მთავრობას: შორს, შენ ბურჟუაზიის ხელში იმყოფები,—თქვენ არა გაქვთ უფლება სერიოზულათ ილაპარაკოთ იმაზე, თითქო განზრახვა გვქონდეს დაიცვათ რევოლუცია და პეტროგრადი". შეეხო რა გამოსვლების საკითხს, რიაზანოვმა სთქვა: „გამოსვლებს ამზადებენ არა ბოლშევიკები, არამედ პოლიტიკა, რომელმაც რევოლუციის შვიდი თვის განმავლობაში ასე ბევრი გააკეთა ბურჟუაზიისათვის და სრულიად არაფერი მასებისათვის.. ჩვენ არ ვიცით გამოსვლის დღე და საათი, მაგრამ ჩვენ ვეუბნებით ხალხის მასებს: ემზადეთ გადამწყვეტ ბრძოლისათვის მიწისა და ზავისათვის, პურისა და თავისუფლებისათვის. თუ მთავრობის პოლიტიკის წყალობით მუშებისა და გლეხთა მასები აჯანყდებიან, ჩვენ ვიქნებით აჯანყებულთა პირველ რიგებში".

მენშევიკების, მენშევიკ-ინტერნაციონალისტების და მემარჯვენე ესერების ხმებით ცაკმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც დაუშვებლად თვლის გამოსვლას.

დროებითი მთავრობა „ემზადება"

პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა გენ. ბაგრატუნიმ დრ. მთავრობის წევრთა კერძო თათბირს გააცნო ის ცნობები, რომლებიც შტაბის განკარგულებაში მოიპოვებოდა ბოლშევიკების მოსალოდნელ გამოსვლის შესახებ და ღონისძიებები, რომელთა მიღებაც აპირებდა შტაბი ამ გამოსვლის წინააღმდეგ.

პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსმა პოლკოვნიკოვმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა: „გარკვეული ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება და ვიკვებებით ხმებით. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მზად ვართ".

პეტროგრადის საბჭოს ზურგს უკან

პეტროგრადის საბჭომ აშკარა უარყოფითი პოზიცია დაიკავა გარნიზონის გაყვანის საკითხში. ამის გამო დრ. მთავრობამ ვერ შესძლო ამ განზრახვის მოყვანა სისრულეში. მაგრამ, რამდენადაც ხმები ბოლშევიკების გამოსვლის შესახებ უფრო და უფრო რეალური ხდებოდა, დრ. მთავრობა, რომელიც კარგად გრძნობდა, თუ ვის მხარეზე იქნებოდა ამ გამოსვლის დროს პეტროგრადის რევოლიუციური გარნიზონი, სულ უფრო და უფრო სერიოზულად უბრუნდებოდა გარნიზონის გაყვანის საკითხს. გადაწყდა ემოქმედნათ პეტროგრადის საბჭოს ზურგს უკან. ამ მიზნით 28 ოქტომბრისათვის ფსკოვში გაიწვიეს გარნიზონის წარმომადგენლები „იმ გარემოებებთან გასაცნობათ, რომლებიც მოითხოვენ პეტროგრადის გარნიზონის გაყვანას". ამ პროექტის ინიციატორები დარწმუნებული იყვნენ, რომ გარნიზონის წარმომადგენლებს ადვილად დაიყოლიებდენ თავის განზრახვაზე. ცნობამ გარნიზონის წარმომადგენლების გამგზავრების შესახებ ფსკოვში, დიდი მღელვარება გამოიწვია პეტროგრადის სამხედრო ნაწილებში.

შავრაზმელების მუქარა

იმ დროს, როცა ბოლშევიკური პრესა სასტიკ რეპრესიებს განიცდიდა დროებითი მთავრობის მხრივ, შავრაზმელი პრესის აგიტაცია არავითარ წინააღმდეგობას არ ხვდებოდა.

ასე, მაგ., შავრაზმელი „ნოვაია რუს" მოითხოვდა რესპუბლიკის დრ. საბჭოსგან კერენსკის შეცვლას კორნილოვით და იმუქრებოდა, რომ თუ რესპუბლიკის საბჭო ამას არ იზამს, ამ განზრახვას განახორციელებს „საზოგადოებრივ მოღვაწეთა" მოსკოვის თათბირი, კაზაკები, ან სხვა რომელიმე ჯგუფი.

რევოლიუცია გათავდა

რამდენადაც რევოლიუციური მასები სულ უფრო და უფრო მარცხნივ იხრებოდენ, მენშევიკ-ესერები სულ მარჯვნივ და მარჯვნივ იწევდენ და მათი არგუმენტაცია უკვე აღარაფრით განსხვავდებოდა კადეტებისა და სხვა ბურჟუაზიული პარტიების არგუმენტაციისაგან. ესერ-მენშევიკები კადეტებთან ერთად ამტკიცებდნენ, მაგ., რომ „რევოლუცია დროთა გათავდა". თავი მოაბეზრა რევოლუციამ შემთანხმებლურ პრესას, რომლის „უწყებები" მუდამ „ბევრი" სწერდა: „რევოლუცია შესდგება ორი ეტაპისაგან: დანგრევა ძველის და ახალი ცხოვრების შენება. პირველი აქტი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, ახლა დადგა დრო შეუდგეთ მეორე აქტს" (იგულისხმება—ზრუნვას ბურჟუაზიის ბატონობის განსამტკიცებლად).

ყუბანის რადის წინააღმდეგ

ეკატერინოდარის საბჭოს აღმასრ. კომიტეტის, გლეხთა და კაზაკთა დეპუტატების საოლქო საბჭოს, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს საოლქო ბიუროს, ბოლშევიკების, მენშევიკების და ესერების პარტიების საოლქო კომიტეტების გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც პროტესტს აცხადებს ყუბანის გამოყოფის წინააღმდეგ დამოუკიდებელ რესპუბლიკად და არაკაზაკებისათვის სამოქალაქო უფლებების წართმევის წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიაში

(საქ. რევოლიუციონური მუზეუმის მასალებიდან)

თბილისის საბჭოში

თბილისის საბჭოს სასწრაფო სხდომაზე ირჩეოდა საბჭოთა ყრილობის მოწვევის საკითხი. მენშევიკი გერ. მახარაძემ შეიტანა წინადადება, რომ საბჭოს დაედასტურებია აღმასრ. კომიტ. შუამდგომლობა საბჭოთა ცაკის წინაშე—ყრილობის გადადების შესახებ ერთი თვით. ამ წინადადების წინააღმდეგ გამოვიდნენ ამხ. ა. ნაზარეტიანი, კუზნეცოვი და ნ. ცერცვაძე, რომლებიც მოითხოვდენ ყრილობის მოწვევას დანიშნულ ვადაზე, რათა მასზე მომზადებული ყოფილიყო ნიადაგი ძალაუფლების გადასასვლელად საბჭოების ხელში.

საბჭომ 121 ხმით 72-ის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია ყრილობის გადადების შესახებ ერთი თვით.

შემდეგ კენჭი ეყარა რეზოლუციას ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ.

ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში ხმა მისცა 82 კაცმა. ერთგვაროვანი დემოკრატიული მთავრობის შექმნას—115.

ხელფასის მომატებას მოითხოვენ

ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეები ხელფასის მომატებას მოითხოვენ.

შიმშილობა

ხონის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეები იტყობინებიან, რომ სურსათის უქონლობის გამო საშინელ გაჭირვებას განიცდიან. ქუთაისიდან მათ აცნობეს, რომ „ვერაფერს გიშველითო".

ყვირილის ციხის უფროსი იტყობინება, რომ სურსათის უქონლობის გამო პატიმრები შიმშილობენ.

სახკომსაბჭოში

ქართლის თესვის ცდები გორის მაზრაში

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ ნება მისცა ს. მ. უ. საბჭოს გააგრძოს 1927—28 წ. გორის მაზრაში ქართლის თესვის ცდები. ამასთან დაკავშირებული ხარჯის ნახევარი (11500 მან.) ს. მ. უ. საბჭომ უნდა შეიტანოს 1927—28 წ. დამატებითი ხარჯთაღრიცხვაში; ვინაიდან ხარჯების მეორე ნახევრის დაფარვას კისრულობს ს. ს. რ. კავშირის შაქრის ტრესტი.

ავტო-ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფტექნიკური განათლება

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ მიზანშეწონილად სცნო ავტო-ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფტექნიკური განათლების ფონდის დაარსება.

წინადადება მიეცა ა. ქ. ადგილობრივი ტრანსპორტის საოლქო სამმართველოს ა. ქ. საავტომობილო სავაჭრო-სამრეწველო საქციო საზოგადოებისა და კოოპერატიული ამხანაგობათა „მოტორის" სამგზავრო ბილეთების ფასზე მიზნობრივი ზედნართის შემოღების საკითხი შეუთანხმოს სათანადო სატარიფო ორგანოს.

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის გამო

საზღვარგარეთ მოსაწყობი გამოფენისათვის პლაკატების დიაგრამების და რუქების დასამზადებლად გადადებულია 1.500 მან.

ღვინის დამზადება

წინადადება მიეცა სახალხო მამულების ტრესტს ყურძნისა და ღვინის დამზადება აწარმოოს მხოლოდ სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მეშვეობით.

ეკონომიურ საბჭოში

ბამბის მოსავლიანობის აღდგენა

ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა საგეგმო კომისიის დასკვნა ბამბის მოსავლიანობის აღსადგენათ საჭირო სახსარის გამონახვის შესახებ.

საგეგმო კომისიას ნაადრევად და მიუღებლად მიაჩნია ამბამ. მთავარ კომიტეტის წინადადება, რომ 1928-29 წლიდან მებამბეობის რაიონებში აგრონომიული ღონისძიებანი გატარებულ იქნეს მხოლოდ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ბიუჯეტით, მებამბეობის მთავარ კომიტეტის დაუხმარებლად. მიმდინარე სამეურნეო 5 წლედისათვის უნდა იქნეს დატოვებული მებამბეობის რაიონებში, მებამბეობის მთავარ კომიტეტის თანხების დახმარებით აგრონომიულ ღონისძიებათა გატარების არსებული წესი.

აბრეშუმის სახვევი ფაბრიკების აგება

ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საამშენებლო-სატექნიკო კომიტეტის დასკვნის თანახმად, ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი ქ. ოზურგეთში და ხონში ახალი აბრეშუმის სახვევი ფაბრიკების პროექტი და ხარჯთ აღრიცხვა. ოზურგეთის ფაბრიკის აგების წინასწარი ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 566.190 მან. 72 კ. რაოდენობით, ხონის ფაბრიკისა კი—311.854 მან. 27 კ. რაოდენობით.

წინადადება მიეცა ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმს დაჩქარებით შეუდგეს აბრეშუმის სახვევი 152 გოზიან ფაბრიკის აგებას ქ. ქუთაისში და აღნიშნული ფაბრიკის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა საჭირო წესით წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს.

მეწყერი გურიაში

წყალთა მეურნეობის სამმართველოში მიღებული ცნობებით, უკანასკნელი თვეების ხშირი წვიმებისა და ნიაღვრების გამო გურიის ზოგიერთ რაიონებში ადგილი ჰქონდა დამეწყვრის შემთხვევებს.

მეწყერმა განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო სოფელ აცანაში, სადაც მეწყერის გამოსაკვლევად მივლინებულ იქნა სპეციალური კომისია ინჟ. მარგველაშვილის ხელმძღვანელობით. კომისიამ უკვე დაამთავრა დამეწყვრილ ადგილების გეოლოგიური გამოკვლევა.

კომისიის დასკვნით სოფელ აცანაში შემჩნეული მეწყერი ახალი წარმოშობის არ არის. გორაკი, რომელზედაც გაშენებულია სოფელი აცანა თავისი პირველი ადგილმდებარეობით დაძრულია 5—6 წლის წინათ. გორაკის მოძრაობა შეუმჩნეველი რჩებოდა უკანასკნელ დრომდე იმ გარემოების გამო, რომ მთელ რაიონს გარკვეული რელიეფი არა აქვს. უკანასკნელ თვეებში მოსულმა ნიაღვრებმა და ძლიერმა წვიმამ უკვე აშკარა გახადეს მდებარეობის გამოცვლა გორაკისა, რომელიც ეპყრობა სოფ. აცანის საკმაოდ ვრცელ მოედანს. გორაკის ზედა ფერდობზე—ნახევარი კილომეტრის სიგრძეზე გაჩენილია საკმაოდ ღრმა ნაპრალი, რომელსაც ალაგ-ალაგ ნახევარი მეტრის სიგანე აქვს. ასეთივე ხასიათის ნაპრალებია გორაკის ქვედა ფერდობზე, ამ ფერდობზე აგებული შენობები განზე გადახრილა და ზოგიც დაძრულია თავისი პირველი ადგილიდან. საურმე გზა, რომელიც სოფლის ქვედა ნაწილს აერთებს, დახეთქილია ნაპრალებით და ალაგ-ალაგ თვით იჩინა ნიადაგქვეშა წყლის დენმა გზის მოედანი შესამჩნევად არის გადაწეული და შეცვლილი გორაკის ფერდობებზე დასახლებული გლეხები იძულებული არიან გამოიცვალონ საცხოვრებელი ადგილი.

შედარებით უვნებლად არის გადარჩენილი გორაკის ფერდობის ცენტრალურ ნიადაგზე აგებული სახლები. კერძოთ სკოლის შენობა და ჩაის ფაბრიკა არ დაზიანებულან.

დახმარება შინამრეწველებს

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა შინა-მრეწველობის საქმის მდგომარეობის საკითხი და ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიას დაავალა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეადგინოს გეგმა შინა-მრეწველ ხელოსანთათვის სახელმწიფოებრივ დახმარების გაწევის შესახებ.

ფინანსთა სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა წარმოადგინოს დასკვნა შინა-მრეწველობისათვის თანხების მიცემის დარგში.

კომისართა საბჭომ დაადგინა: ფინანსიურ შესაძლებლობათა გამორკვევის შემდეგ სტატისტიკურ სამმართველოს საშუალებით გამოიკვლიოს შინა-მრეწველობის მდგომარეობა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში.

ახალი გზატკეცილი

სამხრეთ ოსეთის ცაკის დადგენილებით ამ მოკლე ხანში დაიწყება ცხინვალ-ქარელის საურმე გზის ფართო გზატკეცილად გადაკეთება. კვლევა-ძიებითი მუშაობა, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულზე სწარმოებდა უკვე დამთავრდა. ცხინვალ-ქარელის გზატკეცილის სიგრძე იქნება 28 კილომეტრი. ამჟამად მიმოსვლა სამხრეთ ოსეთთან სწარმოებს ცხინვალ-გორის გზატკეცილით. ახალ გზატკეცილს ძველთან შედარებით აქვს შემდეგი უპირატესობანი. ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხაზთან ცხინვალ-ქარელის გზატკეცილი 10 ვერსით უფრო დაახლოვებულია, ვიდრე ცხინვალ-გორის გზატკეცილი. მეორე მთავარი უპირატესობა ის არის, რომ ახალი გზატკეცილი გადის მჭიდროთ დასახლებულ რაიონებში. ამ გზატკეცილებით ისარგებლებს შინდისის, ბრეთის, დირბის, რუისის რაიონების (გორის მაზრის თემები) და სამხრეთ-ოსეთის მთელი მოსახლეობა. ამ გზატკეცილის საშუალებით სამხრეთ ოსეთს საშუალება მიეცემა უმოკლესი მანძილით დაუკავშირდეს ამიერ-კავკასიის რკინისგზებს. წინასწარ გამოანგარიშებით ქარელ-ცხინვალის საურმე გზის გზატკეცილად გადაკეთებას დასჭირდება დაახლოებით 150—200 ათასი მანეთი. ანუ ყოველ ვერსზე 1500—2000 მან.

შაქარი

მიმდინარე წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შემოტანილ იქნება 3.430 ვაგონი შაქარი. აქედან საქართველო მიიღებს—886 ვაგონს, აზერბეიჯანი და დაღესტანი—2.238 ვაგონს, სომხეთი—220 ვაგონს, ნახიჩევანის ავტ. რესპუბლიკა—86 ვაგ. შაქრის ეს რაოდენობა სავსებით დააკმაყოფილებს ამიერ-კავკ. მოთხოვნილებას.

შაქრის ტრესტის ცნობით 1926—27 წელს ამიერ-კავკასიაში შემოზიდული იქნა 2.686 ვაგონი შაქარი, ე. ი. 744.000 ფუთით ნაკლები, ვიდრე წელს იქნება შემოტანილი. წელს შაქრის მეტი რაოდენობით შემოზიდვა გამოწვეულია: ჭარხლის კარგი მოსავლით. (წელს ჭარხლის მოსავალი 71 პროც. აღემატება შარშანდელ მოსავალს).

გასულ წელს შაქრის ტრესტის ქარხნებმა დაამზადეს 49 მილიონი ფუთი შაქარი, წელს კი დამზადებული იქნება 80 მილიონი ფუთი.

ამრიგად, შაქრის ტრესტს საშუალება ეძლევა სავსებით დააკმაყოფილოს შინაურ ბაზრის მოთხოვნილება და შემოიტანოს შაქრის საგრძნობი მარაგი.

ამიერ-კავკ. შემოტანილ შაქრის 60 პროც. გასაღებული იქნება კოოპერატივების საშუალებით, 30 პროც. გაასაღებენ სახ. სავაჭრო ორგანიზაციები, მხოლოდ 10 პროც. გადაეცემა კერძო ვაჭრებს.

გერმანიის მუშათა დელეგაცია თბილისში

გუშინ, საღამოს 7 საათზე, მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა გერმანიის მუშათა მესამე დელეგაციის ნაწილი 38 კაცის შემადგენლობით.

ეს დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის ზეიმზე დასასწრებლად.

დელეგატების შესახვედრად სადგურზე თავი მოიყარეს კავშირების ცენტრალურ გამგეობების, ფაბქარხადგილკომების წარმომადგენლებმა და პროფსაბჭოს მუშაკებმა ამხ. **ნ. მახაიძის** და **ალ. ფანცხავას** მეთაურობით.

მატარებლის მოსვლისას სადგურის ბაქანზე გამწკრივდენ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები სამხედრო ორკესტრით. მატარებელს, რომლითაც ჩამოვიდა დელეგაცია, სადგურზე თავმოყრილი ხალხი ოვაციებით ხვდება. მუსიკა უკრავს შეხვედრის მარშს. დელეგატები თავის მხრივ მხურვალეთ ესალმებიან თბილისის პროლეტარიატის წარმომადგენლებს.

მატარებლიდან გადმოსვლისას დელეგატები შესასვენებლად მიპატიჟებული იქნენ სადარბაზო ოთახში, საიდანაც შემდეგ გავიდნენ სადგურის წინ მდებარე პოდიუმზე, რომელზედაც ამ დროს მრავალ ხალხს მოეყარა თავი.

მიტინგი

მიტინგი გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. **მახაიძემ**, რომელიც მიესალმა დელეგატებს პროფესიონალური კავშირების სახელით.

— გერმანიის მუშების წარმომადგენლები,—ამბობს ამხ. მახაიძე,—ჩამოვიდენ იმ მიზნით, რომ გაეცნონ საქართველოს მუშათა კლასის ცხოვრებას. ამისათვის ისინი დაათვალიერებენ ჩვენს წარმოებებს და გაეცნობიან იმ აღმშენებლობას, რომელიც საქართველოში სწარმოებს.

კეთილი იყოს მათი ჩამოსვლა ჩვენს ქვეყანაში!

მუსიკა უკრავს „ინტერნაციონალს". დელეგატები მღერიან ყველა დამსწრეებთან ერთად.

შემდეგ რკინისგზელების სახელით დელეგაციას ესალმება მთავარ სახელოსნოების მუშა ამხ. **მაჭარაძე**.

— ჩვენ განსაკუთრებით მოხარული ვართ იმით, რომ გვესტუმრენ იმ ქვეყნის მუშები, სადაც ტექნიკა უაღრესად განვითარებულია. მართალია ჩვენში ტექნიკა ისეთ სიმაღლეზე ვერ სდგას, როგორც გერმანიაში, მაგრამ სამაგიეროთ ჩვენში ძალაუფლება პროლეტარიატის ხელშია.

ჩვენში უდიდესი აღმშენებლობა სწარმოებს. ამას თავის თვალით ნახავს დელეგაცია. ჩვენი თხოვნაა, რომ მან ყველაფერი აქ ნახული და გაგონილი გადასცეს გერმანიის მუშებს.

დელეგაციის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა დელეგატი ენცგანტი (უპარტიო).

— ამხანაგებო და ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ საბჭოთა საქართველოში ჩამოვედით იმ მიზნით, რომ გავეცნოთ თქვენს ცხოვრებას, თქვენს მუშაობას. ჩვენ უკვე დავათვალიერეთ ლენინგრადი და მოსკოვი და იქ ნახულმა ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

როდესაც ჩვენ დღეს მატარებლიდან გადმოსვლისას „ინტერნაციონალი" გავიგონეთ და ავაყოლეთ ხმა, ეს ჩვენთვის უცხო იყო, რადგან გერმანიაში აკრძალულია „ინტერნაციონალის" სიმღერა. მხოლოდ საბჭოთა კავშირში შეგვიძლია ჩვენ თავისუფლად ვიმღეროთ „ინტერნაციონალი".

გერმანიაში დაბრუნებისას ჩვენ სიხარულით გავაცნობთ გერმანიის პროლეტარიატს, რომელმაც ჩვენ აქ გამოგვგზავნა, ყველაფერს, რასაც აქ ვნახავთ და შევისწავლით.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატს! (მქუხარე ტაში და „ინტერნაციონალი").

მიტინგის დამთავრების შემდეგ დელეგატები გაემგზავრენ მუშათა სასახლეში, სადაც დაბინავდენ საერთო საცხოვრებელ ბინაში.

დელეგაციის შემადგენლობა

დელეგატები არჩეული არიან გერმანიის სხვადასხვა კუთხეების წარმოებების მუშათა საერთო კრებებზე. დელეგაციაში შედის 13 კომუნისტი, 16 სოციალ-დემოკრატი, 2 ქრისტიანი-სოციალისტი, 5 უპარტიო, 1 დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი და 1 ახალგაზრდა სოც.-დემოკრატი.

საუბარი დელეგაციის თავმჯდომარესთან

გუშინ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა დელეგაციის თავმჯდომარეს, სოც.-დემ. **პიშოკს** საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ.

— ჩვენ ლენინგრადში ჩავედით იმ დროს, როდესაც იქ მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის ცაკის საიუბილეო სესიის სხდომები. ლენინგრადში ჩვენ გაგვაკვირვა მუშების ენტუზიაზმმა და აღფრთოვანებამ. ეს ენტუზიაზმი აიხსნება იმით, რომ საბჭოთა კავშირის მუშები თვითონ არიან ქვეყნის ბატონ-პატრონი.

საუბრის დასასრულს ამხ. პიშოკმა ჩვენს თანამშრომელს გადასცა მიმართვა, რომელსაც ხელს აწერენ დელეგაციის პრეზიდიუმის წევრები **პიშოკი, რიგელი** და **ბიულმერი**.

მიმართვაში დელეგაცია აღნიშნავს, რომ იგი თბილისში ჩამოვიდა საქართველოს მუშათა კლასის ცხოვრების გასაცნობად.

ქრონიკა

სუნ-ძი-ლინის გამგზავრება

გუშინ ბორჯომიდან თბილისში ჩამოვიდა სუნ-იატ-სენის ქვრივი სუნ-ძი-ლინი.

გუშინვე სუნ-ძი-ლინი გაემგზავრა მოსკოვში.

ამხ. შ. ერისთავის დანიშვნა

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით ახალშენებათა კომიტეტის მომარაგების უფროსად დაინიშნა ამხ. შ. ერისთავი.

მოწყობილობათა მიღება

ახალშენებათა კომიტეტში მიღებულია ცნობები, რომ ბათომში მიიღეს ბარიტის საფქვავი ქარხნის მოწყობილობა მთელი კომპლექტით. მათ მისაღებათ და ჩასაბარებლათ ახალშენებათა კომიტეტმა ბათომში მიავლინა ინჟ. გოკიელი.

მოწყობილობის ქარხანაში გასამართავად და სხვადასხვა მანქანების დასადგმელად განზრახულია მოწვეულ იქნეს უცხოეთიდან გამოცდილი სპეციალისტი.

ხილის დამზადება

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სამმართველო ამჟამად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს მეორეხარისხოვან სექციაში ხილის დასამზადებლად. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში გაგზავნილი იქნება ვაშლის, თხილის და კვერცხების პირველი პარტია.

ვაშლის დამზადება სწარმოებს მეხილეობის სამ ძირითად რაიონში: გორის, ახალციხის და კუბის რაიონებში. კვერცხების დამზადება სწარმოებს საქართველოში და სომხეთში, თხილისა კი საქართველოში, აფხაზეთში და აზერბეიჯანში.

ბავშვების მეგობართა საზოგადოებაში

27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ბავშვების მეგობართა საზოგადოების სამმართველოში (კომინტერნის ქ. № 4) შესდგება საზოგადოების წევრთა საერთო კრება ბავშვთა მეგობართა საზოგადოების უჯრედების მდივნების და რწმუნებულთა თანდასწრებით.

ხორცის ბაზარი სექტემბერში

სექტემბრის განმავლობაში თბილისში გასაღდა 52.000 ფუთი 10 გირ. ხორცი. მთელი ამ რაოდენობიდან „მაკოოპერატივს" დაუმზადებია 35 პროც. „მწყემს"—15 პროც. კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ გასაღებულია—13.563 მან. 04 კაპ. ხორცი.

მიწის ძვრა

საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიას სეისმოგრაფების მიერ 25 ოქტომბერს, დღის 4 საათზე და 45 წუთზე აღნიშნული იქნა ახალი მიწის ძვრა, რომლის კერა თბილისიდან დაშორებულია 80 კილომეტრის მანძილზე.

თბილისის აღმასკომში

◆ **აბანოების მოწყობა.** გარე უბანში ახალი აბანოების მოსაწყობათ თბ. აღმასკომმა გადასდო 100.000 მანეთი.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა დიდუბეში გაიყვანოს ტრამვაის ახალი ხაზი.

◆ **გარეუბნებში წყალსადენის მილების** გასაყვანად აღმასკომმა გადასდო 60.815 მანეთი.

◆ **ქალაქის გაფართოების** მიზნით ქალაქისა და მისი მიდამოების დასაგეგმავად აღმასკომმა გადასდო 70.000 მ.

◆ **დახურული ბაზარი.** მალაკნის ქუჩაზე დახურული ბაზრის მოსაწყობათ კომუნალურ მეურნეობას გადაეცა 40.000 მანეთი.

◆ **გზების შეკეთება.** მაზრაში არსებულ გზების შესაკეთებლად აღმასკომმა გადასდო—58.000 მანეთი.

◆ **ზაჰესის ენერგიის გადამცემ ქსელის** გასაფართოებლად ქალაქის გასანათებელ ქსელის მოსაწყობათ გადადებულია 834.909 მ.

◆ **საბინაო მშენებლობა.** ახალ საბინაო მშენებლობაზე მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვით აღმასკომი დახარჯავს ნახევარ მილიონ მანეთს.

◆ **საგარეჯოს საავადმყოფოს** დასამთავრებლად ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა 30.000 მანეთი.

◆ **ქალაქის ტელეფონის ქსელის** გასაფართოებლად და ავტომატიურ ტელეფონების მოსაწყობათ თბ. აღმასკომმა გადასდო 100.000 მანეთი.

◆ **50.000 მან. თბილისის მაზრის კოლექტიურ მეურნეობებისათვის.** თბილისის აღმასკომმა თბილისის მაზრაში არსებულ კოლექტიურ მეურნეობათა შორის გასანაწილებლად გადასდო 50.000 მანეთი. აღნიშნულ თანხას კოლექტიურ მეურნეობათა შორის გაანაწილებს კომისია სასოფლო-სამეურნეო ბანკის, მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის და „სოფლის კავშირი"-ს შემადგენლობით.

სხვადასხვა

◆ მონადირეთა კავშირის ცნობით ნებადართულ ადგილებში ხოხობზე ნადირობა დაიწყება 1-ლ ნოემბრიდან.

◆ თბ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზ-ბაში დღეს, საღამოს 8 ს., შესდგება საზ-ბის მორიგი კრება. მოხსენებას წაიკითხავენ: გ. ცქიტიშვილი—ქინაქინის გავლენა ცოცხალი გულის ანატომიურ ელემენტებზე. ა. ახვლედიანი—ლაშქეთის ბუნებრივი წყალთა მკურნალობითი ეფექტები. ა. მაღალაშვილი—ბავშვების მკურნალთა სრ. საკავშირო მე-4 ყრილობა.

სასამართლო

განაჩენი რძლის მოწამვლის საქმეზე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **სიჭინავას** თავმჯდომარეობით გამოიტანა განაჩენი **მათე და ანტონინა კაზაჩენკოების საქმეზე.**

სასამართლომ დამნაშავეთ სცნო მათე და ანტონინა კაზაჩენკოები მათი რძლის ელენე ერმოლოვას მოწამვლაში და **მიუსაჯა თითოეულ რვა-რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით.**

აკაკი ბერიკაშვილის მკვლელი

(26 ოქტომბრის სხდომა)

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნენ დამატებით გამოწვეული მოწმეები: **პერონკინი**, სისხლის სამართლის მილიციის ძაღლების საწვრთნელ სადგურის თანამშრომელი და ბერიკაშვილის მოსამსახურის და **შურა საშკინა**.

„უქუდო მოქალაქე"

მეტად საინტერესო ჩვენებას იძლევა მოწმე **პერონკინი**. მკვლელობის ღამეს, როდესაც სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები ბოროტმოქმედის აღმოსაჩენად გაემგზავრნენ ავტომობილით, მოწმე პერონკინი მათ თან ახლდა, მას ებარა მაძებარი ძაღლები. მოწმე ლაპარაკობს, რომ ერთი ძაღლი წაყვანილი იყო საძებრათ, ხოლო მეორე მას დაუტოვეს. ის იჯდა ავტომობილზე შოფერთან ერთად. ცოტა ხნის შემდეგ მან დაინახა ქუჩაში მიმავალი მოქალაქე უქუდოთ. მან იცოდა, რომ ბოროტმოქმედს ქუდი დარჩა ბერიკაშვილების ოჯახში. მოწმე ლაპარაკობს:

— კაცო რაღად გვინდა ეს ძაღლები! გავიხმოთ და დავაპატიმროთ უქუდო მოქალაქე და აღარ დაგვჭირდება ბევრი ჯაფა.

მე არ ვიცოდი, თუ მართლაც ის იყო ბოროტმოქმედი. შემდეგ სისხლის სამართლის მილიციაში მიჰყავს ეს მოქალაქე (მიუთითებს ბრალდებულზე) და გამოვიცანი მასში მკვლელობის ღამეს შეხვედრილი უქუდო მგზავრი.

მოწმის ეს ჩვენება ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავს „ბილეთის ისტორიას". დასტურდება, რომ ბრალდებული მკვლელობის ღამეს იმყოფებოდა თბილისში და საქმეში ჩაკერებული სარკინიგზო ბილეთი ყურით მოთრეული საბუთია.

მოწმე **შურა საშკინას** არაფერი ახალი არ შეაქვს სასამართლო ძიებაში. ის ცდილობს უარყოს ყოველგვარი დამოკიდებულება, როგორც ბრალდებულთან, ისე მისი დის „საქმროსთან". თითოეულ შეკითხვაზე **მოწმე უპასუხებს:** „არ ვიცი", „არ მახსოვს", „საიდან უნდა ვიცოდე". მოწმე იმასაც კი უარყოფს, რომ მის დას ხშირად ჰქონდა ლაპარაკი თავის საქმროების შესახებ.

მთელი ამ პროცესის განმავლობაში ყურადღების ცენტრშია ბერიკაშვილების მოსამსახურე საშკინას ქალი. როგორია მისი მამხილებელი გარემოებანი? 1) რომ ის თავის დროზე არ გამოცხადდა თამარ ბერიკაშვილის ყვირილზე, 2) სახლის პატრონის მამულიშვილის ზედა სართულიდან ჩამოსვლის შემდეგ გამოვარდა გარეთ და იძახოდა: „მე არაფერ შუაში ვარო". 3) იყო უკმაყოფილო ხელფასის დაგვიანებით, 4) ჰყავდა საეჭვო ტიპის საქმროები, 5) და ხშირად ლანძღავდა იმას, ვისთანაც მსახურობდა.

მორიგი სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე. პროცესი დიდძალ საზოგადოებას იზიდავს.

რევოლვერის ტარით

ზაქარია პაპულესძე კოპინაშვილი თავის დროზე საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობის კაცი იყო, რა უყოთ რომ ეხლა აქ არის საბრალდებლო ადგილას. თავის დროზე იგი გორის სამაზრო მილიციაში იყო ის უფროს მილიციელად. თავის დროზე სხვების ბოროტმოქმედებას იძიებდა, მაგრამ შეტრიალდა კიბე, ეხლა მისი ბოროტმოქმედება გამოიძია სხვამ, სახელდობრ გამომძიებელმა **ერქომაიშვილმა**.

გორის მაზრაში ბოროტმოქმედება ჩაიდინა ვიღაცამ. საჭირო იყო ბოროტმოქმედის აღმოჩენა. ეჭვით დაპატიმრებული იყო მოქ. ლოლაშვილი. საჭირო იყო მისი გამოტეხა. და სწორედ აქედან იწყება კოპინაშვილის საქმეც. დაპატიმრებული მოქალაქე არ გამოტყდა. კოპინაშვილმა იძრო რევოლვერი, წაავლო ლოლაშვილი და კერძო მოქალაქეების თანდასწრებით დაუწყო რევოლვერის ტარით ცემა ზურგზე. მართალია გამოტეხით ვერ გამოტეხა, მაგრამ ზურგის ხერხემალი ხომ გაუტეხა! ნახევარი საათის განმავლობაში ურტყამდა. ხუმრობა საქმეა ნაგანის ტარი? ისიც ნახევარი საათის განმავლობაში, რომ გირტყან ზურგში? ამის შემდეგ, ლოლაშვილი ჩვენების ჩამოსართმევად წამოაყენა ზეზე და უნდოდა სკამზე დაეჯინა. მაგრამ არ შეგჭამოთ ჭირმა! ლოლაშვილი დედოფალასავით დააჯინა სკამზე, მაგრამ ვერაფრის გზით ვერ დაამაგრა. რამდენჯერ დააჯენდა, იმდენჯერ ვარდებოდა იატაკზე, ბოლოს თვალები გადაკარგა, ამოიხვრა ერთი მაგრად და ისე გაიშხლართა იატაკზე, რომ „ვიეკაცმა კოპინაშვილმა" ვეღარ დასძრა. გამოიწვიეს სასწრაფო დახმარება. მოქალაქეები მიცვივდნენ წყალით სავსე ვედროებით. ასხურეს ჯერ ნელ-ნელა, მერე სავსე ვედროებით და როგორც იქნა ლოლაშვილმა ძლივს მოიბრუნა პირი საამისოდ.

კოპინაშვილი პასუხისგებაშია მიცემული. უნდა ასწავლონ, როგორ უნდა ბოროტმოქმედების კვალის აღმოჩენა და რა სასჯელი არსებობს ასეთი ბოროტმოქმედებისათვის.

ზერ.

ქ უ თ ა ი ს ი

განათლების განყოფილებაში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის განათლების განყოფილება, სხვა განყოფილებებთან ერთად, განაგრძობს წინსვლას. ამას ნათლად დავინახავთ, თუ თვალს გადავავლებთ წარსული 1926—27-სა და მდგომარე 1927—28 სამოსწავლო წლების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვებს, სასწავლებლების, მასწავლებელთა და მოსწავლეთა რიცხვსა და სხვა.

ასე, მაგალითად, 1926—27 სამოსწავლო წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა უდრიდა 665.806 მან. 28 კაპ.; 1927—28 წლის ხარჯთაღრიცხვა კი უდრის 702.600 მან.

სასწავლებელთა რიცხვი

	1926—27 წელში.	1927—28 წ.
ოთხწლედები	150,	155
შვიდწლედები	48,	43
ცხრაწლედები	11,	9
გლეხ. ახალგ. სკოლ.	—5,	10
სასოფ.-სამეურ.	3,	3
პროფსკოლა	1,	1
საბავშვო სახლი	1,	1
საბავშვო ბაღი	9	9
ტეხნიკუმები	8,	8
საბუღალტრ. კურს.	1,	1
უცხო ენების სკოლ.	1	1
უმაღლ. ტიპის სკოლ.	1,	1
სულ	239 სკოლა,	242.

ცნობებს მასწავლებელთა და მოწაფეთა რაოდენობის შესახებ, აქ ვერ ვათავსებთ, რადგან განათლების განყოფილებაში მაზრიდან ჯერ არაა მიღებული მათ შესახებ სრული ცნობები მიმდინარე სასწავლო წლისათვის.

მიმდინარე სასწავლო წელში განათლების განყოფილებამ, სხვათა შორის, ერთი გონივრული ნაბიჯი გადადგა: მან სასარგებლოდ და მიზანშეწონილად სცნო — 5 შვიდწლედი გადაკეთდეს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებად, რომელთა მიზანია მისცენ გლეხის შვილებს სასოფლო - სამეურნეო ცოდნა.

განყოფილების მიერ გადადგმული მეორე ნაბიჯი, ჩვენი ფიქრით, მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება. ეს არის მაზრაში არსებულ სასწავლებლებში 28 პარალელური კლასის დახურვა: მეორე ჯგუფებთან 6 პარალელის და მეხუთე ჯგუფებთან — 22-ის.

ამას შედეგად მოჰყვა რა ერთი ასეული მოწაფის სკოლის გარეთ დარჩენა. უკანასკნელმა გარემოებამ კი, თავის მხრივ, გამოიწვია ამ მოწაფეთა მშობლების შუამდგომლობის აღძვრა, რომ სასწავლებლებში მათი ხარჯით გაიხსნას პარალელური კლასები.

რაც შეეხება მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობას, ის ნაწილობრივ გაუმჯობესდა: თვიურ მასწავლებელს მოემატა თვეში 4—5 მანეთი.

დონ—ვალიანი.

ტრამვაის ახალი ვაგონები

როგორც ვწერდით, ქალაქში ტრამვაის მოძრაობის გასაფართოებლად, თბილისის აღმასკომმა რუსეთის ქარხნებს შეუკვეთა 74 ახალი გაუმჯობესებული ვაგონის დამზადება. ყველა ეს ვაგონები, ხელშეკრულების თანახმად, დამზადებული უნდა ყოფილიყო მიმდინარე წელს, —მაგრამ სხვადასხვა ტეხნიკურ მიზეზების გამო, შეკვეთის შესრულება დაპირებისამებრ ვერ მოხერხდა. წელს მიღებული იქნება მხოლოდ 20 ვაგონი. აქედან 12 ვაგონი უკვე მიღებულია და მუშაობს ხაზებზე, ხოლო 8 ვაგონი გზაშია. მიღებისთანავე ვაგონები გამოშვებული იქნება სამუშაოდ. დანარჩენი 54 ვაგონს ტრამვაის დირექცია მიიღებს მომავალი წლის განმავლობაში. პირველი ოცი ვაგონის გამოსასყიდათ აღმასკომმა გაიღო 57.500 მანეთი. მიმდინარე წელს, ხარჯთ-აღრიცხვით, დანარჩენი 54 ვაგონების შესაძენად თბილისის აღმასკომმა გადასდო 553.077 მ. ძველი მოტორიანი ვაგონების გამოსაყენებლად და ქალაქში ტრამვაის მოძრაობის გასაფართოებლად, გარე უბნებში გაყვანილი იქნება ახალი ხაზები.

შემთხვევები

ბანდიტის შეპყრობა

რამოდენიმე ხნის წინად თავდების ქვეშ გამოუშვეს ცნობილი ქურდი-რეციდივისტი ნამაზ ტოპჩიევი, რომელსაც ბრალდებოდა მთელი რიგი მკვლელობები და ძარცვა-გლეჯა.

განთავისუფლებისთანავე მან ხელი მიჰყო ისევ თავის ხელობას და სექტემბრის ბოლო რიცხვებში გაძარცვის მიზნით სოფ. სოღანლუღში საკუთარ ბინაზე თავს დაესხა გლეხს პანაჯერდი ალაბ-ვერდი-ოღლის, მაგრამ აქ მას წინააღმდეგობა გაუწიეს და გაიქცა.

გაიგო რა ტოპჩიევის ახალ გამოსვლების შესახებ, თბილისის სისხლის სამართლის მილიცია შეუდგა ბანდიტის ძებნას.

ძებნის პროცესში სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა მიაგნეს ტოპჩიევს კვალს მეხუთე რაიონის მილიციის ფარგლებში. ბანდიტმა მათ გაუწია შეიარაღებული წინააღმდეგობა და გაიქცა.

რამოდენიმე დღის წინად მისი მსხვერპლი გახდა გლეხი დიმიტრი გიგაური, რომელიც ბრუნდებოდა ქალაქიდან სოფელში. მას გზაში თავს დაესხა ტოპჩიევი და გაძარცვა.

რამოდენიმე დღის ენერგიული ძებნის შემდეგ, ბანდიტის კვალს მიაგნეს საბურთალოს რაიონში აგურის ქარხნების ახლოს.

სისხლის სამართლის და პირველი რაიონის მილიციის თანამშრომლებმა მას ალყა შემოარტყეს. ბანდიტმა მილიციელებს აუტეხა სროლა, რომლის დროს დაიჭრა პირველი რაიონის მილიციელი სიმონ ჩხეიძე.

ბანდიტი შეიპყრეს.

ქურდების შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ორტაჭში ბაგრატის ძე შახნაზაროვი, ივანე ილიასძე ბაჩინსკი, აკოფ ოგანეზის ძე აზარიანი და კონსტანტინე ივანეს ძე სმირნოვი; პირველ ორს ბრალდება გიორგი კანდელაკის ბინის გაქურდვა, ხოლო დანარჩენებს სტეფანე და არმენაკ ტროიტოვების ბინის გაქურდვა.

◆ **ახლად დაბადებული ბავშვის პოვნა.** 25 ოქტომბერს, მარტის ქ. № 6 სახლის სადარბაზო შესასვლელთან იპოვეს ახლად დაბადებული ბავშვი, რომელიც გადაგზავნილი იქნა საბავშვო თავშესაფარში.

◆ **შეპყრობა.** 25 ოქტომბერს ქურდობისათვის შეიპყრეს მედი ხაჩატუროვი.

◆ **კარლ მარქსის მოედანზე** ტრამვაის რონოდაში ონისიმე გეგიას ამოაცალეს ფული და სხვადასხვა საბუთები.

◆ **ცეცხლი.** ეორესი ქ. № 12 მცხოვრებ წრუწუნაშვილის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

◆ **მცირეწლოვანი ბოროტმოქმედნი.** 25 ოქტომბერს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს მცირეწლოვანი ტოროსოვი.

◆ **ქურდი ქმარი.** შეიპყრეს ერვანდ ალექსანდრეს ძე აკოფოვი, რომელსაც ბრალდება თავის ცოლის—ვერა კალინინას ბინის გაქურდვა.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 25 ოქტომბერს მესანგრეთა ქ. № 3 გაქურდეს ნინო ქეჩხულოვის ბინა.

◆ **ქუდის ქურდი.** ცენტრ. ბაზარში დაიჭირეს კაზარიანცის სამკერვალო სახელოსნოდან ქუდის მოპარვისათვის 25 ოქტ. შეიპყრეს მიშა სამონისძე თაბლაშვილი.

◆ **კარების შემტვრევის** საშუალებით 25 ოქტომბერს მუხრანის ქ. № 28 ბარბალე ქილიფთარის ბინიდან მოიპარეს 308 მანეთის ნივთები.

◆ **თავისუფლების მოედანზე** ტრამვაიში ნიკოლოზ მადათოვს ჯიბიდან ამოართვეს საათი ოქროს ძეწკვით.

◆ **ჯიბგირობისათვის** 25 ოქტომბერს დააპატიმრეს ვიღაცა მარტიროსიძე სტეფანიანცი.

— **ჯიბგირების შეპყრობა.** 24 ოქტომბერს შეიპყრეს ჯიბგირები იაკობ დავითისძე პოპოვი და მიხეილ ტატოს ძე გრიგორიანცი.

— **შეიპყრეს და სპეცდანიშნულების** იზოლატორში მოათავსეს ვალერიან სერიოჟაინი, რომელსაც ბრალდება სხვადასხვა ქურდობის ჩადენა.

ხელოვნება

ვიოლონისტ ბეზროდნის მეორე კონცერტი

თავის უკანასკნელ კონცერტზე ახალგაზრდა მსახიობმა სავსებით გამოაამჟღავნა თავისი არტისტული ფიზიონომია. უდაოდ შეიძლება ითქვას, რომ ბეზროდნი ზედმიწევნით კარგად ასრულებს თანამედროვე გერმანელ კომპოზიტორების ნაწარმოებთაც, რომელთა შორის ყველაზე საყურადღებოა ნიჭიერ იოჰანეს ბრამსის ნაწარმოები. კონცერტის პირველი განყოფილება შესდგებოდა ბრამსის სავიოლინო კონცერტისაგან. კონცერტანტმა შესრულა ამ საუცხოო ნაწარმოების სამივე ნაწილი. აქ გამოაშკარავდა არტისტის არა მარტო მშვენიერი ტეხნიკა, არა მარტო მეტად საამური ტონი (კონცერტის მეორე ნაწილი), არამედ აგრეთვე ბრამსის სტილი, სიღრმე, მისი ნაწარმოების აკადემიურობა. რაველის (ნოვატორი ფრანგულ მუსიკაში) საუცხოვო ხაბანერაც კარგად იქნა შესრულებული. მსახიობმა გამოჰყო დამახასიათებელი თემები და დეტალური სტილისტური საზე მისი. ამ ხაბანერას შესრულებაში ბეზროდნის ახასიათებს ოლინებით გატაცება და ამასთანავე ტემპერამენტი ესპანეთის ნაციონალური ცეკვის განსახიერებაში. ჩეხელ კომპოზიტორ ანტონ დვორჟაკის სლავიანურ ცეკვათაგან ყველაზე უკეთესად იქნა შესრულებული პირველი ცეკვა; ხოლო მეორე ცეკვაში (პირველ ნაწილში) სასურველია უფრო ღრმა მელოდია და ლირიზმი. პაგანინის უძნელესი ფანტაზია მშვენივრად იქნა შესრულებული. მსახიობი ადვილად სძლევს ტეხნიკურ დაბრკოლებებს.

ვ. ბ.

ნიჟალსკაიას კონცერტი

ხელოვნების არც ერთი დარგი არ გადმოსცემს ადამიანის სულიერ განწყობილებას ისე ნათლად და მკაფიოდ, როგორც ვოკალური ხელოვნება, და ამასთანავე არც ერთ ხელოვნებაში არ არის იმდენი სუბიექტიურობა, როგორც სიმღერაში. ეს განსაკუთრებით იჩენს თავს განწყობილების სიმღერათა რეპერტუარში. ეს სიმღერები შეიძლება იქნას გადმოცემული რეალისტურ ფონზე, სადაც ნათლად იქნება ასახული ადამიანის სულიერი განწყობილების ყველა მომენტები და გრძნობის სიღრმე, იგი შეიძლება იქნას გადმოცემული აგრეთვე ვოკალური ვულგარობის სახით, აუდიტორიის არა იმ ნაწილის სასიამოვნოდ, რომელიც მუსიკაში ეძიებს გამკეთილშობილებელ და შთამაგონებელ საშუალებას, არამედ იმ ნაწილის, რომელიც მუსიკაში ეძიებს ვნებათა აღმძვრელ შთაბეჭდილებას. ნიჟალსკაია ასრულებს ისეთ სიმღერებს და მუსიკალურ მონოლოგებს, რომლებშიაც უმთავრეს როლს თამაშობს სულიერი განწყობილება. მაგრამ ამ ნიჭიერი მომღერალი ქალის ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყველაფერი ტენდენციურობის გარეშე, დახვეწილ და დამთავრებულ ფრაზირებაში და დინამიურ სახეებში იძლევა ადამიანის ამა თუ იმ სულიერი განწყობილების ნათელ სურათს. სწორედ ამით იქცევს დიდ ყურადღებას ნიჟალსკაია და სიამოვნებით ესწრებიან მის კონცერტებს. მას საუცხოვო ხმა აქვს (მეცო-სოპრანო) და დიდი მუსიკალობა. მის სიმღერაში არ გაისმის არც ერთი ზედმეტი ბგერა, არც ერთი ზედმეტი ჟესტი.

ნიჟალსკაიას კონცერტებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიანისტ ტასკინის მხატვრულ აკომპანიმენტს, რომელიც თითქმის ერთად ერთია ლენინგრადში ვოკალური ლიტერატურის აკომპანიმენტით შესრულების დარგში. ნიჟალსკაია და ტასკინი ზედმიწევნით შეთანხმებით ასრულებენ პროგრამის ყოველ ნომერს, რაც დიდ ღირსებას აძლევს კონცერტს.

მუსიკოსი.

კ ი ნ ო

რეჟ. მარჯანიშვილის ექსპედიცია

რეჟ. მარჯანიშვილის კინო - ექსპედიცია (30 კაცის შემადგენლობით), რომელიც ბათომში იმყოფებოდა სურათ „ბორა"-ს („კრაზანა") გადასაღებათ, 20 ოქტომბერს დაბრუნდა თბილისში. ექსპედიცია ბათომში მუშაობდა ორი თვის განმავლობაში. მუშაობა უმთავრესად მიმდინარეობდა ზღვის ნაპირებზე და მთიან ადგილებში. ექსპედიცია იღებდა „ბორა"-სათვის საჭირო პეიზაჟებს. პეიზაჟების გადაღება უკვე მოთავდა და ამ დღეებში დაიწყება პავილიონური გადაღება. მთელი მუშაობა გასტანს მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლომდე. კინოსურათი „ბორა" იანვარში მოთავდება და ნაჩვენები იქნება სახკინმრეწვის ყველა კინო-თეატრებში. მთავარი როლები შემდეგნაირად არის განაწილებული: ბორას როლს ასრულებს —ი. მერაბიშვილი, მონტამერის — ა. იმედაშვილი, ჯიამას — ნატა ვაჩნაძე.

მოლაპარაკება აზკინმრეწვთან

რამოდენიმე დღის წინად, საქ. სახკინმრეწვის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. არუტჩანოვი ბაქოში გაემგზავრა აზერბეიჯანის სახ. კინო მრეწველობის გამგეობასთან შესათანხმებლად.

20 ოქტომბერს ის დაბრუნდა თბილისში. მისი სიტყვით, აზერბეიჯანის კინო - მრეწველობა მეტად ჩქარი ტემპით ვითარდება. ბაქოში შენდება უზარმაზარი კინო - ატელიე, დამთავრდა მბრუნავი სცენის აგება.

აზერბეიჯანის სახ. კინმრეწვი ახლო ხანში გამოუშვებს საუკეთესო კინო სურათს „ბრინჯაოს მთვარეს". ეს სურათი ნაჩვენები იქნება თბილისში, სახკინმრეწვის ყველა კინო თეატრებში.

აზკინმრეწვთან შეთანხმებით, საქ. სახკინმრეწვი დაამუშავებს სცენარს — „26 კომუნარების დახვრეტა". ამ კინო - სურათის გადაღება მოხდება ბაქოში და კომუნარების დახვრეტის ადგილზე.

დღეს კინოებში

◆ აპოლო—„ავი სული".
◆ არფასტო—„ავი სული".
◆ სოლეი—„ავი სული".
◆ დარბაზი „ვიქტორიას დაღუპვა".
◆ პალასი—„ქალი კოლოფით".
◆ მინიონი—„ქალი კოლოფით".

მეფუტკრეობა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მეფუტკრეობის საქმეს. მეფუტკრეობის დასაყენებლად კულტურულ ნიადაგზე მიწსახკომი მეფუტკრეობის რაიონებში ყოველწლიურად აწყობს მეფუტკრეობის კურსებს მეფუტკრე გლეხებისათვის. წელს ასეთი კურსები მოწყობილი იყო ლეჩხუმის, გორის, თელავის და რაჭის მაზრებში. კურსები დაამთავრა 80 გლეხმა. მიწსახკომის გარდა მეფუტკრეობის დარგში აგროკულტურულ მუშაობას აწარმოებენ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები.

მეფუტკრეობისათვის საჭირო მასალების დასამზადებლად თბილისში მოწყობილია სპეციალური სახელოსნო.

მთელს საქართველოში წელს მეფუტკრეებს დაურიგდათ 3.000 გაუმჯობესებული სასკე ყუთი.

სიმინდის შემოზიდვა

წრევანდელი მოუსავლობის გამო სიმინდის დეფიციტი ნავარაუდევია 20.000 ფუთით. ვაჭრობის კომისარიატის მიერ მიღებულია ზომები ამ დეფიციტის დასაფარავად. გადიდებული იქნება შემოსატან ხორბლის რაოდენობა და შემოტანილი იქნება სიმინდიც.

„ხლებპროდუქტს" და „კავშირს" მიეცათ განკარგულება იანვრამდე შემოზიდონ აფხაზეთში 100.000 ფუთი, ხოლო საქართველოში 240.000 ფ. სიმინდი.

საჭირო სათესლე სიმინდის რაოდენობა ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული, ნავარაუდევია 120.000 ფუთი. ვინაიდან შემოზიდული სიმინდი გამოუსადეგარია როგორც სათესლე, საჭიროთ არის აღიარებული სათესლე სიმინდის ადგილობრივად დამზადება. სათესლე სიმინდს დაამზადებს „სოფლის კავშირი", რომელსაც დაევალა მიწათმოქმედების კომისარიატთან და საქართველოს სასოფლო სამეურნეო ბანკთან ერთად გამოარკვიოს სათესლეთ საჭირო სიმინდის რაოდენობა, ამ საქმისთვის საჭირო კრედიტის საკითხი და სხვა.

ხორცი და მწვანილი

ბაზრის მომარაგების შესახებ ხორცითა და მწვანილით მუშკოოპის გამგეობის წევრმა ამხ. ერისთავმა შემდეგი განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში.

არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ კოოპერაციამ საკმაოდ ვერ დაიპყრო ხორცისა და მწვანეულობის ბაზარი. მუშკოოპმა გადასწყვიტა ბოლო მოუღოს ასეთ მდგომარეობას. 1927—28 წლისათვის შემუშავებული გეგმით მუშკოოპი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ხორცის, მწვანილის და სხვა ადვილად გასაფუჭებელ პროდუქტების დამზადებას. ამ მიზნით მუშკოოპი მოლაპარაკებას აწარმოებს სომხეთის კოოპერატიულ ორგანიზაციებთან თბილისის ბაზრისათვის 100 ვაგონ კარტოფილის მოწოდების შესახებ. კომბოსტოს და ხახვის დამზადება სწარმოებს „სოფლის კავშირის" საშუალებით. მოსალოდნელია, რომ ჩვენ შევსძლებთ მწვანეულობის დარგში ფასების მნიშვნელოვან დაკლების მიღწევას. ხორცის ბითუმად მოთხოვნილებას კი მთლიანად აკმაყოფილებს „მიასოტორგი" და „მწყემსი" და ამ მხრივ არავითარი დაბრკოლება მოსალოდნელი არ არის.

მთელი კითხვა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, თუ რამდენად შესძლებს კოოპერაცია ამ საქონლის მიწოდებას მომხმარებლისათვის.

გასაღების გასაუმჯობესებლად მუშკოოპი აფართოებს ხორცის და მწვანეულობის დუქნების ქსელს მათი რაოდენობის გადიდებით—10 წერტილით მაინც. დუქნებს ექნება სათანადო მოწყობილობა პროდუქციის შესანახად და მათი მუდმივი სიახლის დასაცავად.

ბევრი საყვედურები ისმოდა მყიდველების მხრივ ყასბების უხეში მოპყრობისა და არაკეთილსინდისიერების გამო. ამ დაუშვებელი მოვლენის აღმოსაფხვრელად ბრძოლა გამუდმებით სწარმოებს. ისეთ მუშაკებს, რომლებიც ვერ შეიგნებენ, რომ მყიდველი კი არ არსებობს მათთვის, არამედ ისინი უნდა ემსახურებოდენ მსყიდველებს, ადგილი არ უნდა ექნეს კოოპერაციაში.

ამჟამად კოოპერაცია ვაჭრობის კომისარიატთან ერთად აწარმოებს ბრძოლას ხორცზე ფასების დასაწევად. ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებულ 74 კაპ. ნაცვლად კოოპერაცია ამჟამად ჰყიდის ხორცს 70 კაპეიკად კილოს და, თუ შემცირებული იქნა საბითუმო ფასები ხორცზე, კოოპერაცია ალბად შესძლებს საცალო ფასების დაკლებას 68 კაპეიკამდე კილოზე.

რკინისგზეზე

ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლისათვის

მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი კვარტალისათვის ა.-კ. რკ. გზებისათვის გადადებულ კრედიტების გარეშე, გზათა სახალხო კომისარიატი რკინის გზებზე ბავშვთა უპატრონობასთან საბრძოლველად გზას დამატებით აძლევს 10.000 მანეთს.

თანხები გადმოგზავნილი იქნება ნოემბერში.

პირდაპირი მატარებელი

მიმდინარე შემოდგომის სეზონში რკინის გზებზე ადგილი აქვს მგზავრების დიდ მოძრაობას. ასეთი მდგომარეობა მოსალოდნელია გაგრძელდეს ზამთრის სეზონშიც. მგზავრების რიცხვი განსაკუთრებით დიდია პირდაპირ მიმოსვლის მატარებლებზე.

ამის გამო გზათა კომისარიატს საჭიროდ მიაჩნია მოსკოვ-თბილისს შორის 28 ოქტომბრიდან მატარებლების—№ 7 და 8-ს დანიშვნა. ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას მიცემული აქვს წინადადება გასცეს განკარგულება მატარებლების დანიშვნის შესახებ.

უვარგისი ცისტერნები

გზათა კომისარიატი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ რკინის გზებზე ადგილი აქვს ცისტერნების ნაკლებობას და ამასთანავე უვარგის ცისტერნების რიცხვის ზრდას.

ამ გარემოებას გზათა კომისარიატი ხსნის იმით, რომ გზები არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ცისტერნების შეკეთების საქმეს.

მიაქცევს რა ამაზე ზოგიერთ გზების (მათ შორის ამიერ-კავკასიისაც) ყურადღებას, გზათა კომისარიატი აძლევს მათ წინადადებას მიიღონ ენერგიული ზომები უვარგის ცისტერნების შესაკეთებლად.

მეცნიერება და ტეხნიკა

წყალის გაწმენდა ულტრა-იისფერი სხივებით

ფრანგმა ინჟენერმა ბუნომ აღმოაჩინა წესი სასმელი წყალის გაწმენდისა ულტრა-იისფერი სხივების საშუალებით. ამ წესით სარგებლობის დროს წყალი ხსნის ნატრიუმის ქლორმჟავილის მცირე რაოდენობას, რომელიც თავისთავად არ არის საკმაო წყალის გასაწმენდად. ამის შემდეგ წყალს ანათებენ ულტრა-იისფერი სხივებით, რომლებიც მასში კლავენ ყველა მიკრობებს.

ეს პროცესი იმით აიხსნება, რომ წყალში ნატრიუმის მარილის დაშლის დროს მცირე რაოდენობით გამოიყოფა ქლორი, რომელიც ულტრა-იისფერი სხივების ზეგავლენით ითვისებს უნარს—დახოცოს ყველა ბაქტერიები. სასმელი წყალის გაწმენდის ეს ახალი წესი უკვე შემოღებულია საფრანგეთის მთელ რიგ ქალაქებში და საუკეთესოდ არის ცნობილი.

ახალი ჰაეროპლანი

ამერიკელმა გამომგონებელმა ნიუბაუერმა გამოიგონა ჰაეროპლანი, რომელსაც კორპუსის მოუბრუნებლად შეუძლია მაღლა და ქვევით, წინ და უკან აფრენა.

ეს შესანიშნავი თვისებები მიღებულია ჰაეროპლანის თავისებური კონსტრუქციით. ჩვეულებრივ ფრთების მაგიერ ჰაეროპლანს აქვს წისქვილის ფრთის მსგავსი ორი უზარმაზარი პროპელერი, რომლებიც ბრუნავენ ჰორიზონტალური ღერძის გარშემო. როცა ჰაეროპლანი ჰორიზონტალური მიმართულებით მიფრინავს, ეს ფრთები უძრავია და ჰაეროპლანის ჩვეულებრივი ფრთების მაგიერობას ასრულებს, ამ შემთხვევაში ჰაეროპლანი ფრენს წინა ნაწილზე მიმაგრებულ ჩვეულებრივი პროპელერის საშუალებით. როცა ჰაეროპლანის ეს მოძრავი „ფრთები" იწყებენ ბრუნვას, ჰაეროპლანი ფრთების ბრუნვის მიხედვით ან ზევით მიფრენს ვერტიკალურად ან და ასევე ვერტიკალურად ეშვება დაბლა.

იურიდიული დახმარება

მუხურის თემის (ჩხარის რაიონი—შორაპნის მაზრა) მცხოვრებს არკადი ბოჭორიშვილს

პ ა ს უ ხ ი

შრომის საგზაო ბეგარის მოსახდელად ნატურით სრულიად არ გაიწვევიან ისეთი პირები, რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი სამუდამოთ ან და დროებით ავადმყოფობისა ან და დასახიჩრებისა გამო. (იხ. ამის შესახებ არსებული დებულების მუხ. 4. გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ში ა. წ. 24 სექტემბრიდან, № 1584).

ქვრივ მინადორა ქვარცხავას

თქვენ გვწერთ, რომ თქვენი ქმარი იყო მასწავლებელი. იგი ა. წ. 19 ივნისს გარდაიცვალა, რის შემდეგ დარჩით თქვენ და თქვენი შვილები: უფროსი ვაჟი 18 წლისა—(სტუდენტია); მეორე ვაჟი 16 წლისა შვიდწლედ დამთავრებულია („უადგილოდაა") უფროსი ქალიშვილი 12 წლისაა, უმცროსი კი 8 წლისა. სენაკის დამზღვევმა სალარომ „პენსია მისცა" მხოლოდ ამ ორ უკანასკნელთ (ქალიშვილებს) და თქვენ პირადად და თქვენს ვაჟიშვილებს მან ასეთი არ მოგეცათ.

თქვენ ეს არ მიგაჩნიათ კანონიერად და ჩვენ გვეკითხებით „ვერგებათ თუ არა პირადად თქვენ და ორ თქვენ ვაჟიშვილებს „პენსია".

გიპასუხებთ

თანახმად საკავშირო სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს 1926 წ. 20 აპრილის დადგენილება № 30—433-ისა, დახმარება მიეცემათ მხოლოდ თქვენს (მცირეწლოვან) ქალიშვილებს ვაჟები ასეთს ვეღარ მიიღებენ, რადგან ისინი თავის წლოვანებით უნდა მოიხსნან დაზღვევისა და საპენსიო წიგნაკიდან, ვერც თქვენ პირადად მიიღებთ „პენსიას", თუ არა ხართ შრომის უნარმოკლებული. თქვენი ყველაზე უმცროსი ბავშვი კი 8 წლისაა.

თქვენი ქალიშვილებს დახმარება მიეცემათ 16 წლამდის დაბადებიდან.

აქედან ცხადია, რომ სენაკის დამზღვევ სალაროს მოქმედება კანონიერია.

ჩვენი ფოსტა

ქუთაისი. ამხ. გეგიას. წერილი მივიღეთ დიდი დაგვიანებით, 25 ოქტომბერს.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 27 ოქტომბერს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ: კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექცია: რაფალსკი ლევან, ი. ტოლსტოვი, პავლიაშვილი ავაქ, სულხანიშვილი შალვა მელქიან დავით. გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია: სმელსკაია მარიამი, მელაძე მარიამი. შავმუშათა მესამე სექცია; ბულადაროვ ელენა, ტრაგიევა ალექსანდრე. მელითონეთა სექცია: თუხარელი მარო, ალექსანდროვა ლარისა, კვიკვიძე ალექსანდრე, ციხრაძე ნადეჟდა, ჩაჩიბაია მარო, ჩილიძე სერაფიმა, ნატაძე ვარვარა, ნადირაძე ეკატერინა, რუსიაშვილი მარო, დონდუაშვილი მარო. მეხუთე სექცია: შუაკოშვილი, არსოევი რომანოზ. რკინისგზის მეშვიდე სექცია: გრიგორიევი ნიკოლოზ.

პარტიული კალენდარი

— საქართვ. კ. პ. (ბ) თბილისის [illegible] რაიკომი [illegible] 27 ოქტომბერს სალ. 5 საათზე, მუშათა (ცენტრალურ კლუბში [illegible] № 123), [illegible] ნულ კომიტეტის პლენუმი.

— პარასკევს, 28 ოქტომბერს, სალ. 5 საათზე მეხუთე პროფსკოლის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 166), შესდგება ლენინის რაიონის განათლების მუშაკთა კომუჯრედ № 24-ის დახურული სხდომა.

— სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედთა გაერთიანებულ კოლექტივის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 27 ოქტომბერს, დღის სრულ 12 საათზე, კოლექტივის ბიუროს წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ღრმა მწუხარებაში მყოფი დედ-მამა, მელიტონი მიხეილისძე და ნინა გერასიმეს ასული სოსელიები, და ტატიანა მელიტონის ასული სოსელია, დეიდა ქეთო გერასიმეს ასული სანოძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს

პატარა ოთარი სოსელიას

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება მოხდება 27 ოქტომბერს, დღის 3 საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან—ჩერქეზიშვილის ქუჩა, სახლი № 137. (დ)

მუშკოოპის თანამშრომელთა ადგილკომი აუწყებს მუშკოოპის ყველა თანამშრომლებს, რომ 24 ოქტომბ. გარდაიცვალა ჩვენი ადგილკომის თავმჯდომარე

სარდიონ შაფათავა

გამოსვენება ბინიდან, პლეხანოვის გამზ. № 120 საღამოს 5 საათზე სადგურში (ე)

თბილისის მუშკოოპის კომუჯრედი აუწყებს უჯრედის ყველა წევრებს და ამხანაგებს, რომ 24 ოქტომ. გარდაიცვალა ამ უჯრედის წევრი და ადგილკომის თავმჯდომარე

სარდიონ ივანესძე შაფათავა

გამოსვენება ბინიდან პლეხანოვის გამზირი № 120 საღამოს 5 საათზე, სადგურში. (ე)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა ელენე გიორგის ასული, ძმა დათიკო, დები: საშა და ქეთო აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ამა წლის 26 ოქტომბერს, დილის 6 საათზე ტრაღიკულად გარდაიცვალა

სიმონ სიმონის ძე ფხაკაძე

რომლის დაკრძალვა დანიშნულია 28 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათ. ვერის ახალ სასაფლაოზე, გამოსვენება მოხდება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან (ყოფილი მიხეილის საავადმყოფო) (ა)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დეიდაშვილები: ილიკო, გიორგი, ბორისი, პაჰუ, ვალიკო, კატუშა, მარგარიტა, რძლებით: ბაბო, თამარა შვილებითურთ: ეზიკო, მიშიკო, ავთანდილი და გულნარა ჩხეიძლაშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა|წ. 26 ოქტომბერს ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი, ძვირფასი და დაუვიწყარი

სიმონ (სიმონიკა) სიმონის ძე ფხაკაძე

გამოსვენება მოხდება ა|წ. 28 ოქტომბერს ნაშუადღევის 4 საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 262

„კ ო მ უ ნ ი ს ტ ი"
ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა
თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34
პ რ ო ვ ი ნ ც ი ა შ ი

1. ხაშურში—განყ. გამგე ვლოდია კარსანიძესთან.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. სამტრედია—განყ. გამგე ვლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
5. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
6. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. ფოთი—ფოსტა-ტელეგ. კანტორაში.
8. ბათომი—ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მთელი აჭარისტანისთვის
9. ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძესთან.
10. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
11. ოზურგეთი—განყ. გამგე პოლ. ინწკირველთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათვის
12. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
13. გორი—მაისურაძესთან.
14. სურამი—მჟავანაძესთან.
15. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
16. ზუგდიდი—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
17. სოხუმი—ფოსტა-ტელეგ. კანტორაში
18. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშნიაშვილი ეტატე
19. ბორჯომ-ბაღი—მაქაცარია
20. ნავთლუღი—კიოსკი.
21. ონი—გალდავაძესთან.

და სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით
„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა
0—1

გაზ. „კომუნისტი"
ხელის მოწერას გაზ. „კომუნისტზე"
ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში აწარმოებენ მხოლოდ „კომუნისტი"-ს კონტრ-აგენტები

თბილისი	შორაპანი	გორი
ქუთაისი	ბორჯომი	ლანჩხუთი
ზუგდიდი	ხაშური	სურამი
ოზურგეთი	თელავი	გურჯაანი
ახალ-სენაკი	ხონი	წალვერი
სამტრედია	სიღნაღი	აბასთუმანი
ჭიათურა	აბაშა	მანგლისი
ზესტაფონი	ბაღდადი	კოჯორი
		ტყიბული

ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები ხელის მოწერას მიიღებენ მხოლოდ თავიანთი დაწესებულებების შიგნით და აუცილებლად ნაღდ ფულზე.
გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორის გამგე ა. ხირაძე.
ფ. ტ. სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა.-კავკასიაში ეპ. ქვანტალიანი
0—2

საქართველოს სახკინმრეწვი
მ ა ლ ე
„იხრჩობა და მოდერნი"
ნ. 120 დადგმა შ. ბერიშვილის

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
სახკინმრეწვის თეატრები
დღეს და ყოველდღე
სომხეთის სახკინმრეწვის მხატვრული ნაწარმოები—დრამა
„ავი სული"
შირვან-ზადეს რომან. მიხედვ., ა. ბეკ-ნაზაროვის სცენ.
რეჟ. ა. ბარხუდაროვის და მ. გელოვანის დად.
ოპერ. ანოშჩენკო და იალოვიი
მთავ. როლ.: მ. გელოვანი, ასმიკ მანუჩარიანი, ეპიტაშვილი, მამიკონიანი, აბრამიანი, და სხ.ა
ამერიკული მხატვრული კინოპიესა
„ვიქტორია"-ს დაღუპვა
მთავ. როლში: ამერიკის სახელგანთქმული კინო-მსახიობი ქალი ბეტტი კომპსონი.
ც—17 ნ. 1388
ანონსი: საქართვ. სახკინმრ. ორიგი ნაწარმოები „ი ხ რ ჩ ო ბ ა და მ ო დ ე რ ნ ი"

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ბავშ ყოფილის (სიძისვენა, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დილის 12 საათამდე და 4 ნ.ს. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე
222—13—1

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მ ო ნ ს ე
განახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. ჰიპნოზი.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

ს.მ.უ.ს. სამთო მრეწველობის ტრესტი
(პუშკინის ქ. № 3) აცხადებს, რომ ა. წ. 27 ოქტომბერს
დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა
საჯარო ვაჭრობა
4.500 ფუთ. თივის, 2.200 ფ. ქერის და 340 ფ. ბზის მოწოდებაზე. განცხადებები მიიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. დღის 3 საათამდე მოწოდების 10 % შემოტანით.
2—1 ნ. 117

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი ჯ ა ლ ა ლ ო ვ ი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8. საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტომატოლოგიურ
(კბილის სნეულებათა)
კ ლ ი ნ ი კ ა შ ი
ავადმყოფების მიღება 1 ნოემბრიდან იწარმოებს
დილით 8—12 საათამდე
საღამ. 4— 6 საათამდე
საღამოობით რჩევა-დარიგება უფასოა, მკურნალობა დაკლებულ ფასებში კლინიკასთან არსებობს რენტგენის კაბინეტი. მისამართი: პლეხანოვის გამზირი 126, ტელეფ. 25—34.
25—1 250

ხელოვნურ კბილების
მომზადება და ჩასმა (კაუჩუკზე და ოქროზე) შეღავათიან ფასებში სწარმოებს სტომატოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე—პლეხანოვის გამზირი № 126 ავადმყოფობის მიღება სწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 4—6 საათამდე.
25—1

ე ქ ი მ ი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 6—8 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნ ო ე"-ს პირდაპირ 25—7

22-го Октября, в субботу утром, по линий Советская—и до Армянскаго базара № 37
УТЕРЯНА общая тетрадь в голубой обложке с грузинскими произведенями в рукописи. Нашедшаго, убедительно прошу доставить
ЗА ВОЗНАГРАЖДЕНИЕ
в зубную поликлинику на армянск. базаре № 37
261 завхозу Абашидзе

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ქ. ჯინჭველაშვილი
ამით აცხადებს, რომ ის 29 ოქტომბერს 1927 წლ. დღის 1-ლ საათზე სახლში № 101 პლეხანოვის გამზირი საჯარო ვაჭრობით გაყიდის „წერკუმსის" მოძრავ ქონებას კინოაპარატს „ერძან"-ის სისტემის № 942780 შეფასებულს 3000 მანეთად, „წერკუმსი"-ს თანამშრომლების ვალის დასაკმაყოფილებლად. თანახმად ქალ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 7 ოქტომბერს 1927 წლ. თარიღით, № 3474 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 118

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
გ. ქ. ჯინჭველაშვილი
ამით აცხადებს, რომ ის 29 ოქტომბერს 1927 წლ. დღის 2 საათ. სახლში № 43 კალინინის (ნიკოლოზის) ქუჩ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. კეჭხმაძის და იოსებ მჭედლიშვილის მოძრავ ქონებას: სარდაფის მოწყობილობას, ღვინის ძმარს და სხვას, შეფასებულს 500 მანეთად, საბჭოთა კავშირის და ბოჭორიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქალ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 6 ოქტომბერს 1927 წლ. თარიღით № 3465 გაცემული აღმასრულებელ ფურცლისა და პროტესტ ქმნილ თამასუქის № 2377. ნ. 119

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის აბანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 5—21

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. ვ. კ ნ ტ ო რ ო ვ ი ჩ ი
მიღება 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე. კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ. № 1 (ყ. ფრეილინის). 25—15

ექიმი მ ე ბ რ ა ბ ი ა ნ ც ი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ტლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონტოფორეზი. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 25—1

დავკარგე ცხრა წლედის მოწმობა № 446, გაცემული ჩოხატაურის ცხრაწლიან შრომის სკოლის მიერ გალაკტიონ ივანესძე რამიშვილის სახელზე, ჩ. გ. 253

დავკარგე პირადობის მოწმობა ბაღდადის თემაღმასკომიდან მიღებული ივანე ნიკუსძე ჭრელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 256

დავკარგე ხაშურის შვიდწლედის მოწმობა ვასილ ივანესძე გოგოლაძეს სახელზე, ჩ. გ. 255

დავკარგე თამასუქი ხელმოწერილი ალ. გეჯუაძის მიერ, ღირებული 200 მან. კუთვნილი ალ. გერასიმესძე სანაძის სახელზე, ჩ. გ. 261

დავკარგე განათლების კავშირის წიგნაკი ნიკ. ქაჯაიას სახელზე, ჩ. გ. 257

დავკარგე დროებითი მოწმობა 1926 წლის საფარმაცევტო კურსების დამთავრების შე ახებ, გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სიმონ მიროლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 258

დავკარგე საანგარიშო წიგნაკის № 39, მიღებული მიწსახკომის მიწათ-მოწყობის განყოფილებიდან ერძალოზ ხეცურიანძე ხიორავეს სახელზე, ჩ. გ. 260

ე ქ ი მ ი
ვლ. ა. თოხაძე
გადავიდა ალექსანდროვის ქუჩიდან ბესიკის (ყოფ. დავიდოვის) ქ. № 20.
ღებულობს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ.პლეხანოვის შესახვევი) № 8

ე ქ ი მ ი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 13 | 25.

ე ქ ი მ ი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაზერეჟნაია) № 7, ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი.
დილ. 9—12, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 7, კ. მარქსის ძეგლთან, შესავალი ამ სახლის კუთხიდან.
5—2

ე ქ ი მ ი
ს. ი. ვოლოხი
ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბელგიის ქ. № 5 მთავარ სავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლათ. 25—1